ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

6 ივნისიდან
ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+
ნტნხტჰბ
* კფჰბ




js[if,fsb7 !# bdybcb7 @)!@ 1139 (5829) afcb5 #) stshb

# გლობალ ტვ“-ის ანტენების დემონტაჟი მოუწევს

გვ.3

## გიორგი თარგამაძე; ლაზიკას მიშაპოლისი ან მიშაბურგი დავარქვათ“





გვ.5

მაჭავარიანმა ქვეყანა 90-იან წლებში დააბრუნა

## გუგული მაღრაძე: ქვეყანაში პროცესებს ბიძინა ივანიშვილი მართავს“

გვ.3



## დიმიტრი შაშკინი: თ უ გამოცდები ცუდად ჩატარდა, გადავდგები!

გვ.7



## ინგა გრიგოლია: ხელისუფლება ტერორზე გადავიდა“

გვ.2




## ხეთაგური უგულავასა და ხარიძეზე უკეთესი მეხელი გამოდგა

გვ. 5



## გლდანში 21-22 საუკუნის წინანდელი სამარხი აღმოაჩინეს

გლდანში, ვართაგავას ქუჩაზე მიმდინარე საგზაო სამუშაოების დროს 21-22 საუკუნის წინანდელი სამარხი აღმოაჩინეს.

როგორც თვითმხილველები აცხადებენ, საგზაო სამუშაოების შესრულების დროს აღმოაჩინეს ქვის ფილებით დაფარული სამარხი, რომელშიც ორი ადამიანის ჩონჩხი იყო.

ვართაგავას ქუჩაზე საგზაო სამუშაოები შეჩერებულია. სპეციალისტები არ გამორიცხავენ, რომ ქუჩაზე ასევე იყოს სამაროვნები. მათი აზრით, ამ ფაქტმა შესაძლოა თბილისის დაარსების ისტორია შეცვალოს.

ინტერპრესნიუსი

## ამომრჩეველთა სიები 1 აგვისტოს დაიდება



გვ.2

რისი იმედი აქვს მამუკა კაციტაძეს



## ივანიშვილმა გარშემო ბრიყვები შემოიკრიბა

გვ. 4

ISSN 1987-9385

6 გელა ნიკოლეიშვილი: ივანიშვილს შეიძლება ჯარიმა გაუათმაგონ“

2 სააკაშვილი: ამდენი წელი ვაშენებთ და უცებ გაჩნდა კლასი, რომელსაც ნგრევა უნდა

5 მემარჯვენეების“ ინფორმაციით, მარტვილის რაიონის სოფლებს თეთრი პეპელა შეესია

6 წყალი ყველა სოფელს ექნება

# ინგა გრიგოლია: ხელისუფლება ტერორზე გადავიდა“

ნონა ცაბაძე

**— დღეს ხელისუფლებაში მიდის გამალებული მუშაობა არჩევნების მოსაგებად. მარტო იმას არ ვგულისხმობ, რომ დაიწყო პირდაპირი ტერორი. მე არ წარმოვადგენ ბიძინა ივანიშვილის კოალიციას, მაგრამ არ გამიჭირდება იმისი აღიარება, რომ ყველაფერი, რაც ხდება ივანიშვილის წინააღმდეგ, პოლიტიკური ანგარიშსწორებაა. თუმცა არის ერთი რეალობაც — ხელისუფლება ამ ბრძოლის მიღმა ვითომდა მშვიდად რომ ატარებინებს თავის ოპონენტებს აქციებს, ძალიან სერიოზულად ემზადება არჩევნებისთვის, — აცხადებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქრისტიან-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი ინგა გრიგოლია.**

***— დღეს ქვეყანაში გამოიკვეთა ორი ძალა, აქეთ ხელისუფლება და იქით ივანიშვილის „ქართული ოცნება“... როგორია თქვენი შეფასებები ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით?***

— იცით, მე ვერ ვიტყვი, რომ გამოკვეთილია ორი ძალა აქეთ-იქით. გამოკვეთილია თითქოს ორი პოლუსი, თუმცა მე ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი ამომრჩეველი, ჩვენი მოსახლეობა მხოლოდ ამ ორ პოლუსზეა გადანაწილებული. ყველანაირი გამოკითხვით, ყველანაირი მონაცემით, არსებობს გამოკითხვები და ეს ჩვენ გვაძლევს იმის იმედს, რომ მომავალ არჩევნებში საკმაოდ სერიოზულ და მნიშვნელოვან შედეგებს დავდებთ. მე წინასწარ მიჭირს ხოლმე ასეთ რაღაცებზე ლაპარაკი, იმიტომ რომ ეს მკითხაობას ემსგავსება, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, დღევანდელი მონაცემებით, ჩვენი შეხვედრებიდან გამომდინარე, რომელიც ხალხთან გვაქვს და ეს საკმაოდ ინტენსიურია, ჩვენ გვეყოლება საკმაოდ სერიოზული ფრაქცია მომავალ პარლამენტში. რაც შეეხება ორ პოლუსს, საქართველოში მარადიულია ეს თემა. ასე იყო სულ, ასე იყო ერთი წლის წინ, ორი წლის წინ. ასე იყო ვარდების რევოლუციის დროს... თუმცა ისტორია და რეალობა იმას აჩვენებს, რომ მხოლოდ ამ ორ პოლუსზე არ არის გადანაწილებული ამომრჩეველი და ხშირ შემთხვევაში სხვა პოლიტიკურ პარტიებსაც ჰყავთ საკმაოდ სერიოზული მხარდამჭერები. ზოგადად პროგნოზი მაქვს ასეთი: ჩემი ვარაუდით, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, მომავალ პარლამენტში არსებობს იმის შანსი, რომ უმრავლესობაში მოვიდეს ოპოზიცია. ოპოზიცია ერთობლიობაში აღებული და არ ჰქონდეს ნაციონალურ მოძრაობას უმრავლესობა. აბსურდი იქნება ჩემი მხრიდან იმაზე ლაპარაკი, რომ ნაციონალური მოძრაობა საერთოდ ვერ გავა და ვერ გადალახავს ბარიერს. თუმცა, ვფიქრობ, თუ ყველაფერი ნორმალურად ჩატარდება, ვგულისხმობ გაუყალბებელ არჩევნებს და თუ ოპოზიცია მოახერხებს, სრულად მობილიზება გააკეთოს საკუთარი მხარდამჭერების, უმრავლესობაში მომავალ პარლამენტში იქნება ოპოზიცია. საერთოდ, ორი პოლუსის თემაზე როცაა ლაპარაკი, რომ ერთი უნდა გაქრეს და მეორე მოვიდეს, ეს ყველაფერი ცუდად უტრიალდება ხოლმე ჩვენს ქვეყანას. მაგალითისთვის ზვიად გამსახურდიას პერიოდი რომ გავიხსენოთ, ყოველთვის ვამბობდი, როცა ჟურნალისტი ვიყავი მაშინაც და დღესაც, რომ ერთი პოლიტიკური ძალის ხელში შეუძლებელია, მოხდეს ქვეყნის სრული მართვა.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ რაც არ უნდა პოპულარული იყოს იგი, როდესაც მოდის, შემდეგ აღმოჩნდება ხოლმე ისეთი არაპოპულარული და ისეთი მიუღებელი, როგორიც არის დღეს თუნდაც სააკაშვილის ხელისუფლება. თუკი ჩემთან ერთად გაიხსენებთ თქვენ, რომ 96%-მა მისცა ამ კაცს ხმა და დღეს ის არის ასეთი არაპოპულარული პრეზიდენტი თავის ხელისუფლებასთან ერთად, ეს კიდევ ერთხელ იმაზე მეტყველებს, რომ აი ასეთი დიდი, მასშტაბური მხარდაჭერით მოსული პოლიტიკური ძალა, როგორც წესი, შემდეგ რადიკალურად მიუღებელი ხდება ხოლმე ქვეყნისთვის. ჩვენ წინა არჩევნებზეც ვამბობდით, რომ არ შეიძლება, მაინცდამაინც შანტაჟის ენით ელაპარაკო შენს ოპონენტებს და იძახო, რომ თუ არ ხარ ჩემს მხარეზე, ე.ი. შენ ხარ ცუდი. ეს ეხება როგორც სააკაშვილის მხარეს, ისე ივანიშვილის კოალიციას. ეს ტენდენცია, რომ თუ ჩემსას არ იზიარებ, შენ ხარ რომელიმე მეორე მხარესთან ალიანსში, როგორც წესი, ამის უარყოფის აზრს მე ვერ ვხედავ, იმიტომ რომ აკვიატებას ემსგავსება ხოლმე ასეთი ბრალდებები. თუმცა არჩევნები ბოლო წლების შედეგების მიხედვით იმას აჩვენებს, რომ სწორედ ამ განსხვავებული პოზიციის პარტიებსაც აქვთ ყოველთვის ძალიან სერიოზული მხარდაჭერა. პარალელს გაგივლებდით იმავე ვარდების რევოლუციასთან. 96%-ით ხომ მოვიდა სააკაშვილი, მაგრამ ჩვენ გვახსოვს, რომ იმ პარლამენტში ერთადერთი არასააკაშვილის მხარეს და არა მისი პოზიციების გამზიარებელი იყო ახალი მემარჯვენეების ფრაქცია, რომელიც მაშინ იყო ერთადერთი ოპოზიცია იმ პარლამენტში შესული და იყო ძალიან სერიოზული. ჩვენ, რასაკვირველია, არ ვგეგმავთ იმას, რომ უმრავლესობით მოვალთ. ამის განაცხადს არ ვაკეთებთ, მაგრამ გვექნება ძალიან სერიოზული შედეგები.

***— საუბრისას განაცხადეთ, რომ მომავალ პარლამენტში ოპოზიცია უმრავლესობით მოვა. რამდენად დაუშვებს ამას დღევანდელი ხელისუფლება?***

— ხელისუფლება, რა თქმა უნდა, არ დაუშვებს, იმიტომ რომ ყოველი ხელისუფლება ცდილობს, არ დაუშვას ასეთი რამ და ყოველი ხელისუფლება აყალბებს არჩევნებს, რადგან, როგორც წესი, ფინანსური, ადმინისტრაციული და ყველა რესურსი მათ ხელშია. თუმცა დღეს არსებობს იმისი შანსი, რომ თუკი ჩვენ ყველანი დავიცავთ ჩვენს ხმებს, თუკი ჩვენ ყველანი ვიბრძოლებთ იმისთვის, რომ მეტნაკლებად დემოკრატიულად მაინც ჩატარდეს არჩევნები, არსებობს იმისი შანსი, რომ ოპოზიცია მოვიდეს უმრავლესობით. მთავარი არის ისიც, რომ სატელევიზიო ეთერი უნდა გაიხსნას და უნდა იყოს ღია სივრცე პოლიტიკური პარტიებისთვის. დღეს ქართული ჟურნალისტიკაც რაღაცნაირად ორ პოლუსზეა გადანაწილებული. ან არის ერთი მხარე, რომელიც ოპოზიციას უჭერს მხარს და ყველანაირად იგრძნობა ეს. ან არის ნაციონალური არხები, რომელიც, მიშას გარდა, უკვე აღარავის აღარ აჭაჭანებს პირდაპირ ეთერში. შეიძლება შენი კადრი მოხვდეს, დავუშვათ, ერთწამიანი და ამის იქით არავინ აღარ გაჭაჭანებს ეკრანზე. ეს არის პირველ რიგში ძალიან მნიშვნელოვანი, რომ ჩვენ მივაღწიოთ არჩევნების წინ პირდაპირ ეთერს, იმიტომ რომ როდესაც ჩავდივართ რეგიონებში, ძალიან ბევრ ხალხს ვხვდებით, ძალიან სერიოზულად ვესაუბრებით ამ ადამიანებს და გვჭირდება ლამის გადაცემების ჩატარება კამერების გარეშე, რომ ამ ხალხს ავუხსნათ, ისე არ არის ყველაფერი, როგორც მათ აქვთ ინფორმაცია მიღებული პროპაგანდისტული მექანიზმებით. დღეს რეგიონების დაძლევა ძალიან მნიშვნელოვანი თემაა. თუ იმას ვერ მივაღწიეთ, რომ ნაციონალურ არხებზე რაც შეიძლება მალე დაიწყოს პირდაპირი ეთერი, აი, ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია კითხვის ნიშნები დავსვათ ნაციონალური მოძრაობის დამარცხებასთან დაკავშირებით. თუ გაგვეხსნა პირდაპირი ეთერი, გაძლევთ იმის გარანტიას, რომ ნაციონალური მოძრაობა ამ არჩევნებში ვერ მოხვდება უმრავლესობაში.

***— რა ხდება დღეს კულუარულად ხელისუფლების შიგნით და რა დაგანახვათ კლინტონის ვიზიტმა?***

— კლინტონის ვიზიტმა, პირველ რიგში, ის დაგვანახვა, რომ ამ ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას უჭერს მხარს დასავლეთი და არა რომელიმე კონკრეტულ ერთ პოლიტიკურ პარტიას, იმიტომ რომ თქვენ დაინახეთ შეხვედრის ის კადრები, არა




ხელისუფლებასთან, არამედ ოპოზიციასთან, სადაც, იმავე ივანიშვილის კოალიციის ზოგიერთი წარმომადგენლის პროტესტის მიუხედავად, რომ მათ თითქოს არ სურდათ ამ ფორმატში დამსხდარიყვნენ, სადაც იგივე ახლები და გიორგი თარგამაძე იქნებოდნენ. ეს ცალკე შეხვედრა მაინც არ შედგა, ანუ ეს იყო იმის დემონსტრირება კლინტონის მხრიდან, რომ ნებისმიერი პოლიტიკური ძალა, რომელიც ამ არჩევნებში მიაღწევს გამარჯვებას, იქნება მხარდაჭერილი დასავლეთის მიერ. ოღონდ ხალხის მიერ უნდა იყოს ის მხარდაჭერილი. მე ეს დამანახა ამ შეხვედრებმა. თუ ვინმეს იმის ილუზია ჰქონდა, რომ კლინტონი ჩამოვიდოდა, ჯადოსნურ ჯოხს ჩაარტყამდა თავში სააკაშვილს და გააქრობდა პოლიტიკური ასპარეზიდან, რასაკვირველია, ჩვენ ამის მოლოდინი არ გვქონია. მთავარი ის არის, ხაზგასმით ითქვა, რომ უნდა ჩატარდეს დემოკრატიული არჩევნები. რასაკვირველია, სააკაშვილი და მისი გარემოცვა ასე ადვილად არ დათმობენ ხელისუფლების ვერტიკალში ყოფნას და ასე ადვილად არ წავლენ ხელისუფლებიდან, მაგრამ, თამამად ვამბობ, არსებობს იმის შანსი, რომ ოპოზიცია მოვიდეს უმრავლესობით მომავალ პარლამენტში. არ შეიძლება, ერთი პოლიტიკური ძალის კონტროლის ქვეშ იყოს მთლიანად პოლიტიკური პროცესი. ნებისმიერ ხელისუფლებას სჭირდება ძალიან სერიოზული მაკონტროლებელი ძალა ოპოზიციის სახით. ამიტომ ვამბობ, რომ მხოლოდ ორ პოლუსს შორის რომ არის მცდელობა, მოხდეს ძალის გადანაწილება, ეს კარგს არაფერს აძლევს შედეგობრივად ჩვენს ქვეყანას. ისედაც არარეალურია, იმიტომ რომ ჩვენი ნებისმიერი შეხვედრა, ნებისმიერი გამოკითხვა, ნებისმიერი მონაცემი, რომელიც პარტიულ მუშაობასთან დაკავშირებით არსებობს, გვაძლევს იმედს, რომ მომავალი არჩევნები იქნება, რასაკვირველია, რთული, მაგრამ ჩვენთვის იქნება შედეგობრივი.

***— ხელისუფლების სამზადისს რაც შეეხება?***

— ხელისუფლებაში მიდის გამალებული მუშაობა არჩევნების მოსაგებად. მხოლოდ იმას არ ვგულისხმობ, რომ დაიწყო პირდაპირი ტერორი. მე არ წარმოვადგენ ბიძინა ივანიშვილის კოალიციას, მაგრამ არ გამიჭირდება იმისი აღიარება, რომ რაც ხდება ივანიშვილის წინააღმდეგ, ეს არის პოლიტიკური ანგარიშსწორება. იქ ანტენების დადგმიდან დაწყებული, ნებისმიერი სადამსჯელო სანქციით დამთავრებული, რასაკვირველია, ხელისუფლების პოლიტიკური ბრძოლაა ივანიშვილის წინააღმდეგ. მაგრამ არის ერთი რეალობაც: ხელისუფლება ვითომ რომ მშვიდად ატარებინებს თავის ოპონენტებს აქციებს, ამის მიღმა ემზადება ძალიან სერიოზულად არჩევნებისთვის. დავით საყვარელიძემაც დაადასტურა გუშინ, რომ იგი ერთვება პოლიტიკაში. პოლიტიკაში მიდის იუსტიციის ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერი გიორგი ვაშაძე. ასევე მე მაქვს ასეთი ინფორმაცია, რომ შესაძლებელია გორში იყაროს კენჭი ვანო მერაბიშვილმა და შემდეგ გახდეს ამ გზით პრემიერ-მინისტრი. ძალიან სერიოზული სამზადისი მიდის ხელისუფლებაში და ოპოზიცია, რომელიც მხოლოდ სხვა ოპონენტების ჩარეცხვით არის დაკავებული, დღეს გულზე მჯიღს იცემს და ამბობს, რომ უკვე მოგებული აქვს არჩევნები. მე არ ვფიქრობ, რომ ასე მშვიდად უნდა აკეთებდეს ამ განცხადებას, იმიტომ რომ უზარმაზარი ფინანსური, სახელისუფლებო რესურსი და კიდევ ერთი, თქვენ ხომ დამიჯერებთ, რომ თავს მოიკლავს მიშა და მისი ხელისუფლება, რომ არ დათმოს ძალაუფლება. დღეს მეუბნებოდა ჩემი შვილი, ყველაფერს გააკეთებენ ესენი, რომ არჩევნები როგორმე სათავისო შედეგით დაამთავრონ, თორემ ახალაიები და ბევრი სხვა, ხომ ზუსტად იცი, ყველაფერზე წამსვლელები არიან, რათა ოპოზიციის გამარჯვება არ დაუშვან ამ არჩევნებში, იმიტომ რომ იციან, სულ უკაცრიელ კუნძულზე რომ გადასახლდნენ, მაინც მიაგნებენ და პასუხს აგებინებენო. ეს არის ჩემი 22 წლის შვილის მოსაზრება, ანუ მისივე ლოგიკიდან გამომდინარე ვამბობ მეც, რომ ისინი ყველაფერს გააკეთებენ. ჩვენ ერთად გვინახავს 26 მაისი შარშანდელი, გვინახავს 7 ნოემბერი და ვიცით, რომ თუკი ქვეყანაში სიტუაცია დაიძაბება, სულაც არ დაიხევს მიშა უკან, რომ ძალის გამოყენებით დაუპირისპირდეს ვინმეს, ვინც შეიძლება გამოვიდეს ქუჩაში და არჩევნების არალეგიტიმურობა გააპროტესტოს. პროცესი, რასაკვირველია, ხიფათის შემცველია, მაგრამ, თუ ყველაფერი წავა ნორმალურად, ოპოზიციას ძალიან დიდი მხარდაჭერა ექნება. მე მარტო ივანიშვილის კოალიციაზე არ ვლაპარაკობ. ვინმეს მოსწონს თუ არა ქრისტიან-დემოკრატები, ჩვენ ძალიან სერიოზული შედეგი გვექნება ამ არჩევნებში. საქართველოს ამომრჩეველი ჭრელი და არ არის მხოლოდ ამ ორ ძალას შორის გადანაწილებული. მიშასა და მისი ხელისუფლების პირობებში გამარჯვება ძალიან რთულია, რომელსაც ზურგს უმაგრებენ, ახალაიებიდან დაწყებული, ყველა იმ ჩინოვნიკით დამთავრებული, რომლებიც ჩვენ ვიცით, მაგრამ ხალხს ყელში აქვს ამოსული ეს ხელისუფლება. მე მართლა ველარ წარმომიდგენია საქართველოში, თავისი ნებით, თუ არა აქვს რაიმე ლინკი ხელისუფლებასთან, ვინმე წავიდეს და მისცეს ხმა ნაციონალურ მოძრაობას.

***— მიუხედავად იმისა, რომ დიდ სამზადისში არიან, თითქმის ახალი სახეები ჰყავთ სიაში...***

— გეთანხმებით, ძალიან სერიოზულია მათი მზადება. ძალოვნები ერთვებიან პირდაპირ ამ არჩევნებში. საყვარელიძე, ვაშაძე სრულიად დაპიარებული სახეები არიან. როგორც აღმოჩნდა, გადაცემა „პროკურორი“ პირდაპირ გაუკეთეს ამ არჩევნების წინ დავით საყვარელიძეს. ასევე აქტიურად მიდის ვაშაძის დაპიარება, ანუ დაპიარებული ძალოვნები ერთვებიან ამ პროცესში. ეს იმას ნიშნავს, რომ პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო — ყველა ჩართული იქნება ამ არჩევნებში და ძალიან ძნელია, დაუპირისპირდე ასე მომზადებულ ხელისუფლებას. თუმცა ჩვენ გვაქვს სერიოზული იმედი და სულაც არ ველოდებით, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები. გვაქვს ჩვენი გეგმა და ამ გეგმას მივყვებით.

## სააკაშვილი: ამდენი წელი ვაშენებთ და უცებ გაჩნდა კლასი, რომელსაც ნგრევა უნდა



საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ კახეთში ყოფნისას გურჯაანში მდებარე იუსტიციის სახლი გახსნა.

პრეზიდენტის შეფასებით, საქართველოს იუსტიციის სახლები ხალხის მომსახურეობის ყველაზე უფრო შორს წასული იდეალია მსოფლიოს მასშტაბით.

როგორც მან აღნიშნა, დანგრევის მიმართულებით საქართველოში არსებული რადიკალების მთავარი სამიზნეები სწორედ შუშის ხიდი, ქუთაისის პარლამენტის შენობა და იუსტიციის სახლია.

პრეზიდენტმა ცოტა ხნის წინ ქუთაისში, პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩამონგრევის შედეგად მომხდარ ტრაგედიაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ იგი ამ საკითხთან მიმართებაში გარკვეული ჯგუფის ყრიამულმა გააოგნა.

„რაღაც ჯგუფები ჟურნალისტების და პოლიტიკოსების ისეთი გახარებული იყვნენ, რომ რაღაც ჩამოინგრა და ტრაგედია მოხდა, ისეთი ენთუზიაზმით მოეკიდნენ ამ საქმეს, ისეთი ყრიამული და ლამის ხორხოცი ატეხეს ამ ყველაფრზე ნიშნის მოგებით. აი გულით უხარიათ ნგრევა, ამდენი წელი ვაშენებთ და უცებ გაჩნდა კლასი, რომელსაც ნგრევა უნდა, უხარია, მოსწონს და ამას გამოხატავს“ — განაცხადა პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, მსგავსი ადამიანების იმედგასაცრუებლად შენება გაგრძელდება.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# გუგული მაღრაძე: „ქვეყანაში პროცესებს ბიძინა ივანიშვილი მართავს“

შორენა კოწოწაშვილი

კოალიცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტიკური საბჭოს წევრი გუგული მაღრაძე აცხადებს, რომ საბოლოოდ დაიმსხვრა მითი იმის შესახებ, რომ რეგიონები მხარს უჭერენ ნაციონალურ მოძრაობას. გუგული მაღრაძემ გუშინ პრესკონფერენცია გამართა, რომელზეც გასული კვირის მოვლენები შეაჯამა და შეფასებები გააკეთა როგორც ქუთაისის აქციაზე, ისევე ჰილარი კლინტონის ვიზიტზე.



– ქუთაისის აქცია იყო ძალიან მნიშვნელოვანი, იმიტომ რომ დაიმსხვრა მითი იმის შესახებ, რომ რეგიონები მხარს ხელისუფლებას უჭერენ. თავისთავად ეს ალოგიკურიც იყო, იმიტომ რომ თბილისში უფრო სულმოთქმულია ხალხი, ვიდრე რეგიონებში და როგორ შეიძლება, თბილისი იყოს ოპოზიციური და რეგიონები მხარს უჭერდეს ხელისუფლებას, რომელმაც გაალატაკა და ამ დონემდე მიიყვანს ხელისუფლება. მაგრამ აქ აღმოჩნდა კიდევ ერთი ფაქტორი: ინფორმაციაც არა აქვთ, მაგრამ ძირითადად დაშინებული ჰყავთ ხალხი იმით, რომ სიღარიბის პროგრამიდან ამოიღებენ გაჭირვებულ ადამიანებს. ამ გაღატაკებული ადამიანებისთვის ეს შემწეობა ძალიან მნიშვნელოვანია. მასწავლებლებს ეუბნებიან, რომ მათ სამსახურიდან გაყრიან, თუ ხელისუფლების მხარეს არ იქნებიან. არის ხანდახან დაჭერებიც, დაშინებებიც, მაგრამ ამაზე უფრო მნიშვნელოვანია სოფლად მცხოვრები ადამიანებისთვის შიში იმის გამო, რომ ეს სოციალური შემწეობა არ დაკარგონ, იმიტომ რომ ადამიანების უმრავლესობა სწორედ ამ დახმარებაზეა ჩამოკიდებული, – განაცხადა გუგული მაღრაძემ და დაამატა, რომ ხალხი რაიონებში „ქართული ოცნებისგან“ მატერიალურ დახმარებას კი არ ელის, მათ ამ პოლიტიკური ძალისადმი ნდობა ამოძრავებთ.

– ქვეყანაში პოლიტიკას არა მმართველი ძალა, არამედ კოალიცია „ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი წარმართავენ, – აცხადებს გუგული მაღრაძე, რომელიც მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ადამიანებმა დაინახონ, რომ ცვლილებებს ჰყავს ავტორი. მისი თქმით, როგორც კი ოზურგეთის აქცია დაიგეგმა, სააკაშვილი მაშინვე ოზურგეთში ჩავიდა.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, სოფლად ხალხი აქციებს ვერ მოაწყობს, მაგრამ, როცა გამოჩნდა შესაძლებლობა პროტესტის გამოხატვისა ქუთაისის აქციის სახით, ადამიანებმა უკვე თამამად გამოხატეს თავიანთი პროტესტი და კოალიციის მიმართ მხარდაჭერა.

– ეს უფრო იყო მხარდაჭერა ბიძინა ივანიშვილის მიმართ, იმიტომ რომ ივანიშვილი მათთვის ნდობის ფაქტორია. ივანიშვილში ხალხი ძალასა და ნდობას ხედავს. ხედავენ, რომ ეს არის ისეთი იოლი, რომელსაც არჩევნებში გამარჯვებაც შეუძლია და იცის, რომ ქვეყანას მოუტანოს ისეთი ცხოვრება, რომ მათი ცხოვრებაც გაუმჯობესდეს, – აღნიშნა მაღრაძემ და ივანიშვილისადმი ხალხის ნდობა მის მიერ გაკეთებული საქმეებით ახსნა.

როგორც კოალიციის ერთ-ერთი ლიდერი აცხადებს, ქუთაისი არც შეიძლებოდა პროსახელისუფლებო ყოფილიყო, რადგანაც ქუთაისში პარლამენტის გადატანა და 150 ადამიანის დასაქმება, რომელზეც ხელისუფლება საუბრობდა, ქუთაისს დიდი შვებას ვერ მოუტანს. უბრალოდ, როგორც მაღრაძე განმარტავს, დღემდე არ იყო ისეთი ძალა, რომელიც მათთვის ნდობის მქონე იქნებოდა. ხალხი ასეთ ძალას აუცილებლად გაჰყვება და გაჰყვებოდა.

მაღრაძემ კომენტარი გააკეთა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მდივნის საქართველოში ვიზიტზე და აღნიშნა, რომ მან სააკაშვილს დაახლოებით ასეთი რამ უთხრა: როგორც მოსვლით გაგვახარე, ისე წასვლით გაგვახარეო.

– საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ კლინტონმა სააკაშვილს „მწვანე შუქი“ აუნთო, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. მე კარგად მესმის დიპლომატიური ენა და ვიცი, რას ნიშნავს, ამერიკის სახელმწიფო მდივანი როცა ამბობს, რომ ხელისუფლების დემოკრატიული გადაცემა უნდა მოხდეს. გადაცემა უნდა მოხდეს არა სააკაშვილისგან ბაქრაძეზე, არამედ ერთი პოლიტიკური ძალიდან მეორეზე. კლინტონმა სააკაშვილს უთხრა, როგორც მოსვლით გაგვახარე, ისე წასვლით გაგვახარეო, – განაცხადა პრესკონფერენციის ბოლოს გუგული მაღრაძემ.

***– ქალბატონო გუგული, რა ინფორმაციები გაქვთ, როგორ ემზადებოდა ხელისუფლება იმერეთში კოალიციის დასახვედრად? დაშინების გარდა, რა ზომებს მიმართავდნენ?***

– ყველაზე უფრო ამაზრზენი იყო ის, რომ ხელისუფლებამ 20 წლის სტუდენტ გოგონას სპეცოპერაცია მოუწყო. სპეცოპერაციაში რას ვგულისხმობ: წინასწარ შეაგზავნეს ახალგაზრდებში სპეციალური ჩამწერით აღჭურვილი სახელმწიფო დაცვის თანამშრომელი, ვინმე კოღუაშვილი, რომელმაც იმ პატარა სტუდენტ გოგონას, ნინო ყურუას, რომელმაც ფლაერები დაარიგა, არაერთხელ ჰკითხა, აქ რა დავწეროო? მან უპასუხა, რაც გინდა, ის დაწერე – ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა გინდა, დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობა. შემდეგ ამ კოღუაშვილმა უთხრა, რაიმე კონკრეტული შეიძლება ჩავწეროთო? თუ გინდა, დაწერეო, გოგონამ უპასუხა. ასეთი ტიპის ჩვენება იყო და ჩვენც ეს მოვისმინეთ. სპეცსამსახურის წარმომადგენელმა ისე გამოკვეთა, თითქოს ეს გოგონა ამომრჩევლის მოსყიდვას ახორციელებდა. ნინო ყურუა ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტია. ჩვენ ამ ფაქტით ძალიან აღვშფოთდით და გოგონა დავიცავით. მე, მინდია უგრეხელიძემ, სოზარ სუბარმა და ზვიად ძიძიგურმა დავწერეთ თავდების წერილი ამ გოგოს მიმართ. ვესწრებოდით მის სასამართლო პროცესსაც. ძალიან აღმაშფოთებელი იყო, რომ 20 წლის გოგონას სპეცოპერაციას უგეგმავ. ამ გოგოს გირაო შეუფარდეს. ძალიან ნიშანდობლივი იყო კიდევ სასამართლო. მინდია უგრეხელიძე ამბობდა, ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა, ესენი არიან იურისტებიო?! არა მეტყველება, არა საქმის გაცნობა. მოსამართლემ, რომელიც, მგონი, გვარად ახალბედაშვილი იყო, ამოიღო ძველი საარჩევნო კოდექსი. მერე დარბაზიდან ჩვენებმა შეუსწორეს, ეს ის კოდექსი არ არის, რომელიც გჭირდება და რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეთო. პროკურატურამ სტუდენტის მიმართ 3 000 ლარის გირაოს გადახდა მოითხოვა. ვითხოვდით, რომ გირაოს თანხა დაეწიათ. ვფიქრობდით, იქნებ მოსამართლემ თუნდაც 2 000 ლარი გამოუტანოს გირაოდ და ამით აჩვენოს, რომ მეც რაღაცას ვნიშნავო. მაგრამ მანაც ზუსტად იგივე გაიმეორა, რაც პროკურორმა თქვა.

***– რატომ მაინცდამაინც ეს კურსი აირჩია ხელისუფლებამ, რომ ივანიშვილი წარმოაჩინოს ისე, თითქოს ის ამომრჩევლის მოსყიდვას ახორციელებს?***

– ჯერ ერთი, ამით უნდათ, რაც შეიძლება ბევრი ფული ამოიღონ. გარდა ამისა, უნდათ, ამ გზით რაღაც პრეცედენტები დააგროვონ. იურისტები გაამახვილებენ ამაზე ყურადღებას, თუმცა მთავარია გამოიკვეთოს, ვინ არის სუბიექტი. ე.ი. ვინ უნდა იყოს ის სუბიექტი, რომელსაც აქვს უფლება, რომ დაეკისროს პასუხისმგებლობა ვიღაცის მოსყიდვის გამო. მაგალითად, ქუჩაში მიდის ადამიანი და ამბობს, ნაციონალური მოძრაობა შენ მოგცემს 1000 ლარს, შენ – 2 000 ლარს. რა ვქნათ, ისე გავიგოთ, რომ მართლა ამ თანხის მიმცემია და ამის თქმა მართლა დავალებული აქვს?! სუბიექტი უნდა იყოს პასუხისმგებელი პირი, ან პოლიტსაბჭოს წევრი, ან დეპუტატის უფლებამოსილების მქონე, რომელსაც აქვს უფლებამოსილება იმის შესახებ, რომ ჰპირდება – შენ თუ ამას გააკეთებ, მაშინ ამას მიიღებ.

***– ანუ ივანიშვილს ამომრჩეველთა მოსყიდვის მცდელობის გამო პასუხს ვერ მოსთხოვენ?***

– არა, როგორ მოსთხოვენ. ვინ ეტყვის, უთხარი, მაცივარს გიყიდი, თუ ხმას მომცემო. ასეთი რამის გჯერათ?! სხვათა შორის, სასამართლოზე პროკურორმა თქვა, ასეთ პროვოკატორებს კიდევ ბევრს შემოვაგზავნითო. პროვოკატორებს რა გამოლევს, ივანიშვილის პარტიაში კი არა, „ქალთა პარტია“ რომ შევქმენი, იქ მოვიდნენ პროვოკატორები. ჩემთვის გასაგები იყო, ვინ იყვნენ ესენი, მით უმეტეს, მე ისეთი საშიში არ ვიყავი ამ ხელისუფლებისთვის, როგორიც ბიძინა ივანიშვილი.

***– ქალბატონო გუგული, ბიძინა ივანიშვილმა ქუთაისის აქციაზე, სოციალური პროექტების გარდა, ყურადღება გაამახვილა კრიმინალებსა და კრიმინალებად გადაქცეულ ხელისუფლების წარმომადგენლებზე. სწორი და დროული იყო ამ აქცენტების გაკეთება?***

– მე მიმაჩნია, რომ აქცენტები იყო ძალიან სწორი. ზუსტად თბილისში იყოს ის აქცენტები, რაც უნდა ყოფილიყო; ქუთაისში იყო ის აქცენტები, რაც უნდა ყოფილიყო. დარწმუნებული ვარ, გურიაშიც ის აქცენტები დაისმება, რაც უნდა დაისვას, იმიტომ რომ არსებობს საზოგადოდ რაც ყველასთვის მნიშვნელოვანია და არსებობს ისეთი რაღაცები, რომლის მიმართაც ესა თუ ის რეგიონი უფრო მგრძნობიარეა. მაგალითად, ქუთაისი – მეორე საუნივერსიტეტო ქალაქი, ეს ძალიან კარგი მესიჯია, იმიტომ რომ ქუთაისი თავიდანვე ძალიან განათლებული და კულტურული ქალაქი იყო. მან ეს ფუნქცია დაკარგა და უნდა აღიდგინოს. პარლამენტი კი არ უნდა გადავიდეს ქუთაისში, იქ უნდა იყოს მჩქეფარე სტუდენტური და საგანმანათლებლო ცხოვრება. ქუთაისმა უნდა იგრძნოს, რომ ის არის მართლაც მეორე მნიშვნელოვანი ქალაქი საქართველოში. ასევე ყველა ქალაქს ექნება თავისი ფუნქციონალური დატვირთვა. ამა თუ იმ ქალაქში მცხოვრები ადამიანი ჩათვლის, რომ ის არის ძალიან ღირსეული მოქალაქე და ყველა ქალაქს თავისი დატვირთვა უნდა ჰქონდეს. ეს აქცენტები ივანიშვილის მხრიდან სწორად გაკეთდა. რაც შეეხება კრიმინალებს, იცით, რომ ქუთაისში იყო ძალიან ბევრი კანონიერი ქურდი. ძალიან ნათლად ჩანს, რომ ჩვენ გავაგრძელებთ კრიმინალთან ბრძოლას, მაგრამ, ამასთან ერთად, რაც ამ ხელისუფლებამ გააკეთა, რომ ის ჩვეულებრივი კრიმინალი, ასე ვთქვათ, მოსპო, მაგრამ თვითონ გახდა კრიმინალური ავტორიტეტის ტიპის რაღაცა. ამას ივანიშვილი ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ არ დაუშვებს. მან თქვა, რომ ელიტური კორუფცია არ იქნება. არ იქნება ისე, რომ ვიღაცა ჯგუფი ადამიანებისა ისე განკარგავდეს საქართველოს ქონებას, როგორც თვითონ გაუხარდებათ. ვფიქრობ, ეს ძალიან ზუსტი მესიჯი იყო. ბუნებრივია, კრიმინალთან ბრძოლაც იქნება და ელიტურ კორუფციასთანაც. რაც ნორმალურ სახელმწიფოში უნდა იყოს, ყველაფერი იქნება აქ. ჩვენ არ გვჭირდება ველოსიპედის გამოგონება. დემოკრატიულმა ქვეყნებმა რა გზაც, გაიარეს, რომ გახდნენ ნორმალური ქვეყნები, ჩვენც იმავე გზას გავივლით.

***– დაბოლოს, რაზე მიანიშნებს ის მრავალმილიონიანი ჯარიმები, რომლებიც ივანიშვილის ფაქტორიდან გამომდინარე დაეკისრათ მის სახელთან დაკავშირებულ ფირმებსა და თავად ივანიშვილს?***

– ეს, პირველ რიგში, იმაზე მიუთითებს, რომ ამ ხელისუფლებას დაუოკებელი მადა აქვს. რამიშვილმა იხუმრა, ეს ხელისუფლება წასვლას აპირებს და ფიქრობს, რაც შეიძლება მეტი ფული წაიღოს და რაც შეიძლება მეტად დააჯარიმოს ბიძინა ივანიშვილიო. ეს არის აბსოლუტურად უკანონო, უსამართლო პროცესი.

***– როგორია ამ ჯარიმების მიმართ უცხოელების პოზიცია?***

– უცხოელები უკვე საკმაოდ კარგად გაერკვნენ იმაში, რაც აქ ხდება. ის, რომ, მაგალითად, „გლობალ ტივის“ მეწილე ჩამოვიდა ამერიკიდან, ამერიკის ელჩთან შეხვედრა აქვს და არკვევს, რა ხდება ამ ქვეყანაში და რა სიტუაციაა, ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ ბიზნესწრეები მსგავს რაღაცებს ძალიან მკაცრ შეფასებას მისცემენ. როცა ბიზნესწრეები მკაცრ შეფასებას მისცემენ, მერე პოლიტიკური წრეებიც ასევე მოიქცევიან.

## „გლობალ ტვ“-ის ანტენების დემონტაჟი მოუწევს

– კომპანია „გლობალ ტვ“-ის საქართველოს მასშტაბით დამონტაჟებული ყველა სატელიტური ანტენის ჩამოხსნა მოუწევს. ამის შესახებ „თბილისი მარიოტში“ გამართულ პრესკონფერენციაზე „გლობალ ტვ“-ის უცხოელმა მეწილემ ალექსანდრე რონჟესმა განაცხადა. მისი განმარტებით, აღნიშნული ვალდებულება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დაეკისრათ, რომელმაც ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ისა და „იმედის“ მიერ მარტში შეტანილი სარჩელი დააკმაყოფილა.

„2012 წლის მარტში „რუსთავი-2“-ის, „ახალი არხის“, „მზის“, „საქართველოსგან“ მივიღეთ წერილი, რომ შეგვეწყვიტა მათი სიგნალის ტრანსლირება“, – აღნიშნა ამერიკელმა ბიზნესმენმა.

მისი განმარტებით, თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში, ტრანსლირების სრულად შეწყვეტა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. მოგვიანებით, „რუსთავი-2“-მა და „იმედმა“ უკვე სასამართლოს მიმართეს, რომ „გლობალ ტვ“-ის ნებისმიერი სახის ტრანსლირება უნდა შეეწყვიტა. სასამართლომ ეს გადაწყვეტილება დააკმაყოფილა და მისი გადაწყვეტილების შესასრულებლად ჩვენ ყველა სატელიტის ჩამოხსნა მოგვიწევს, რაც კი საქართველოს ტერიტორიაზე დამონტაჟებული“, – განაცხადა „გლობალ ტვ“-ის უცხოელმა მეწილემ. მისივე შეფასებით, ეს კომპანიის დახურვის ტოლფასი იქნება. „კომპანია „გლობალ ტვ“-ის აქამდე მზარდი ბიზნესი ჰქონდა. პირველად ხელისუფლებასთან პრობლემები მაშინ შეგვექმნა, როცა დავთანხმდით, რომ ჩვენს პაკეტში „მაესტრო“ ჩაგვერთო. პრობლემები გამწვავდა მას შემდეგ, რაც ოქტომბერში ოპოზიციური ფრონტის შექმნის შესახებ გაცხადდა და „გლობალ ტვ“ დათანხმდა „მე-9 არხის“ გაშუქებასაც. ბოლო პერიოდში 50-მდე სახელმწიფო სტრუქტურამ გაწყვიტა ჩვენთან კონტაქტი. აღნიშნული გადაწყვეტილება თავად აბონენტის პრეროგატივაა, მაგრამ ის ფაქტი, რომ 50-ივემ ეს მოახდინა ერთი და იმავე პერიოდში, ეს ჩვენთვის ნათელი მესიჯია. აღსანიშნავია, ისიც რომ „გლობალ ტვ-“ს აუკრძალეს სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობა. აღნიშნული შემთხვევების გამო ჩვენი კომპანია გაკოტრების საფრთხის წინაშეა“, – აღნიშნა რონჟესმა. „გლობალ ტვ“-ის უცხოელი მეწილის ინფორამციით, კომპანიას შესაბამისი ბაზარი ფაქტობრივად უკვე დატოვებული აქვს.

„11 000 აბონენტს ვემსახურებოდით, რაც ბაზრის დაახლოებით 6%-ს შეადგენს. იმ ყველაფერს კი რაც ახლა ხდება, ვუყურებ, როგორც ბიზნესპრობლემას. უნდა ხდებოდეს ჩემი, როგორც უცხოელი ინვესტორის წახალისება, რომ საქართველოში მეტი ინვესტიაცია განვახორციელო. თუმცა ის გზავნილი, რასაც სახელმწიფო უგზავნის უცხოელ ინვესტორებს მედიაში ინვესტირების თვალსაზრისით, უარყოფითია. მე ამერიკის მოქალაქე ვარ და ყველაზე მეტად რასაც ჩემს ქვეყანაში ვაფასებ, არის ის, რომ დაცულია ადამიანის ძირითადი უფლებები, ის კი რასაც ახლა აქ ვხედავ, არღვევს ქართველი ხალხის უფლებებს. განვიცდი, რომ მთავრობა არაფერს აკეთებს, რომ დაიცვას სიტყვის თავისუფლება, განვიცდი იმ ფაქტსაც რომ მთავრობას ურჩევნია, გაანადგუროს კომპანია, ვიდრე ის განვითარდეს და წვლილი შეიტანოს ეკონომიკის განვითარებაში“, – აღნიშნა „გლობალ ტვ“-ის უცხოელმა ინვესტორმა, რომელიც კომპანიაში 17%-იან წილს ფლობს.

**ინტერპრესნიუსი**



# სააკაშვილმა მილიონ ასი ათასი ლარი მიითვისა

## პარლამენტში საიმპიჩმენტო პროცედურა დაიწყო

გულიკო ბალაძე

### ინტერვიუ დეპუტატ ჯონდი ბაღათურიასთან

პარლამენტის წევრი ჯონდი ბაღათურია აცხადებს, რომ სააკაშვილი ელიტარული კორუფციის მამაა. რეალურად, სააკაშვილი კორუფციის სიმბოლოდ გადაიქცა. უფრო მეტიც, მან საქართველოს გატყავების ხარჯზე მილიარდები დააგროვა და ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანია მსოფლიოში.



***— ბატონო ჯონდი, თუ ქვეყნის პირველი პირი, მიხეილ სააკაშვილი კორუმპირებულია და საბუთებიც ხელთ გაქვთ, ერთი ორჯერ ამ საკითხის გახმოვანება საკმარისია? საერთოდ, სააკაშვილის კორუფციონერობაზე საზოგადოება უნდა გაჩუმდეს?***

— სააკაშვილის კორუმპირებულობაზე საზოგადოება, რა თქმა უნდა, არ უნდა გაჩუმდეს. ჯერ ერთი, ცალსახად მინდა გითხრათ, სააკაშვილი ნამდვილად არის კორუმპირებული. ქართულმა დასმა 187 გვერდიანი ტომი დადო, რომელშიც მთლიანად დოკუმენტური მასალებია სააკაშვილის კორუფციაში მონაწილეობის თაობაზე. ეს არის სახელმწიფო ქონების მიტაცება, დაფარული და არადეკლარირებული შემოსავლები, ძველი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, „ლევი“ შემოსავლები და უკანონო, დაუსაბუთებელი ქონება. თანაც, მასშტაბები არის საკმაოდ დიდი. სინამდვილეში კორუფციის მასშტაბები ასჯერ მეტი იქნება, მაგრამ მტკიცებულებები, რაც 187 გვერდზეა წარმოდგენილი, არის საკმაოდ მოცულობითი თანხობრივ განზომილებაშიც და დანაშაულთა ნუსხის ჩამოთვლაშიც. ამიტომ მიგვაჩნია, რომ სააკაშვილის წინააღმდეგ აუცილებლად უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე.

***— თქვენი დოკუმენტაციით, სააკაშვილის მიერ მითვისებული თანხა რამდენს შეადგენს?***

— რასაც ჩვენ ვამტკიცებთ, უკანონოდ მიღებული თანხა ფულად ერთეულებში მილიონ ასი ათას ლარს შეადგენს. ჩვენ სააკაშვილს ვუმტკიცებთ, რომ მან უკანონოდ მიიღო ეს თანხა და ამიტომ არ შეიტანა დეკლარაციაში. პრეზიდენტმა ორმაგი დანაშაული ჩაიდინა. ერთი, რომ პრეზიდენტს ამ თანხის მიღების უფლება არ ჰქონდა და, მეორე, მან ეს თანხა დეკლარაციაში არ შეიტანა, ანუ შეგნებულ დანაშაულთან გვაქვს საქმე. ასევე არის დაუსაბუთებელი ქონება, რომლის ღირებულება დაახლოებით მილიონნახევარია. მას მეტიც ექნება, მაგრამ ეს არის ის, რაც ჩვენ აღმოვაჩინეთ. მგონი, არ უნდა იყოს მცირე მასშტაბი. გარდა ამისა, პრეზიდენტის (სააკაშვილის) განკარგულებებით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება გადასულია მისი დედის საკუთრებაში. ასეთი თაღლითობა არაერთია. ალბათ, ექსპერტებმა და ფინანსისტებმა უნდა გააკეთონ ექსპერტიზა ამ ქონების ოდენობის თაობაზე. სააკაშვილმა ეს ქონება სხვადასხვა მაქინაციების გზით მიითვისა. მაგალითად, ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებული ქონება მინიმუმ 15-20 მილიონად შემიძლია შევაფასო. ასევე არის, მაგალითად, 10 ჰექტარი მიწა გადაცემული სააკაშვილის დედის საკუთრებაში (მიწა თბილისში ძვირი ღირს). ასე რომ, ძალიან დიდ ციფრებზე გავდივართ. არ მინდა ექსპერტების მაგივრად ვილაპარაკო. მე ვსაუბრობ მინიმალურ თანხაზე, რაც უკვე დამტკიცებულია და საკმარისია მის პასუხისგებაში მისაცემად, მაგრამ რადგან პროკურატურა და შს სამინისტრო დუმს, ჩვენ წამოვიწყეთ საიმპიჩმენტო პროცედურა. ამას სჭირდება პარლამენტის წევრთა ხელმოწერები, რათა პარლამენტმა განახორციელოს მისი იმპიჩმენტი.

***— თქვენ განაცხადეთ, ერთი ტომი დავდეთო...***

— პირველად 120 გვერდიანი ტომი დავდეთ. ახლა ის გაიზარდა და 187 გვერდამდე ავიდა.

***— ეს დოკუმენტაცია ახლა სად არის?***

— ეს დოკუმენტაცია არის გამოქვეყნებული, ელექტრონული ვერსია გადაგზავნილია საელჩოებში და თქვენც შეგიძლიათ იხილოთ.

***— პროკურატურას თუ გადაუგზავნეთ?***

— პროკურატურას არაერთხელ მივმართეთ საჯარო განცხადებით. მათ არ აინტერესებთ ჩვენი მასალები.

***— პროკურატურას დოკუმენტაცია გადაუგზავნეთ?***

— გადავუგზავნეთ კი არა, აქ დავიბარეთ, პარლამენტში და პასუხს გაერიდნენ. სააკაშვილის კორუმპირებულობაზე საუბარს გაექცნენ. შს მინისტრმაც, იუსტიციის მინისტრმაც და პროკურატურამაც სააკაშვილის კორუმპირებულობაზე საუბარზე თავხედურად უარი განაცხადეს. ასეთი მდგომარეობაა.

***— რით ახსნით იმას, რომ, მაგალითად, ჩიკაგოში სააკაშვილი სიკეთესა და თავის არაკორუმპირებულობაზე საუბრობდა და ამით თავს იწონებდა.***

— სააკაშვილს არ რცხვენია ტყუილების თქმა. ის ტყუილების სპეციალისტია და თავს იწონებდა დასავლეთის წინაშე. სააკაშვილი ძირითადად სწორედ იმ საკითხებზე ლაპარაკობდა, რომელზეც ის საერთოდ არ უნდა ლაპარაკობდეს. სააკაშვილმა კორუფციასა და ადამიანის უფლებებზე არ უნდა ილაპარაკოს იმიტომ, რომ ის არის კორუფციის მამა პირდაპირი გაგებით, გადაუჭარბებლად რომ ვთქვათ. ქვეყანაში, რა თქმა უნდა, არის ელიტური კორუფცია, მაგრამ ამ კორუფციის სათავეში თვითონ სააკაშვილი დგას. ხელისუფლების ვერც ერთი პირი ვერ ჩაერთვება კორუფციაში და ნაბიჯს ვერ გადადგამს, სააკაშვილის ნებართვისა და მისი ხელდასმის გარეშე. შესაბამისად, საერთოდ, სამარცხვინოა მისი მხრიდან ამ თემებზე საუბარი.

***— ბატონო ჯონდი, თქვენ კიდევ რის გაკეთება შეგიძლიათ, სამართლებრივი გზა ამოწურულია?***

— სამართლებრივი გზა არ გახლავთ ამოწურული. პარლამენტის წევრთა ხელმოწერებს ვაგროვებთ. 50 ხელმოწერა გვჭირდება იმისათვის, რომ დოკუმენტები გადაიგზავნოს საკონსტიტუციო და უზენაეს სასამართლოებში და მერე უკვე იქ, ისინი ვალდებული არიან რეაგირება მოახდინონ. შემდეგ იქ უნდა დავიწყოთ ამ საკითხის პედალირება. ბევრი რამ პარლამენტის წევრებზეა დამოკიდებული. ჯერჯერობით, ჩვენი ფრაქციის შემადგენლობა აწერს ხელს სააკაშვილის იმპიჩმენტს. არ დაგიმალავთ, მე მქონდა მოლაპარაკება უმცირესობასთანაც. მათ დრო ითხოვეს მოსაფიქრებლად, მოაწერენ თუ არა ხელს. თუ უმცირესობამ მოაწერა ხელი, 14 კაცი დაგვემატება და 21 ხელმოწერა გვექნება. მინდა გითხრათ, რომ უმრავლესობაშიც არის საკმაოდ გაბედული ხალხი. მაგალითად, ამას წინათ ჩემი პროექტი გადიოდა და 21-მა კაცმა მხარი დაუჭირა. ამ 21-მა კაცმა მხარი რომ დამიჭიროს სააკაშვილის იმპიჩმენტისთვის 42 ხმა იქნება. 8 ხმას როგორმე ვიშოვი. ამდენად, სააკაშვილის იმპიჩმენტის პერსპექტივა არის, თუ პარლამენტის წევრები ივაჟკაცებენ.

***— ე.ი. პერსპექტივა არის, რომ სააკაშვილს პასუხი მოეთხოვოს თავისი კორუმპირებული საქმიანობის გამო?***

— სააკაშვილს პასუხი ძალიან მალე მოეთხოვება, მაგრამ ვცდილობ, ეს ამ პარლამენტის ფორმატში მოხდეს. თორემ სააკაშვილს პასუხისმგებლობა აუცილებლად დაეკისრება. აბა, სააკაშვილს ვინ შეარჩენს? გაატყავა ხალხი, მიითვისა სახელმწიფო ქონება, გაქურდა ხაზინა. როგორ ფიქრობთ, ამას ვინ აპატიებს? თუ ვინმე ამისთვის არის განწყობილი, მე არ ვარ. არც ქართული საზოგადოება არის ამისთვის განწყობილი. სააკაშვილის სასახლეებში გაიხსნება ბავშვთა და მოხუცებულთა სახლები. ამას თქვენ ძალიან მალე ნახავთ.

***— ბატონო ჯონდი, იმ დოკუმენტებში, რომელიც თქვენ შეაგროვეთ სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების კორუფციული საქმიანობის თაობაზე, თუ არის საუბარი, 2008 წლის აგვისტოს ომის პერიოდში ქონების გადაფორმებაზე რომ იყვნენ დამეცადინებული? ძალიან ბევრჯერ გახმოვანდა ფაქტები, რომ ომის პერიოდში უმაღლესი რანგის კონკრეტულმა პირებმა და მათი ოჯახის წევრებმა სახელმწიფო ქონება გადაიფორმეს.***

— ჩემ მიერ შეგროვებულ დოკუმენტებში სააკაშვილის ოჯახის საქმენი საგმირონია შესული — დედის, მამის მიერ მითვისებული ქონებაა აღნუსხული. ჯერჯერობით, ბიოლოგიურ ოჯახზეა. ასეთი ფაქტები ჩემთვისაცაა ცნობილი, მაგრამ ჩვენ მხოლოდ დოკუმენტებით ვლაპარაკობთ. რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, იმის დოკუმენტები გვაქვს. მას ჩვენი ექსპერტები სწავლობენ და როცა ასეთი ფაქტები იქნება, როგორც დამამძიმებელ გარემოებას, როგორც მორალურად კიდევ უფრო მძიმე დანაშაულს, რა თქმა უნდა, გამოვაქვეყნებთ.

***— სწორედ ომის პერიოდში ქონების გადაფორმებაზე საუბრობდა თემურ შაშიაშვილი. თქვენ არ გქონიათ მასთან საუბარი ამ საკითხთან დაკავშირებით?***

— ამ თემაზე, არა.

***— თუ არ ვცდები, შაშიაშვილი ამბობდა, რომ მას აქვს ომის პერიოდში ქონების გადაფორმების ფაქტებზე დოკუმენტაცია.***

— შაშიაშვილთან ამ თემაზე საუბარი არ გვქონია, მაგრამ ჩვენ გვაქვს ინფორმაცია ამის თაობაზე და ახლა ვამუშავებთ მასალებს, ომის დროს ვინ რას იფორმებდა. ჩვენი ინფორმაციით, ასეთი ფაქტები არის, მაგრამ ახლა დოკუმენტების მოძიებას ვცდილობთ.

***— მათ შორის, სააკაშვილის დედის მიერ შენობის გადაფორმებაზეა საუბარი. გეპეის შენობა როდის არის გადაფორმებული?***

— გეპეის შენობა ჩვენს დოკუმენტებში არის. მისი გადაცემა რაღაც მაქინაციების გზით მოხდა. ახლა ჩვენი ექსპერტები ამის ანალიზს ახდენენ. შენობის გადაცემა დაახლოებით ემთხვევა ომის პერიოდს. გეპეის შენობის მითვისებას თავისი ისტორია აქვს. ასეთი პროცედურა იყო — ჯერ ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, გიული ალასანიამ და, თუ არ ვცდები, ნიკოლოზ ალასანიამ შექმნეს საქართველოს უნივერსიტეტი. დამფუძნებლებში შევიდა თვითონ ტექნიკური უნივერსიტეტი. საქართველოს უნივერსიტეტი, რომელიც ახლა არის მფლობელი იმ ტექნიკური უნივერსიტეტის მესამე კორპუსის, დააფუძნა ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა ხუროძემ, როგორც ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ალასანიამ და პირთა ჯგუფმა. შესაბამისად, სიმბოლურ ფასად, 200 ლარად, ხუროძემ, ანუ ტექნიკურმა უნივერსიტეტმა დათმო თავისი წილი, რომელიც გადავიდა ალასანიას, სანაძისა და ნიკოლოზ ალასანიას (სააკაშვილის ბიძაშვილის) საკუთრებაში. ამის თაობაზე ჩემთან დოკუმენტები არის და ექსპერტიზა უტარდება.

***— ბატონი ბიძინა ივანიშვილი ინტერვიუში ამბობს, რომ სააკაშვილს შესთავაზა, ოღონდ საქართველოში კორუფცია მოესპო, პირველ ეტაპზე 50 მილიონს, ხოლო მეორე ეტაპზე ასევე 50 მილიონს მისცემდა, ანუ სულ 100 მილიონს პირადად მას გადასცემდა.***

— რას ამბობთ, ხუმრობთ ალბათ, რა 100 მილიონი? მილიარდები აქვს ნაშოვნი და, ალბათ, მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი კაცია.

***— სააკაშვილი, ხომ?***

— რა თქმა უნდა. ქვეყანა გაქურდეს, ხალხი გაატყავეს. ყველა მათგანს ერთი და ორი საბანკო ანგარიში აქვს. ყველაფრის პატრონი ეგენი არიან, ბენზინის ბიზნესიდან დაწყებული. საქართველოში არ არსებობს ბიზნესი, სააკაშვილს და მის ოჯახს იქიდან შემოსავალი რომ არ ჰქონდეს. მარტო ბენზინის ბიზნესიდან, ბენზინის რეალიზაციიდან მინიმუმ 24 მილიონი შესდით ყოველთვიურად. წარმოიდგინეთ, რა ასტრონომიულ ციფრებზეა საუბარი.

# ივანიშვილმა გარშემო ბრიყვები შემოიკრიბა

შორენა გონგლაძე

### ინტერვიუ პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილთან

***— ბატონო ჰამლეტ, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის დაძაბულობამ რამდენად შეიძლება მიიღოს გაცილებით ფართო მასშტაბები და როგორ გავლენას იქონიებს ეს საქართველოზე?***

— ბოლო პერიოდის განმავლობაში ალიევის მხრიდან სისტემატურად ისმის მუქარის განცხადებები დაკარგულ ტერიტორიებთან დაკავშირებით. შეიარაღების თვალსაზრისით აზერბაიჯანი ძალიან სერიოზული წარმატებებით სარგებლობს, მას კარგი ურთიერთობები აქვს ისრაელთან. აზერბაიჯანში არის უპილოტო თვითმფრინავების ქარხანა. გარდა ამისა, სხვა სამხედრო ინტერესებიც აქვს აზერბაიჯანში. გაჩნდა დიდი ინტერესი ამერიკის მხრიდან კასპიის ზღვის აკვატორიისადმი, ვინაიდან კასპიის ზღვაში იცავს ენერგომატარებლებს, ეს ზღვა ჯერჯერობით არ არის დანაწილებული მის ირგვლივ მცხოვრებ ქვეყნებს შორის, არ არის დაყოფილი ზონებად, მაგრამ მიუხედავად ამისა, დასავლეთის მხრიდან და უპირველესად, ამერიკის მხრიდან არის მოთხოვნა, რომ თურქმენეთმა და აზერბაიჯანმა დაიწყოს კასპიის ზღვის ფსკერზე მილსადენის მშენებლობა, რასაც, ცხადია, ეწინააღმდეგება როგორც რუსეთი, ასევე ირანი. დაძაბულობის ეპიცენტრი უკვე ახლოაღმოსავლეთიდან გადმოდის კასპიის ზღვის აუზში და კავკასიაზე. ეს არის გამოწვეული კასპიის ზღვის ენერგომატარებლებით, ეს არის გამოწვეული ირანის საკითხებით და ასევე სირიის პრობლემებიდან გამომდინარე. როდესაც აქ იმყოფებოდა ქალბატონი კლინტონი, ის იმყოფებოდა არამარტო საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანშიც. მისი აქ ჩამოსვლის მიზეზი სულაც არ იყო მომავალი არჩევნები, მისი მიზანი იყო სწორედ ის საკითხები, რაზეც ვისაუბრე. ამერიკელებს სურთ აზერბაიჯანის მოდრეკა თავის სასარგებლოდ, არ არის გამორიცხული, რომ ის რადიო სალოკაციო სადგური, რომელიც არსებობს აზერბაიჯანში და განაგებენ რუსები, და მისი ფასის გამო აღარ უნდათ, სრულიად თავისუფლად შეუძლიათ, რომ ეს სადგური აზერბაიჯანმა გააქირაოს ამერიკელებზე. ეს ამერიკელებს ძალიან დიდ შესაძლებლობას მისცემს, ვინაიდან ეს რადიო სალოკაციო სადგური მოიცავს ძალიან დიდ ტერიტორიებს და, უპირველეს ყოვლისა, ირანს. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ამერიკელები აზერბაიჯანს ეხმარებიან კასპიის ზღვაზე საპატრულო პოლიციის შექმნაში. ეს თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ უკვე მესამე მხარე ჩნდება კასპიის ზღვის აუზში ამერიკელების სახით. რუსეთი ამბობს, რომ მესამე მხარის გამოჩენა კასპიის ზღვის აუზში გამოიწვევს კონფლიქტს. თუ გადავხედავთ მეორე მხარეს, ცენტრალურ აზიას და ავღანეთს და ჩინეთს, ეს უკვე ის ტერიტორიაა, სადაც ამერიკელების, ჩინეთის და რუსეთის ინტერესები ეჯახება ერთმანეთს. ამ საკითხებისთვის ბრძანდებოდა სწორედ აქ ქალბატონი კლინტონი.

***— მაგრამ საინტერესოა, რა პოზიციას დაიჭერს რუსეთი ამ შემთხვევაში, ვინაიდან მისი როლი გადამწყვეტი იქნება განვითარებულ პროცესებში..***

— ცოტა ხნის წინ, რუსეთის გენშტაბის უფროსმა გააკეთა განცხადება, რომ თუ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა განლაგდება რუსეთის საზღვრებთან, რუსეთი იტოვებს უფლებას ბირთვული თავდასხმისთვის. ცნობილია ის ფაქტიც, რომ სააკაშვილი ყელგამოწვდილი ეხვეწება ამერიკელებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დადგან ეს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა. თუ ამას დავუკავშირებთ იმასაც, რომ მედვედევმაც არ გამორიცხა ლოკალური ბირთვული შეხლა-შემოხლა, რამაც დასავლეთი შეაფუცხუნა, ეს მეტყველებს იმაზე, რომ მდგომარეობა არის საკმაოდ დაძაბული. როდესაც კლინტონი ბრძანდებოდა სომხეთში, მან, ცხადია, თავისი დახმარების ხელი გაუწოდა სომხეთს, დაპირდა დახმარებას, მან ანალოგიური ნაბიჯი გადადგა აზერბაიჯანში და რატომღაც ორივემ ჩათვალა, რომ ამერიკული დახმარება უფრო მეტია ერთისთვის, ვიდრე მეორისთვის და აქედან გამომდინარე ერთმანეთს დასცხეს. მართალია დროულად მოხდა



ამის შეჩერება, მაგრამ ეს მეტყველებს იმაზე, რომ ალიევის გაჩერება უკვე ჭირს. თუ ამათმა ერთმანეთს დასცხეს, არ არის გამორიცხული, რომ საქართველოში მყოფმა აზერბაიჯანელებმა და სომხებმაც დასცხონ ერთმანეთს და წარმოიდგინეთ, რა ბედნიერებაში მოუხდება ცხოვრება საქართველოს მაშინ, როდესაც საქართველოსაც გააჩნია თავისი ამბიციები რუსეთის საწინააღმდეგოდ. ამ ვითარებაში კი, ამერიკელი გამოდის არა როგორც დამაწყნარებელი, არამედ წამქეზებელი, ისევე, როგორც 2008 წელს. ის აგრესია, რომელიც განხორციელდა ქართული ხელისუფლების მხრიდან სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში, ეს ყველაფერი არის მომზადებული ამერიკულ-ებრაული ტანდემის მიერ. ამ ჯარს წვრთნიან ამერიკელი სპეციალისტები, იმ პერიოდში აქ იმყოფებოდა 1500 სამხედრო, იყვნენ ებრაელი ექსპერტები და სპეციალისტები. ეს ყველაფერი კი მეტყველებს ერთ რამეზე, რომ ამერიკას, რომელიც რატომღაც დარწმუნებულია, რომ საქართველო ამ კონფლიქტის გაწელვას შეძლებდა რამდენიმე ხნით, ძალიან მცდარი აზრი უნდა ჰქონდეს ამერიკის სადაზვერვო სამსახურს ამერიკასთან მიმართებაში, რომ ეფიქრა, საქართველო ამ ომს მოიგებდა რუსეთთან. მაგრამ ის, რომ ერთო-ორი კვირა გაეწელა, ამაზე კი ამერიკელები ფიქრობდნენ და შემდეგ ამაზე აიგებოდა ამერიკული პოლიტიკა და გაჩნდებოდა დასავლეთის მხრიდან შანსი, რომ როგორმე ჩარეულიყვნენ ამ კონფლიქტში სხვანაირად. რას ნიშნავს ჩარევა? ეს ნიშნავს იმას, რაც ხდება ახლო აღმოსავლეთში სირიასთან მიმართებაში. ეს არის ამ ქვეყნის გამწარებული ცხოვრება და ამ ყველაფრის მოთავე არის ამერიკის შეერთებული შტატები და რომელსაც ჰქვია ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი. სტრატეგიული პარტნიორი არის მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ გაატაროს საკუთარი სტრატეგიული ინტერესები. მას სულაც არ აინტერესებს საქართველოს ხალხი როგორ იცხოვრებს. მას რომ ეს აინტერესებდეს, ამ დროის მანძილზე რაღაცას იღონებდა ქართველი ხალხის მწვალებელი პრეზიდენტის მოსაშორებლად. ამას არ აკეთებს, პირიქით, ნახეთ კლინტონის ვიზიტი, თუ როგორ ჰქონდა გაბადრული სახე იმ დღენახევრის განმავლობაში. ოფიციალური პრესკონფერენციების დროს, აუგი არ დასცდენია საქართველოს რეფორმებზე და რა რეფორმებიც არის გატარებული კარგად ვიცით. ეს ნიშნავს იმას, რომ ეს ამერიკელი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეელევა სააკაშვილს, მათ მოსწონთ ეს ხელისუფლება. ხოლო რაც შეეხება კლინტონის სიტყვებს არჩევნებთან დაკავშირებით, ეს იყო ტრაფარეტული და მეტი არაფერი. გავიხსენოთ 2008 წლის არჩევნები, ჯერ არ იყო ხმები დათვლილი, რომ ბუშმა მიულოცა სააკაშვილს გამარჯვება, ახლა ჯერ არ არის არჩევნები დაწყებული და გასული წლის ნოემბერში ამერიკულმა ინსტიტუტებმა ასეთი გამოკითხვა აჯახეს ქართულ მოსახლეობას, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში 43 პროცენტით გამარჯვებული იქნება სააკაშვილი, მერე იქნება თარგამაძის პარტია და მერე იქნება ბიძინა ივანიშვილი, ხალხს თავში უჭედავენ, რომ ეს ასე იქნება. იბადება ასეთი კითხვა: შე მამაცხონებულო, თუ ამბობ, რომ უნდა ჩატარდეს დემოკრატიული არჩევნები, შენ მე მატყუებ? სააკაშვილმა ხვეწნა დაუწყო კლინტონს, რომ გამოგზავნეთ დამკვირვებლები, რომ რაც შეიძლება გამჭვირვალედ ჩატარდეს ეს არჩევნებიო, სასაცილო არ არის? კლინტონი ხომ ასეთ რამეს ვერ ეტყვის რომელიმე ევროპულ ქვეყანას, რადგანაც

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# გიორგი თარგამაძე; ლაზიკას მიშაპოლისი ან მიშაბურგი დავარქვათ“

## მაჭავარიანმა ქვეყანა 90–იან წლებში დააბრუნა

თეა მარხვაიძე

**მმართველი გუნდი ხშირად გვამცნის, რომ მათ შეაჩერეს ნგრევა, რომ აანთეს შუქი და პირობას დებენ, რომ ქვეყანას გასული საუკუნის 90-იან წლებში ვერავინ დააბრუნებს. მათი მტკიცებით, ამის გაკეთებას ოპოზიცია და განსაკუთრებით კი ბიძინა ივანიშვილი ცდილობენ.**

ივანიშვილის მცდელობის რა მოგახსენოთ, მაგრამ მიხეილ მაჭავარიანმა კი ნამდვილად სცადა საქართველოს დაბრუნება 90-იან წლებში. ის რომ ამ პერიოდს მისტიროდეს, გასაკვირი ნამდვილად არ არის. სწორედ იმ წლებში ამობრწყინდა მისი ვარსკვლავი და დღემდე კიაფობს პოლიტიკურ ორბიტაზე.

გუშინ პარლამენტის რიგგარეშე სხდომა გაიმართა. ამ სხდომას ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი უძღვებოდა. სხდომის დაწყებამდე კოლეგებს მან პრეზიდენტის განკარგულება გააცნო. გუშინდელი რიგგარეშე სხდომა სწორედ ამ განკარგულებით იქნა მოწვეული.

განკარგულების ტექსტი მაჭავარიანმა ერთი სულის მოთქმით ჩაარაკრაკა. თავში კი სერიოზული იალლიში მოუვიდა. სხდომის წამყვანმა თარილის გამოცხადების დროს ათასცხრასი წელიო თქვა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ უკვე 2012 წელი იყო და შეცდომა გამოასწორა. ასე იყო თუ ისე, მან საქართველო რამდენიმე წამით შავბნელ წარსულში დააბრუნა. ისე ახლა ამბობენ შავბნელიო, თორემ მაშინ ქვეყანაში არსებულ უდენობას საკმაოდ ნათელ ფერებში ხედავდნენ.

ახლა კი თავად სხდომის შესახებ. როგორც მოსალოდნელი იყო, სხდომა მშვიდად დაიწყო. გაიარეს თუ არა რეგისტრაცია, დეპუტატები მაშინვე გაიპარნენ სხდომათა დარბაზიდან. დარბაზში დარჩენილებიც ევროპის ჩემპიონატის მატჩებს განიხილავდნენ. ამ პოლემიკაში ფეხბურთის დიდი მოყვარული მაჭავარიანიც სიამოვნებით ჩაერთვებოდა, მაგრამ ის სასპიკერო ადგილზე იყო და სხდომას უძღვებოდა. თანაც რა სხდომას, გუშინ

პარლამენტმა ქალაქ ლაზიკის სტატუსთან დაკავშირებით საკონსტიტუციო ცვლილების განხილვა დაიწყო. ცნობისათვის, საკონსტიტუციო ცვლილებები პარლამენტში ერთი თვის წინ იყო ინიცირებული. თუმცა, მას შემდეგ, საყოველთაო საჯარო განხილვის კომისიებმა კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში, კერძოდ კი, ერთ თვეში საჯარო განხილვები მოაწყეს რეგიონებში. ახლა კი საკონსტიტუციო ცვლილებების საპარლამენტო განხილვების პროცედურა იწყება.

კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების მიხედვით, ქალაქ ლაზიკის სტატუსი ორგანული კანონით უნდა განისაზღვროს, თუმცა, როდის იქნება მზად ორგანული კანონი, ჯერჯერობით უცნობია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ქალაქ ლაზიკას საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით განსხვავებული სტატუსი ექნება და იქ იქნება განსხვავებული სამართლებრივი რეგულაციები.

ლაზიკამდე კი პარლამენტმა უშვილო წყვილებსა და სუროგატ დედებზე იმსჯელა. გუშინ ცნობილი გახდა, რომ უშვილო წყვილსა და სუროგატ დედას მათ უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით შესაძლოა ხელშეკრულების დადება და მისი ნოტარიუსთან დამოწმება მოუწიოთ.

ამასთან დაკავშირებით ცვლილება „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონში შედის.

ხელშეკრულებაში წყვილსა და სუროგატ დედას იმ საკითხებზე შეთანხმება შეეძლებათ, რომლებიც კანონმდებლობით არ იქნება დარეგულირებული.

კანონმდებლობით კი დადგენილი იქნება უშვილო წყვილის ვალდებულება, აანაზღაუროს ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ხელოვნური ჩასახვის ტექნოლოგიის (ტექნოლოგიების) განხორციელებასთან და სუროგატი დედისათვის კანონით დადგენილი წესით სამედიცინო გამოკვლევების ჩატარებასთან.

ასევე, წყვილმა უნდა აანაზღაუროს სუროგატული დედის ორსულობასთან, მშობიარობასთან, მშობიარობის შემდგომ პერიოდთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურებასა და დაბადებული ბავშვის სამშობიაროში მოვლასთან და მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები; სუროგაციის ხელშეკრულების გაფორმებისათვის აუცილებელი იურიდიული და სხვა მომსახურებისათვის არსებული ხარჯები; სუროგაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ხარჯი, მათ შორის შესაძლო შემოსავლის დანაკარგი თუ ანაზღაურება არ გულისხმობს სუროგატი დედის მიერ ფინანსურ მოგებას.

კანონპროექტითვე, უშვილო წყვილი ვალდებული იქნება დაიცვას სუროგატული დედის ვინაობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა როგორც ბავშვის დაბადებამდე, ისე მის შემდეგ, თუ ამას მოითხოვს სუროგატული დედა. სუროგატი დედის ეს სურვილი, წყვილსა და მას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში უნდა იყოს ასახული. ამ კანონპროექტის განხილვას პარლამენტი ახლო მომავალში შეუდგება.

გუშინვე მთავრობამ პარლამენტს განსახილველად „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ სრულიად ახალი კანონპროექტი წარუდგინა. როგორც მთავრობის საპარლამენტო მდივანმა, გია ხუროშვილმა ჟურნალისტებს განუმარტა, პროექტი ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების თაობაზე დაწყებული მოლაპარაკებებიდან გამომდინარეობს.



კანონპროექტით განისაზღვრება სავაჭრო-სამრეწველო პალატის ფორმირების წესი, მისი სამართლებრივი სტატუსი, სტრუქტურა და ძირითადი ფუნქციები, ასევე ამ ფუნქციების აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატებისთვის დელეგირების წესი, ასევე ხდება პალატის მიერ მომსახურების ელექტრონულად გაწევის შესაძლებლობის და ამის შესაბამისად მომზადებული დოკუმენტების იურიდიული ძალის განსაზღვრა. პარლამენტი ამ კანონის განხილვასაც ახლო მომავალში შეუდგება.

სანამ ლაზიკის შესახებ პარლამენტის სხდომა იმსჯელებს, ის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე განიხილეს. ალბათ ეჭვი არ გეპარებათ, რომ ეს პროექტი მოწონებული იქნა.

ჩვენი საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია, რომ სალაზიკოდ კონსტიტუციაში შედის ცვლილებები, რომლის თანახმადაც ამ ქალაქს განსაკუთრებული სტატუსი ექნება. მმართველ გუნდს ეჭვი არ ეპარება, რომ ლაზიკა მთელი მსოფლიოს მარგალიტი გახდება. ნაცმოძი ამტკიცებს, რომ ეს ქალაქი ძალიან მალე აშენდება.

ამ მიზნის მისაღწევად კი მარტო კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა არ კმარა. ადგილი, სადაც ის ქალაქი უნდა აშენდეს, კოლხეთის ეროვნული პარკს ეკუთვნის. ეროვნულ პარკებს კი საერთაშორისო კანონმდებლობა იცავს. სხვა ქვეყნებში ეს დიდი დაბრკოლება იქნებოდა. აი, საქართველოში კი ასეთი რამე პრობლემა არ არის. განსაკუთრებით მაშინ, თუ საქმე სააკაშვილის ნებიერა — ლაზიკას ეხება.

ეროვნული პარკების შემცირებაზე პარლამენტმა უკვე იმსჯელა. კოლხეთის ეროვნულ პარკამდე ყაზბეგის ეროვნული პარკი შეამცირეს. იქ 2 ჰესის აშენებას შეეწირა ნაკრძალის ტერიტორიის ნაწილი.

ეროვნული პარკების ჭრა-კერვით ოპოებმა არაერთხელ გაინერვიულეს თავი. აღშფოთება გუშინ კიდევ ერთხელ გამოხატა ჯონდი ბაღათურიამ. მისი თქმით, ლაზიკის აშენებას ხელისუფლება შავი ფულით აპირებს.

— ფაქტიურად, მშენებლობა, რომელიც ამჟამად მომავალი ქალაქის ტერიტორიაზე მიმდინარეობს, უკანონოა და შავი ფულით ხორციელდება. რა თანხა უნდა დაიხარჯოს მშენებლობის პროექტზე 2013 წლის ბიუჯეტიდან და ასევე, წლევანდელი ბიუჯეტის რომელი მუხლის თანახმად ხორციელდება ხარჯების გაწევა იუსტიციის სახლის მიმდინარე მშენებლობაზე. თუ ვერ მიმითითებთ, ეს მშენებლობა უკანონოა და მარცხენა ფულით ხორციელდება. შესაბამისი მუხლი ბიუჯეტში არ არსებობს. ასევე, უცნობია, რომელი კომპანიები აწარმოებენ მშენებლობას და შეირჩნენ თუ არა ისინი ტენდერის საფუძველზე. ეს არის ნათელი დასტური ქვეყანაში ელიტური კორუფციის არსებობის და შავი ფულის ბრუნვის, რაც, დეპუტატის თქმით, სისხლის სამართლის დანაშაულია, რასთანაც პრეზიდენტს აქვს კავშირი. თუ სახელმწიფოს ჭაობში იუსტიციის სახლის ასაშენებლად მილიარდები აქვს და ამავე დროს პენსიის საარსებო მინიმუმამდე გაზრდაზე უარს ამბობს, ტრაგედიაა, — განაცხადა კომიტეტის სხდომაზე ბაღათურიამ.

იურიდიული კომიტეტის სხდომაზე ოპოზიციონერი დეპუტატის ცნობისმოყვარეობა ვერ დააკმაყოფილეს. ის პავლე კუბლაშვილმა უპასუხისმგებლო განცხადებების გაკეთებაში დაადანაშაულა და როგორც მოსალოდნელი იყო, ბაღათურიას აღშფოთების მიუხედავად, პროექტი მოიწონეს.

ლაზიკაზე სჯა-ბაასი პარლამენტის სხდომაზეც გაგრძელდა. ამ ქალაქის მიმართ ბაღათურიას მსგავსად პროტესტი სხვა ოპოზიციონერებმაც გამოთქვეს. სალაზიკო განწყობას არც ქრისტიან-დემოკრატები იზიარებენ. მათი სახელით უკმაყოფილება გიორგი თარგამაძემ დააფიქსირა.

ამასთან მან ნაციონალური მოძრაობის წევრებს იდეებიც შესთავაზა. მართალია ნაცმოძი იდეების ნაკლებობას არ უჩივის, მაგრამ თარგამაძემ მაინც გამოიდო თავი. ის უმრავლესობას პრეზიდენტის ახირების ბოლომდე შესრულებას და ქალაქ ლაზიკისთვის მიშაპოლისის ან მიშაბურგის დარქმევას სთავაზობს.

— მიხეილ სააკაშვილმა რაც არ უნდა პროექტები ახორციელოს სხვადასხვა ქალაქებში, კონკრეტული ქალაქი მის სახელთან მაინც ვერ იქნება დაკავშირებული. ამიტომაც, მიხეილ სააკაშვილს სურვილი და პირადი ამბიცია აქვს, რომ ისტორიაში მის სახელთან დაკავშირებული არქიტექტურული საქალაქო ძეგლი შევიდეს და ასე მოახდინოს მისი სახელის „უკვდავყოფა“. სააკაშვილს საკუთარი სახელის უკვდავყოფა ხალხის ფულით და ხალხის ნერვების ფასად სურს. ამიტომ უმრავლესობას ვთავაზობთ ბოლომდე დააკმაყოფილონ სააკაშვილის ამბიციები და კონსტიტუციაში ლაზიკის ნაცვლად, მიშაპოლისი ან მიშაბურგერი ჩაწერონ. ეს გასაგები იქნება საზოგადოებისთვისაც, — განაცხადა გიორგი თარგამაძემ.

ახლა ისე არ გაიგოთ, რომ საპარლამენტო ოპოზიცია დედა-ბუდიანად ეწინააღმდეგება ლაზიკას. გურამ ჩახვაძე მაგალითად სულ სხვა აზრისაა. ის მოხარულია, რომ ახალი ქალაქი შენდება.

# ხეთაგური უგულავასა და ხაჩიძეზე უკეთესი მჩეხელი გამოდგა

თეა მარხვაიძე

ენერგეტიკის მინისტრი ალეკო ხეთაგური, რომელიც განათებულ საქართველოსთან ასოცირდება. ასალი ტიტულის მფლობელი გახდა. ეს ტიტული მას ეკოლოგიური სამართლის ცენტრმა მიანიჭა.

სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვება ყველასთვის, მათ შორის მინისტრებისთვისაც საპატიოა. თუმცა საეჭვოა ალეკო ხეთაგურს ეს გამარჯვება გაუხარდეს. არადა მან გიგი უგულავას და გოგა ხაჩიძეს აჯობა.

ხეთაგური თბილისის მერთან და გარემოს დაცვის მინისტრთან ერთად საპატიო მჩეხველის ნომინაციზე იყო წარდგენილი.



„ეკოლოგიური სამართლის ცენტრმა“ 2011-2012 წლის მონაცემებით წლის საპატიო მჩეხველის ნომინაცია ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს ალექსანდრე ხეთაგურს გადასცა.

— ხეთაგურის უწყებამ საქართველოს ეკოსისტემას უდიდესი ზიანი მიაყენა ხეების გაჩეხვის მხრივ. მისი თქმით, არცერთ ქვეყანაში არ ხდება სახელმწიფოს მიერ ტყეების მიმართ ასე უპასუხისმგებლო მოპყრობა. ტყის მცველებს არ აქვთ არანაირი ტექნიკური აღჭურვილობა და იარაღი, რომ დაიცვან ტყის მასივები; არ კონტროლდება იჯარით გაცემული ტყის მასივებში არსებული მდგომარეობა და იქ ხშირად მიდის უკანონო ჭრები; არ ტარდება ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები, — განაცხადა „ეკოლოგიური სამართლის ცენტრის“ ხელმძღვანელმა ნიკოლოზ მჟავანაძემ.

მჟავანაძე იმის გამოც არის აღშფოთებული, რომ ტყის მცველებს სათანადო ხელფასი არა აქვთ. ტყის დარაჯებს არც იარალი ჰქონიათ თურმე.

— ენერგეტიკის სამინისტროს დაქვემდებრაებაშია 1 961 098 ჰა ტყის მასივი, რომელსაც სამინისტროს ინფორმაციით, 481 ტყის მცველი იცავს. თითო მცველს უწევს 4 158 ჰა ტყის ფართობის დაცვა, რაც ყოვლად წარმოუდგენელი და შეუძლებელია. თვითონ მინისტრს 8 ათასი ლარი აქვს ხელფასი, ხოლო რეინჯერს — 500 ლარი და ყოველგვარი იარაღისა და აღჭურვილობის გარეშე უნდა დაიცვას ამხელა ფართობი. ელემენტარულად ნადირისგან მაინც ხომ სჭირდება დაცვა? — კითხვას სვამს მჟავანაძე.

ცნობისათვის, 1 წლის წინ გარემოს დაცვის სამინისტროს რეორგანიზაციის შედეგად საქართველოს ტყეების უდიდესი ნაწილი 1 961 098 ჰა გადავიდა საქარველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მართვაში.

ეკოლოგიურ სამართლის ცენტრის მონაცემებით მათ შეადგინეს უკანონო ჭრის სტატისტიკა, რომელიც კუბური მეტრის მიხედვით ასე გამოიყურება: თბილისი-20. 000, აჭარა — 29. 000, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე — 39. 585, გურია — 10.989, იმერეთი — 9.000, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთი — 14.000, შიდა ქართლი -7.000, მცხეთა-მთიანეთის — 30.000, კახეთი — 20.000, ქვ. ქართლი — 8.000, სამცხე-ჯავახეთი — 37.000, საბოლოო ჯამში უკანონდ მოიჭრა 224.574 კუბური მეტრი.

— ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციით ცხადი ხდება, რომ ტყეებში არსებული კატასტროფული სიტუაცია შედეგია იმ არაპროფესიონალური და დაუდევარი მიდგომისა, რომელსაც ხეთაგური იჩენს სატყეო სექტორის მიმართ. — განაცხადა „ეკოლოგიური სამართლის ცენტრის“ ხელმძღვანელმა.

ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით, ხეების უკანონო ჭრა სისხლის სამართლის დანაშაულია და თავიანთ ხელთ არსებულ ყველა მასალას დღესვე პროკურატურას მიაწვდიან.

მჟავანაძის განცხადებით, ცენტრი ხელისუფლებისგან მოითხოვს, მეტი ყურადღება მიაქციოს ტყის მასივებსა და მათ დაცვას და მოუწოდებს, შეცვალოს კანონი გრძელვადიანი იჯარების შესახებ, რომლის მიხედვითაც პირს 49 წლით გადაეცემა ტყის ფართობი, რომელსაც, ბუნებრივია, საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენებს.

ამ ნომინაციაში ალექსანდრე ხეთაგურს ორი კონკურენტი ჰყავდა გიგი უგულავასა და გოგა ხაჩიძის სახით, თუმცა გამარჯვებული ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი გახდა.

ცენტრი ფოსტის მეშვეობით გადაუგზავნის დიპლომს ალექსანდრე ხეთაგურს და იმედს იტოვებს, რომ მის კაბინეტში საპატიო ადგილს დაიკავებს.

თუმცა საეჭვოა ხეთაგურმა ეკოლოგიური სამართლის ცენტრს ეს სურვილი აუსრულოს.

## მემარჯვენეების“ ინფორმაციით, მარტვილის რაიონის სოფლებს თეთრი პეპელა შეესია

პარტია „ახალი მემარჯვენეების“ ინფორმაციით, მარტვილის რაიონის სოფლებს თეთრი პეპელა შეესისა.

„მემარჯვენეები“ სოფლის მეურნეობის მინისტრს ზაზა გოროზიას რაიონის სოფლებისთვის ყურადღების მიქცევას სთხოვს.

„ჩვენ დიდი ხანია ვითხოვდით, რომ ხელისუფლებას საგანგებო ზომები გაეტარებინა ამ მავნებლის გავრცელების საწინააღმდეგოდ, მაგრამ უშედეგოდ .პრობლემის მოგვარების მხოლოდ სატელევიზიო კამპანია ვნახეთ“-განაცხადა პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა მანანა ნაჭყებიამ.

ნაჭყებიას თქმით, მარტვილის რაიონს სასწრაფოდ შველა სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, მავნე მწერი ბაღ-ბოსტნებს გაანადგურებს.

ნიუსპრესი

# წყალი ყველა სოფელს ექნება

ნათია ხურცილავა

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უახლოეს პერიოდში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით ახალი ინიციატივით გამოვა. როგორც პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ განაცხადა, ეს ეხება 24-საათიან წყალმომარაგებას საქართველოს ყველა ქალაქში და ასევე სოფლებში წყალგაყვანილობის სისტემის მოწყობას.**



— ეს არის ინიციატივა, რომლის შესახებაც საქართველოს პრეზიდენტი უახლოეს დღეებში ისაუბრებს, — განაცხადა მანანა მანჯგალაძემ. მანჯგალაძის განცხადებით, ეს არის პროგრამა, რომელი სოფლებსა და რაიონებში წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესებას მოემსახურება.

ინიციატივა ეხება ქალაქებს ბათუმს, ფოთს, ქუთაისს და ასევე უკლებლივ ყველა რაიონულ ცენტრს და საქართველოს თითქმის ყველა სოფელს. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია მთიან ყარაბაღში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით კომენტარისგან თავს იკავებს.

როგორც პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ ტრადიციულ ბრიფინგზე განაცხადა, პრეზიდენტის ადმინისტრაცია სისტემატურად იღებს ინფორმაციას შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, თუმცა ამ ეტაპზე კომენტარისგან თავს შეიკავებს.

მთიანი ყარაბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე და აზერბაიჯან-სომხეთის საზღვრის სხვა მონაკვეთებზე ორმხრივი სროლა რამდენიმე დღეა, განახლდა. გასულ კვირას შეტაკებას ხუთი აზერბაიჯანელი და სამი სომეხი ჯარისკაცი ემსხვერპლა. ამასთან, სომხური მედია იუწყება, რომ მსხვერპლია მშვიდობიან მოსახლეობაშიც.

პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ გუშინ გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე ასევე საგამოცდო სისტემის რეფორმაზე დეტალურად ისაუბრა. როგორც მანჯგალაძემ აღნიშნა, საატესტატო გამოცდების დანერგვამ და წარმატებით განხორციელებამ საგამოცდო სისტემის განვითარების და მოდერნიზაციის საჭიროება წარმოქმნა. მანჯგალაძის განცხადებით, საატესტატო გამოცდები უკვე ორი წელია მიმდინარეობს და განათლების სამინისტრომ საჭიროდ ჩათვალა, მის მოდერნიზაციასა და გაუმჯობესებაზე ემუშავა.

მანანა მანჯგალაძის განცხადებით, 2013 წელს უკვე შესაძლებელი იქნება 8+4 მოდელი 8+1 მოდელით შეიცვალოს, რაც მსოფლიოში აღიარებული სისტემაა. მისი თქმით, საქართველოში უკვე ორი წელია გამოცდები 8+4 მოდელით ტარდება, 8+1 მოდელი კი გულისხმობს, სავალდებულო საგანში საატესტატო გამოცდას, რომელსაც მოსწავლეები მთელი საქართველოს მასშტაბით ცენტრალიზებულად ჩააბარებენ. ამ რვა გამოცდას ემატება ერთი გამოცდა უნარ-ჩვევებში, რომელიც სკოლაში ჩატარდება.

—8+1 მოდელი იმით არის მიმზიდველი, რომ მოსწავლეს არ უწევს ერთსა და იმავე საგანში გამოცდაზე ორჯერ გასვლა, ასევე, თუ 8+4 მოდელის ფარგლებში აბიტურიენტს ერთიან ეროვნულ გამოცდაზე 4 ან რიგ შემთხვევაში 5 გამოცდის თანხის გადახდა უწევდა, ახალი მეთოდით, ის მხოლოდ ერთი გამოცდის საფასურს გადაიხდის, — განაცხადა მანჯგალაძემ. მისი განცხადებით, ამერიკის, საფრანგეთის, გერმანიის საგამოცდო სისტემაც მუდმივ განახლებასა და მოდერნიზაციას განიცდის. პრეზიდენტის პრესსპიკერის გამარტებით, საქართველო ჩართულია ბოლონიის პროცესში და არის ლისაბონის კომისიის მონაწილე და იმისთვის, რომ საქართველო იყოს ერთიანი ევროპული უმაღლესი განათლების ნაწილი, ქვეყანა ვალდებულია ის წარმატებული გამოცდილება გაიზიაროს, რომელიც ამ ქვეყნებშია დანერგილი და აღიარებული.

— 2005 წელს, როდესაც პირველად ჩატარდა ერთიანი ეროვნული გამოცდები, ქვეყანა აბსოლუტურად სხვა გამოწვევების წინაშე იდგა. ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღებით მოხდა მნიშვნელოვანი გარდატეხა ქართული განათლების სისტემაში. ამ მოდელით სრულიად აღმოიფხვრა კორუფციული სისტემა და მოსწავლეებს მიეცათ შესაძლებლობა, მხოლოდ თავიანთი ცოდნით მოხვედრილიყვნენ უმაღლეს სასწავლებლებში, — განაცხადა მანჯგალაძემ.

პრეზიდენტის პრესსპიკერის განცხადებით, სტუდენტური ბარათების პროგრამაში მონაწილეობის სურვილი ძალიან ბევრმა კერძო კომპანიამ გამოთქვა. როგორც მანჯგალაძემ გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე განაცხადა, პროგრამაში ეს კომპანიები სახელმწიფო უწყებებთან ერთად ჩაერთვებიან.

— საქართველოს პრეზიდენტს საშუალება ჰქონდა, ოზურგეთში სტუდენტების პირველი ჯგუფისთვის სტუდენტური ბარათები გადაეცა. ეს იყო შესრულება იმ დაპირებისა, რომელიც პრეზიდენტმა რამდენიმე თვის წინ გააჟღერა. განათლებისა და იუსტიციის სამინისტროების ერთობლივი მუშაობის შედეგად, შესაძლებელი იქნება, მომდევნო რამდენიმე თვის განმავლობაში ჩვენს სტუდენტებს ეს ბარათები გადავცეთ, რაც მათ ხარჯებს შეუმსუბუქებს და საშუალებას მისცემს, ბევრი რამ მათთვის ხელმისაწვდომი გახდეს, — განაცხადა მანანა მანჯგალაძემ.

# ამომრჩეველთა სიები 1 აგვისტოს დაიდება

## რისი იმედი აქვს მამუკა კაციტაძეს

ნათია ხურცილავა

**მამუკა კაციტაძე აცხადებს, რომ 1 აგვისტოს ამომრჩეველთა სრულყოფილ და დაზუსტებულ სიებს დადებს. კაციტაძის კომისია უფლებამოსილების ვადის გახანგრძლივებას ითხოვს, რასაც კომისიის შემადგენლობა იმით ხსნის, რომ მათ სურთ, მონიტორინგი გაუწიონ თავად არჩევნების დღეს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოს.**

ამ დროისთვის ამომრჩეველთა სიების დაზუსტების კომისია საველე სამუშაოებს აგრძელებს, რომელიც მიმდინარე კვირას დასრულდება. ამომრჩეველთა სიების დაზუსტების კომისიის თავმჯდომარე მამუკა კაციტაძე გუშინ ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრა დახურულ ფორმატში გაიმართა. როგორც შეხვედრის დაწყებამდე კაციტაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებს კარდაკარის მიმდინარეობის შუალედურ შედეგებს გააცნობს.

გარდა ამისა, კაციტაძემ მისიის წარმომადგენლებს კარდაკარის მიმდინარეობისას წარმოქმნილი პრობლემების შესახებაც მიაწოდა ინფორმაცია.

მამუკა კაციტაძის განცხადებით, ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა, რაც ამ პერიოდში შეიქმნა, იყო დამისამართების პრობლემა. გარდა ამისა, არსებობს საზღვარგარეთ მყოფთა აღრიცხვის და ასევე ე.წ. მიწერილების პრობლემაც.

მამუკა კაციტაძე, ამომრჩეველთა სიების დაზუსტების კომისიის თავმჯდომარე:

— საზღვარგარეთ გასულების არაჯეროვანი აღნუსხვა, ასევე ამომრჩეველთა სიის განტვირთვა მოქალაქეთა მიწერებისგან, დამისამართების პრობლემის მუდმივი არსებობა სიებში, ასევე გარდაცვლილების დატოვება ამომრჩეველთა სიაში, ყველა ეს საკითხი მუდმივად იყო ეუთოს მისიის მიერ დასკვნით დოკუმენტებში განსაკუთრებული აქცენტის საგანი. შესაბამისად სწორედ ეს საკითხები ვაქციეთ ჩვენ, ჩვენს ძირითად მიმართულებებად კარდაკარის აქციის დროს.

ამომრჩეველთა სიების დაზუსტების კომისიამ ეუთოს დელეგაციას უკვე ჩატარებული სამუშაოების შედეგები გააცნო.

—შეხვედრამ ძალიან საინტერესოდ ჩაიარა. ჩვენ მათ გავაცანით მიმდინარე და ჩატარებული სამუშაოების ძირითადი შედეგები. ვისაუბრეთ ასევე არსებულ ნაკლოვანებებზე. ეუთოს მისიის წარმომადგენლების მხრიდან საინტერესო რეკომენდაციები მივიღეთ, რომლებსაც სამომავლოდ დარჩენილი სამუშაოების დროს გავითვალისწინებთ, — განაცხადა მამუკა კაციტაძემ. მისივე განმარტებით, ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია პირველი აგვისტოსთვის ამომრჩეველთა საბოლოო სიებს წარმოადგენს. ამის შემდეგ კი, მოსახლეობას თავად შეეძლება ცხელ ხაზზე დარეკვის საშუალებით, ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით, საკუთარი თავი ამომრჩეველთა სიაში გადაამოწმოს. ეუთოს სადამკვირვებლო მისია, რომელიც საპარლამენტო არჩევნებს მონიტორინგს გაუწევს, უკვე თბილისშია. ეუთოს დამკვირვებლების მიერ დადებულ დასკვნას არჩევნების სამართლიანად ჩატარებასთან დაკავშირებით საქართველოში ყოველთვის ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა.



საპარლამენტო არჩევნები, რომელიც კონსტიტუციის მიხედვით 2012 წლის შემოდგომაზე, ოქტომბერში უნდა ჩატარდეს, განსაკუთრებული დაკვირვების ქვეშ მოექცევა და ამის შესახებ არაერთი განცხადება უკვე გაკეთდა.

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ასევე ევროპიდან არაერთი სადამკვირვებლო ჯგუფი ჩამოვა, რომლებიც არა მხოლოდ არჩევნების დღესთან დაკავშირებით დადებენ მონიტორინგის შედეგებს, არამედ წინასაარჩევნო პერიოდთან დაკავშირებითაც.

ეუთოს დელეგაცია აქტიურად ინტერესდება არჩევნებთან დაკავშირებით. ეუთოს დელეგაციას აინტერესებს, რა მეთოდოლოგიით ხდება ამომრჩეველთა სიის დადგენა. როგორი არის კარდაკარ გადამოწმების მეთოდი.

ამომრჩეველთა სიების დაზუსტების კომისიის წევრებმა ეუთოს დელეგაციას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რა სახის სამუშაოები იქნა ჩატარებული და როგორია შედეგები, რომელიც კომისიას ხელთ აქვს.

კომისიის წევრების განცხადებით, ისინი სწორედ იმ პრინციპითა და მეთოდებით მუშაობდნენ, რომლებიც ეუთოს ანგარიშშია მოცემული.

აღნიშნული ანგარიში ეუთოს ორგანიზაციამ საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ გამოაქვეყნა.

კომისიის წევრების განცხადებით, ისინი სწორედ იმ ხარვეზების გამოსასწორებლად მუშაობდნენ, რომელიც აღნიშნულ დოკუმენტში იყო მოცემული.

ამომრჩეველთა დაზუსტების კომისიამ, ეუთოს დელეგაციის გარდა, შეხვედრა ასევე გამართა კანონმდებლებთან.

შეხვედრაზე განიხილეს საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებები, რომელთან დაკავშირებითაც კომისიამ თავად მოამზადა გარკვეული ინიციატივები. როგორც ცნობილია, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეებმა რეგისტრაცია გაიარონ და ხმას მისცენ საცხოვრებელი მისამართის მიხედვით და არა ერთ საარჩევნო ოლქში, როგორც ცვლილებათა პროექტშია გათვალისწინებული.

ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქე, რომელიც დაბადებულია და ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობს საქართველოში, ამომრჩეველთა ერთიან სიაში მისი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შევა. აღნიშნულთან დაკავშირებით ამომრჩეველთა სიების დაზუსტების კომისიის წარმომადგენლები და პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელობა საკანონმდებლო ორგანოში გამართულ შეხვედრაზე შეთანხმდნენ.

როგორც შეხვედრის შემდეგ ამომრჩეველთა სიების დაზუსტების კომისიის ხელმძღვანელმა მამუკა კაციტაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ასეთი ამომრჩევლები ერთიან სიაში მისი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სხვადასხვა ოლქებსა და უბნებში შევლენ.

კაციტაძისთვის მიუღებელი იყო ხელისუფლების ინიციატივა, რომ ისინი მხოლოდ მთაწმინდის ოლქში დარეგისტრირებულიყვნენ.

„საარჩევნო კოდექსში“ შესატანი ცვლილებების პროექტში, აღნიშნული შეთანხმება აისახა და პარლამენტმა რიგგარეშე სხდომაზე პირველი მოსმენით განიხილა.

— ჩვენ ვაყენებდით საკითხებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეების რეგისტრაციის საკითხს ხმის მიცემის რეალიზების თვალსაზრისით, ასევე კომისიისთვის მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც ეხება მუშაობის ფუნქციონირების გახანგრძლივებას და კონკრეტული მონიტორინგის ელემენტებს, რომელსაც კომისია განახორციელებს საარჩევნო პერიოდში. ამასთან დაკავშირებით პარლამენტში იურიდიულ კომიტეტში ჩვენ წარვადგინეთ ჩვენი საკანონმდებლო ინიცირება, რომელთან დაკავშირებითაც პირველი შეხვედრა უკვე გაიმართა. არსებობს მზაობა და ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებითაც უკვე შეთანხმება მიღწეულია, — აცხადებს კომისიის ერთ-ერთი წარმომადგენელი.

# გელა ნიკოლეიშვილი: ივანიშვილს შეიძლება „ჯარიმა გაუათმაგონ“

ნონა ცაბაძე

**თბილისის საქალაქო სასამართლომ ბიძინა ივანიშვილს 150-მილიონიანი ჯარიმის გადახდა დააკისრა. „ქართული ოცნების“ ლიდერმა ეს თანხა 7 დღის ვადაში უნდა გადაიხადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, მთლიანი ქონება დაუყადაღონ. „ახალი თაობა“ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადვოკატ გელა ნიკოლეიშვილს ესაუბრა.**

***— ბატონო გელა, ამ რაოდენობის ჯარიმა ხელისუფლებას არასდროს არავისთვის დაუკისრებია. რა ხდება, ფული შემოაკლდათ თუ ამ მეთოდით ხდება ივანიშვილთან პოლიტიკური ანგარიშსწორება? როგორც ადვოკატი, რამდენად სამართლიანი იყო ეს გადაწყვეტილება?***

— საქართველოში სამართლიანობაზე ლაპარაკი უკვე ანაქრონიზმია, იმიტომ რომ არანაირ სამართლიანობასა და მართლმსაჯულებაზე საქართველოში, სამწუხაროდ, უკვე აღარ შეიძლება ლაპარაკი. ეს არის ჩვეულებრივი ყაჩაღობის კლასიკური ნიმუში, როდესაც ხდება კანონის სახელით ყველაფრის გამართლება. იყო პერიოდები სხვადასხვა ქვეყნებში, სხვადასხვა დროს, როდესაც ხდებოდა კანონის სახელით მკვლელობების მასობრივი გადასახლებების, ჟლეტის გამართლება. იგივე ფაშისტურ გერმანიაში ებრაელების გაჟლეტა სამართლიანი, კანონიერი იყო, ასევე საბჭოთა კავშირში იყო ადამიანების დახვრეტა, გადასახლება, გაკულაკება და ეს მაშინდელი კანონის ფარგლებში ხდებოდა. ამ კანონების რიგში დგას ის, რასაც დღეს აკეთებენ საარჩევნო კანონის სახელით. ამ შემთხვევაში ეს ერთი ადამიანის წინააღმდეგ არის მიმართული, მაგრამ ეს მასობრივად მიმართულია იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც ბიძინა ივანიშვილის უკან დგანან. სათითაოდ ამ ადამიანებს ფინანსურ სანქციებს ვერ დაუწესებენ, მაგრამ ამ ადამიანების პოლიტიკური ნებისა და პოლიტიკური პოზიციების წინააღმდეგ არის მიმართული სწორედ ეს გაკულაკება, დაყაჩაღება და ძარცვა ბიძინა ივანიშვილის. აქ სამართლიანობაზე ლაპარაკი არ არის, უბრალოდ, ხელისუფლებაში არის ძალა, რომელსაც შეუძლია თქვას, რომ მე მივიღებ ნებისმიერ კანონს, ისეთ კანონს, რომელიც საშუალებას მომცემს, კანონიერი გავხადო მასობრივი გაკულაკებაც და ჟლეტაც. ეს იქნება კანონიერი, კანონში ჩაწერენ ამას და ამაში ხელს ვერავინ და ვერაფერი შეუშლით.

***— როგორ ფიქრობთ, გადაიხდის ამ თანხას ივანიშვილი?***

— ვერ გეტყვით, რა სტრატეგია აქვთ მათ არჩეული. როგორც ვიცი, კანონში ასეა — თუ არ გადაიხადა, ქონებას დაუყადაღებენ, ან გაათმაგდება ეს ჯარიმა. საკმაოდ კვალიფიციური ადვოკატები ჰყავს ბიძინა ივანიშვილს და, მე ვფიქრობ, ისინი რაღაც სტრატეგიას შეიმუშავებენ ამ მიმართულებით.

— ასეთი მეთოდებით ცდილობენ მეტოქის ჩამოცილებას?

— რასაკვირველია, ცდილობენ არა მხოლოდ მეტოქის ჩამოცილებას, არამედ იმ ხალხის ჩამოცილებას, რომელიც ამ მეტოქის უკან დგას და ამ მეტოქის იმედი აქვს. გარეგნულად თითქოს ერთი კაცის წინააღმდეგ არის მიმართული, მაგრამ ეს არის მიმართული რეალურად იმ მილიონობით ადამიანის წინააღმდეგ, რომლებიც დგანან ბიძინა ივანიშვილის უკან და რომლებიც მის პოლიტიკურ მოღვაწეობას იმედით შეჰყურებენ. დღეს მადა გაეხსნა კონტროლის პალატას, ფიქრობენ, რატომაც არა, თუკი გამოგვივა, წავართვათ მილიონებიო. პოლიტიკური განეიტრალების საშუალება ვერ გამონახეს და გამონახეს ფინანსური განეიტრალების საშუალება. ფაქტობრივად, უნდა წაგართვათ ქონება, ეს არის ამ კანონის არსი, რომელსაც ისინი იყენებენ. ჩემი აზრით, ქუთაისის აქციამ მიაღწია მიზანს იმ თვალსაზრისით, რომ მასობრიობა ქუთაისშიც და იმერეთშიც აჩვენეს ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერებმა და ამან კიდევ უფრო გაამწარა, როგორც ჩანს, ხელისუფლება და სწორედ ამის პასუხია ის 150-მილიონიანი ჯარიმაც, რომელიც მას დააკისრეს.

## ჩვენი მწერლობის“ დარბაზში ემიგრაციიდან დაბრუნებულ გურამ პეტრიაშვილთან შეხვედრა გაიმართა



ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზმა 20– წლიანი ემიგრაციიდან დაბრუნებულ მწერალ გურამ პეტრიაშვილს უმასპინძლა.

მან დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას თავისი ლექსები წაუკითხა.

როგორც ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ მთავარმა რედაქტორმა როსტომ ჩხეიძემ აღნიშნა, პოეტი გურამ პეტრიაშვილი თავისი სტილისტიკით სრულიად განსხვავდება იმ გურამ პეტრიაშვილისგან, რომელიც საზოგადოებას მიტინგებზე გამოსვლით ახსოვს.

მისი თქმით, ძნელი წარმოსადგენი იყო, თუ ისეთი პუბლიცისტი ტრიბუნი, როგორიც ისაა, დაწერდა დაკრეფილ ალუბალზე, პეპლებზე, გზაზე დაგდებულ ცხენის ნალებზე ა.შ.

როსტომ ჩხეიძემ ხაზი გაუსვა ასევე პეტრიაშვილის მრავალმხრივ ნიჭსა და საზოგადოებრივ საქმიანობას .

გურამ პეტრიაშვილმა 20 წლის მონატრებულ ქართული საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე, თავისი ცხოვრების რამდენიმე ფრაგმენტი გაიხსენა, კერძოდ ზვიად გამსახურდიასთან ურთიერთობა, მისი პირველი შემოქმედებითი ნაბიჯები და ადამიანები, რომლებმაც მის ცხოვრებას მნიშვნელოვანი კვალი დააჩნიეს..

მან ხუმრობით მადლობაც კი გადაუხადა ჯაბა იოსელიანს, თენგიზ კიტოვანსა და სხვა რამდენიმე ადამიანს ქვეყნიდან გაძევებისთვის, რადგან, მისი თქმით, სწორედ საქართველოდან გადახვეწის შემდეგ მოიცალა წერისთვის და ლიტერატურას დაუბრუნდა.

დარბაზში შეკრებილი საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებმა ბევრი ისაუბრეს მწერლის, პოეტის, რეჟისორის, მსახიობისა პუბლიცისტის გამორჩეულ თვისებებზე, ქართული ენისადმი მის დამოკიდებულებასა და მრავალმხრივ ნიჭზე.

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა მანანა გაბაშვილმა გურამ პეტრიაშვილს თავისი ცნობილი გამონათქვამებისა და ცხოვრების წესის გამო, ეროვნული მოძრაობის ოთარაანთ ქვრივიც კი უწოდა.

მისი თქმით, პეტრიაშვილმა ქართულ პოლიტიკაში განსხვავებული სტილი შექმნა.

„ყველაფერთან ერთად, ის არის საოცრად კეთილი ადამიანი. საქართველოდან ტყვიებს გაექცა, მაგრამ არ გაბოროტდა. უკან ისევ ისეთივე სიკეთით სავსე გულით დაბრუნდა. მას ის შემცდარი ადამიანებიც კი უყვარს, რომლებიც მოსაკლავად დასდევდნენ. საოცარი რამ ხდება დღეს, ისინი, ვინც გუშინ მას ტყვიებს ესროდნენ, დღეს თვითონ დგანან რუსთაველის გამზირზე ტყვიებისკენ გულმიშვერილები, გურამ პეტრიაშვილი კი – ზღაპრებს და ლექსებს წერს“,-აღნიშნა მან

რეჟისორმა რეზო ესაძემ კი, ფილმ „ნეილონის ნაძვის ხისთვის“ მთავარი პერსონაჟის შერჩევის ამბავი გაიხსენა და დასძინა, რომ მას სჭირდებოდა ადამიანი, რომელსაც ავტობუსიდან ჩააგდებდნენ, თუმცა მერე ისევ თვითონ მოისურვებდნენ მის მოძებნას.

„სწორედ ასეთი კაცი იყო გურამი და ამიტომ ავირჩიე ამ როლისთვის. არ ვიცი. რა ვუწოდო ამას, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ფილმი მისი ცხოვრების ერთგვარ სიმბოლოდ იქცა. ის ჩააგდეს ავტობუსიდან იმისთვის, რომ მერე მოეძებნათ. ღმერთმა ქნას, საქართველოში მალე დადგეს ის დრო, ასეთი კაცის მოძებნა ავტობუსიდან ჩაგდების შემდეგ რომ აღარ დაგვჭირდეს“,-აღნიშნა რეჟისორმა.

პეტრიაშვილის შესახებ ასევე ისაუბრეს, რენე კალანდიამ, ამირან დოლიძემ, მარიკა აბაიშვილმა, რეზო მორგოშიამ და ბუდუ სირბილაძემ, რომელმაც გურამ პეტრიაშვილს ზვიად გამსახურდიას პორტრეტი გადასცა.

სკოლა „იბერიას“ მე-6 კლასის მოსწავლეებმა მათთვის საყვარელ მეზღაპრეს, გურამ პეტრიაშვილს საკუთარი ჩანახატები და ზღაპრები წაუკითხეს.

საღამოს დასასრულს პეტრიაშვილმა დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას კიდევ რამდენიმე ლექსი წაუკითხა და დიდი ოვაციები დაიმსახურა.

**მედიანიუსი**

## გურამ ჩახვაძემ ხელისუფლებას საყოველთაო დაზღვევის სქემა შესთავაზა

პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე „ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის“ წევრმა გურამ ჩახვაძემ თავის გამოსვლაში ხელისუფლებას ედპ-ს ალტერნატიული ხედვა გააცნო, რომელიც საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის სქემის შემოღებას გულისხმობს.

ჩახვაძის განცხადებით, ედპ-ს სქემის მიხედვით, სახელმწიფომ საშემოსავლოდან უნდა დააზღვიოს სოციალური რისკები, რათა მოქალაქეები დაცული იყვნენ საყოველთაო სამედიცინო დაზღვევით, უმუშევრობის დაზღვევით, სამუშაოზე უბედური შემთხვევისგან დაზღვევით და ამასთან, დაზღვეული იქნება მათი სიბერეც.

ჩახვაძის თქმით, აქედან გამომდინარე, დასაქმებული პირები სამედიცინო დალზვევას საკუთარი ხელფასიდან არ გადაიხდიან, რადგან ეს სახელმწიფოს მიერ საშემოსავლოდან მიღებული ფული იქნება.

„ეს არ უნდა იყოს ნებაყოფლობითი, არამეს უნდა იყოს საყოველთაო და აქ ბუნებრივად ჩართული იქნებიან სადაზღვევო კომპანიები“– აღნიშნა ჩახვაძემ და დასძინა, რომ ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული კანონპროექტით არა რიგითი მოქალაქე, არამედ ხელისუფლების მიერ ლიცენზირებული მმართველი კომპანიები ისარგებლებენ.

**ნიუსპრესი**

## დიმიტრი შაშკინი: თუ გამოცდები ცუდად ჩატარდა, გადავდგები!“

ნინო ღვედაშვილი



განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი საატესტატო გამოცდების შედეგებით კმაყოფილია. 2012 წელს საატესტატო გამოცდები 21 მაისს დაიწო. მოსწავლეებმა გამოცდები 8 საგანში ჩააბარეს. საატესტატო გამოცდები გასული წლის მსგავსად „ჩAთ“-ის ტიპის საგამოცდო მოდელით ჩატარდა. საგამოცდო ოთახები ვიდეო კამერებითა და ხმის ჩამწერი აპარატურით იყო აღჭურვილი. მიმდინარე გამოდებს 2000-ზე მეტი მეთვალყურე და 600 სპეციალისტი აკვირდებოდა. გამოცდების უხარვეზოდ ჩატარება განათლების სამინისტროს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ განახორციელა. წელს საატესტატო გამოცდებში 41 ათასამდე მოსწავლე იღებდა მონაწილეობას. პირველი გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჩატარდა. ამ გამოცდაში მოსწავლეთა ერთი პროცენტი ჩაიჭრა. მთლიანობაში წელს ბარიერი მოსწავლეთა 5 პროცენტმა ვერ გადალახა. ეს მონაცემი წინა წელთან შედარებით დაბალია. 2011 წელს საატესტატო გამოცდები 17 პროცენტმა ვერ დაძლია.

დიმიტრი შაშკინი ეროვნული უმცირესობების მიერ გამოცდებში მიღებული შედეგებით კმაყოფილია. ,

– თუ შარშან ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების 60 პროცენტზე მეტმა ვერ ჩააბარა ქართული ენა, წელს მხოლოდ ათ პროცენტზე ნაკლებმა აჩვენა ამ საგანში ცუდი შედეგი. ეს პროგრამის ,,ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ შედეგია, - თქვა მინისტრმა.

განათლების მინისტრის თქმით, წელს საატესტატო გამოცდებმა აჩვენა, რომ სკოლებში განათლების დონე ყველა საგანში გაიზარდა. გამოცდებმა აჩვენა, რომ სწავლის ხარისხი და დონე საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ საგნებშიც გაიზარდა.

ეროვნული გამოცდების მაღალ დონეზე ჩატარებაზე პასუხისმგებლობას დიმიტრი შაშკინი საკუთარ თავზე იღებს.

მისი თქმით, ზაფხულში გამოცდების უპრობლემოდ ჩატარების გარანტი სამინისტროა. მან აღნიშნა, რომ ხალხმა უნდა გააცნობიეროს, ქვეყანას ადამიანები კი არა, ინსტიტუციები მართავენ.

– ქვეყანას ინსტიტუციები მართავს და ეს არის პირადად ჩემთვის გარანტია იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა დემოკრატიის კუთხით ვითარდება და წინ მიდის, – თქვა მან.

2012 წლიდან აბიტურიენტები შვიდის ნაცვლად ოც საგანმანათლებლო დაწესებულებას აირჩევენ. ამის შედეგად კი გაუქმდება ე.წ. მეორადი ჩარიცხვები. გამოცდების საბოლოო შედეგების გამოცხადება დაჩქარდება და აგვისტოს ბოლომდე ყველაფერი გახდება ცნობილი. სტუდენტები გრანტის შესახებ ცნობას ჩარიცხვასთან ერთად მიიღებენ.

წელს გამოცდებზე რეგისტრაცია ელექტრონული ფორმით მოხდა. სამინისტროს ინფორმაციით, ელექტრონული რეგისტრაცია მოსწავლეებისთვის კომფორტული იყო. მათ რეგისტრაციის ვადის ამოწურვამდე არჩევანის შეცვლა რამდენჯერმე შეეძლოთ.

ეროვნული გამოცდები 28 ივნისს დაიწყება და 19 ივლისს დასრულდება. საგამოცდო ტესტები ინგლისში დაიბეჭდა და საქართველოში ჩამოტანის შემდეგ, უსაფრთხოების მიზნით, სპეციალურ საცავებში შეინახება. აბიტურიენტები 4 სავალდებულო საგანს ჩააბარებენ. აბიტურიენტები მეოთხე სავალდებულო საგანს ლიტერატურიდან, გეოგრაფიიდან, ფიზიკიდან, მათემატიკიდან, ბიოლოგიიდან, ქიმიიდან, ისტორიიდან ირჩევენ. უმაღლესმა სასწავლებლებმა მეოთხე საგნად მაპროფილებელი სავალდებულო საგნები დააწესეს. მინიმალური კომპეტენციის ზღვარიც შეიცვალა. მაგალითად, იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაბარების მსურველს სამ საგანში 35 პროცენტიანი, ხოლო მეოთხე სავალდებულო საგანში 30 პროცენტიანი ბარიერის გადალახვა მოუწევს.

ერთიანი ეროვნული გამოცდების მაღალ დონეზე, ხარვეზების გარეშე ჩატარებაში განათლების სამინისტროს მერიისა და პოლიციის უწყებები დაეხმარებიან.

გამოცდების ხარვეზების გარეშე ჩატარებას ხელს გამოცდების ეროვნული ცენტრიდან წასული თანამშრომლების დაბრუნებაც შეუწყობს. გამოცდების ეროვნული ცენტრიდან წასული თანამშრომლების თითქმის ნახევარი სამსახურში დაბრუნდა. მინისტრის განმარტებით, ამ ადამიანებმა გადაწყვეტილება სწორი ინფორმაციის მიღების შემდეგ შეცვალეს. აქამდე მათ მინისტრის პოზიციებთან დაკავშირებით არასწორი ინფორმაცია ჰქონდათ.

– როცა მათ შევხვდი, გადაწყვეტილების ერთ-ერთ არგუმენტად მათ დაასახელეს ის, რომ მე მოვითხოვე გამოცდებზე აბიტურიენტთა ანონიმურობის დარღვევა. ეს არის ტყუილი, ასე რომ, თანამშრომლების თითქმის 50%-ზე მეტმა გადაწყვეტილება შეცვალა, – თქვა დიმიტრი შაშკინმა.

გამოცდების ეროვნული ცენტრის ყოფილი თანამშრომლების განცხადებაში წამოსვლის მიზეზად ,,მინისტრის სრულიად დაუსაბუთებელი და უპასუხისმგებლო გადაწყვეტილება“ დაასახელეს. თუმცა ეროვნული გამოცდების შეუფერხებლად ჩატარებისთვის დახმარების სურვილი გამოთქვეს.

გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის თქმით, საქართველოში ეროვნული გამოცდები ,,იმ სტანდარტებით ჩატარდება, რომელიც ჩვენს ქვეყანას ეკადრება“. მისი თქმით, ზაფხულის გამოცდების ხარვეზების გარეშე ჩატარების გარანტი და დამცველი თავად იქნება.

მომდევნო წლიდან კი ეროვნული გამოცდები აღარ ჩატარდება. მის ნაცვლად სკოლებში 8 საატესტატო გამოცდას კიდევ ერთი, ზოგადი უნარების, გამოცდა დაემატება. სწორედ მათ ქულებზე იქნება დამოკიდებული მომავალი სტუდენტების ბედი.

## მერია უპატრონო ძაღლებისთვის თავშესაფარს აშენებს

ნინო ღვედაშვილი

თბილისის მერია მუნიციპალურ ცხოველთა თავშესაფარს აშენებს. თავშესაფარმა ყოველთვიურად 400-450 უსახლკარო შინაური ცხოველი უნდა მიიღოს.

პროგრამის მიხედვით, თავშესაფარმა მოხეტიალე, უსახლკარო ცხოველებს ვეტერინარული დახმარება, ვაქცინაცია, სტერილიზაცია უნდა ჩაუტაროს. სახელმწიფოს სტერილიზაცია დაახლოებით 70-100 ლარამდე უჯდება. თავშესაფარში მიყვანილ ძაღლს განსაკუთრებულ შემთხვევაში მოკლავენ. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მომატებულად აგრესიული იქნება და განუკურნებელი დაავადება ექნება.

2011 წელს თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, ცხოველთა მოკვდინება მხოლოდ ვეტერინარის მიერ ხელმოწერილი აქტის საფუძველზე უნდა მოხდეს. ცხოველების მოკვდინება დაუშვებელია დახრჩობით, გაგუდვით, მოწამვლით, ელექტრომუხტის გამოყენებით.

ვეტერინარული მომსახურებისა და საკარანტინო პერიოდის გავლის შემდეგ ჯანმრთელი ცხოველების გაჩუქება მოხდება. იდენტიფიცირებულ ცხოველებს კი მიკედლებულ ადგილებში დააბრუნებენ.

დღევანდელი პროგრამა საქართველოსა და საერთაშორისო ცხოველთა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით უნდა განხორციელდეს. მერიის საგანგებო სიტუაციების სააგენტოს თანამშრომლის ნოდარ ჭუმბაძის თქმით, მშენებლობა ჯერ არ დასრულებულა. ახლა შენობას კოსმეტიკური სამუშაოები უტარდება და უახლოეს მომავალში გაიხსნება. უპატრონო ძაღლების რაოდენობაზე ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს.

მშენებლობის დასრულების შემდეგ თავშესაფარში 250-მდე ძაღლს მიიღებენ. ამის შემდეგ კი ნელ-ნელა გაფართოვდება თავშესაფარი. ამ დაწესებულებაში მოხვედრილ ძაღლს ჩაუტარდება გამოკვლევები, ვაქცინა და შემდეგ კი ახალ პატრონს ჩააბარებენ. ძაღლის გადაცემისას შედგება ოქმი და ცხოველს ახალ პატრონს ამის შემდეგ ჩააბარებენ.

უპატრონო ძაღლები ცოფის გადატანის რისკებს ზრდიან. საქართველო ცოფთან მიმართებაში არსებული სტატისტიკით მსოფლიოს ქვეყნებში ერთ-ერთი მოწინავეა. ამის თავიდან ასაცილებლად კი ე.წ. ძაღლმჭერი ბრიგადები მოქმედებენ. ფონდ ,,არგუსის“ პრეზიდენტის რუსუდან ხუნწარიას თქმით, ძაღლებს არაადამიანური მეთოდებით ექცევიან.

მათ ქვების, იარაღის, ხელკეტების გამოყენებით კლავენ. მან თქვა, რომ ცოტა ხნის წინ ვაკის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული თავშესაფრიდან, რომელიც ,,არგუსის“ პატრონაჟის ქვეშ იმყოფება, მერიის საგანგებო სიტუაციების სამსახურმა რამდენიმე ლეკვი აიყვანა. ამ ქმედებას ვაკის სასაფლაოს ჭირისუფლების მიერ გაგზავნილი საჩივრებით ხსნიან. რუსუდან ხუნწარიას თქმით, მართალია, ეს ლეკვები მომვლელებს დაუბრუნდათ, მაგრამ მათი აყვანა სასტიკი და მიუღებელი გზებით მოხდა. მისი თქმით, მერიის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოში სერიოზულ კანონდარღვევებს სჩადიან. მაგალითად, მოსახლეობაზე მიჩვეული ეზოს ძაღლების აყვანა ანონიმური ზარით ხდება. ეს კი რკინის მაშებით ხორციელდება. სააგენტოს წარმომადგენლები ხალხის აზრს ამ დროს არ ითვალისწინებენ და ძაღლები მაინც მიჰყავთ.




ცოტა ხნის წინ, ყიფშიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიიდან ტიპიური მიკედლებული ძაღლი, სახელად ,,ლედი“ წაიყვანეს. მოსახლეობის თქმით, ძაღლი სტერილიზებულია და პერიოდულად უტარდება ყველა საჭირო ვაქცინაცია. მათი თქმით, ვეტერინარული პასპორტიც აქვს. ლედი მშვიდი და მოსიყვარულე ძაღლია, ბავშვების მიმართ ალერსიანი. ყიფშიძის ქუჩაზე რამდენიმე ძაღლი აიყვანეს, მათ შორის, ეს ძაღლიც. ეკატერინე აბაშიძე ,,არგუსის“ პრეზიდენტთან მიწერილ წერილში ჰყვება ლედის აყვანის მომენტებს. ,,საგანგებო სიტუაციების სამსახურის მუშაკებმა რკინის მაშების გამოყენებით, ბარბაროსულად გაათრიეს ძაღლი სადარბაზოდან. ძაღლის შემზარავმა კივილმა გამოგვიყვანა გარეთ და დიდი ძალისხმევის შედეგად ძაღლის გადარჩენა შევძელით,“– წერს ეკატერინე აბაშიძე ,,არგუსის“ პრეზიდენტთან მიწერილ წერილში. ამის შემდეგ ძაღლი ერთი კვირის განმავლობაში შოკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ძაღლების დაჭერა ხშირად ადამიანების თვალწინ ხდება, რაც მათ ფსიქიკურ ტრავმას აყენებს. თუ ამ ფაქტს ბავშვიც უყურებს, ეს ტრავმა გაცილებით იზრდება და შეიძლება ძალადობისკენ უბიძგოს.

უპატრონო ძაღლების მომრავლება თავიდან რომ ავიცილოთ, განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებული გზა არსებობს. ისინი ,,გადაარჩინე სიცოცხლე – გაასტერილე“ ლოზუნგით ხელმძღვანელობენ. გადარჩენილ სიცოცხლეში იმ ლეკვებს გულისხმობენ, რომლებიც აღარ დაიბადებიან. შესაბამისად ქუჩას აღარ დაემატება ახალი ძაღლები. უპატრონო ძაღლების მომრავლებას პატრონების უპასუხისმგებლობითაც ხსნიან. როდესაც სახლში ასაკიანი ძაღლი ჰყავთ, მას ქუჩაში უშვებენ.

ევროპაში ადამიანებსა და ცხოველებს შორის გულისხმიერი ურთიერთობის დამყარებისთვის ბევრ პროგრამას ახორციელებენ. ევროპაში ცოფისგან თავის არიდების მიზნით, ცხოველებს არა მარტო ეზოებში, არამედ ტყეებსა და ქუჩებშიც ცრიან.

# დათო დარჩია გიორგი ნაკაშიძემ შეცვალა

ეკა ირემაშვილი



მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის მსახიობი გიორგი ნაკაშიძე მშობლიური თეატრიდან ყველასთვის საოცნებო რუსთაველის თეატრში გადავიდა. ამის მიზეზი კი ის გახდა, რომ მან მონაწილეობა უნდა მიიღოს რეჟისორ დავით საყვარელიძის მიერ დადგმულ მიუზიკლში „ოლივერი", რომლის პრემიერაც რუსთაველის თეატრში 29 მაისს იყო დაგეგმილი.

პრემიერის გადადება კი მიუზიკლში ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებლის, მსახიობ დათო დარჩიას ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებამ გამოიწვია. მსახიობი ერთ-ერთი წინასაპრემიერო რეპეტიციის დროს ცუდად გახდა და იგი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ გულის ერთ-ერთ კლინიკაში გადაიყვანა. რუსთაველის თეატრის მსახიობს მაშივნე სტენტირება ჩაუტარდა, თუმცა როგორც ცნობილი გახდა, დათო დარჩია გულს მანამდე არასოდეს შეუწუხებია.

როგორც რუსთაველის თეატრში განაცხადეს, მსახიობმა რეპეტიციის დროს თავი ცუდად იგრძნო, იგი ექიმებმა საავადმყოფოში ორი დღე დატოვეს. მსახიობი ამჟამად თავს კარგად გრძნობს და სახლში იმყოფება. მიუზიკლზე მომუშავე ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ წარმოდგენის პრემიერა მაშინ დაენიშნათ, როცა მთავარი როლის შემსრულებელი თავს კარგად იგრძნობდა.

— ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, ოლივერის პრემიერა მაშინ გაგვემართა, როცა დათო თავს კარგად იგრძნობდა და სპექტაკლში თამაშს შეძლებდა, თუმცა საბოლოოდ გადაწყდა, რომ მას დროებით კინომსახიობთა თეატრის მსახიობი გიორგი ნაკაშიძე შეცვლის. დათო ამჟამად თავს კარგად გრძნობს, თუმცა რეაბილიტაციას საჭიროებს. როგორც კი ექიმები ნებას დართავენ, ის თეატრსაც დაუბრუნდება და მიუზიკლსაც. ამჟამად მისთვის ძლიერი დატვირთვა მიზანშეწონილი არ არის, ამიტომაც მის მაგივრად სპექტაკლში ფეიგინის როლს მოწვეული მსახიობი გიორგი ნაკაშიძე შეასრულებს, — განაცხადა რუსთაველის თეატრის მმართველმა ზაალ ჩიქობავამ.

ჩარლზ დიკენსის ცნობილი რომანის „ოლვიერ ტვისტის" რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე გადატანა რეჟისორმა დავით საყვარელიძემ გადაწყვიტა. მან შემოქმედებით ჯგუფთან ერთად მიუზიკლის მოყვარულ საზოგადოებას გრანდიოზული და განსხვავებული სანახაობა უნდა შესთავაზოს.

ოლივერ! — ასე ეწოდება წარმოდგენას, რომელიც რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე 17, 18 და 20 ივნისს იქნება წარმოდგენილი. მიუზიკლი ლაიონელ ბარტის დაუვიწყარ მიუზიკლს ქართველი მელომანებისთვის კიდევ ერთხელ გააცოცხლებს.

ჩარლზ დიკენსის „ოლივერ ტვისტის" მიხედვით დადგმული წარმოდგენა, ეს არის ყველაზე მასშტაბური და მაღალბიუჯეტიანი მიუზიკლი ქართული თეატრის ისტორიაში. ორ მოქმედებიანი წარმოდგენისთვის პიესა თარგმნა მიხეილ გელაშვილმა, სიმღერების ტექსტის თარგმანი ირინა სანიკიძეს ეკუთვნის, ტექსტზე კი მუშაობდნენ ლაშა ბუღაძე და მანანა თევზაძე. სპექტაკლის რეჟისორია დავით საყვარელიძე, დირიჟორი — ირაკლი ჩოლოყაშვილი, მხატვარი — ნინო კობიაშვილი, ქორეოგრაფია— ტეტ კასკი, ვოკალის პედაგოგები — მარიკა ოსიტაშვილი, რუსუდან მექვაბიშვილი, კონცერტმაისტერები — ნათია აზარაშვილი, ქეთევან ინანიშვილი, ხათუნა ლოლაძე, ორკესტრის კონცერტმაისტერი — ლელა მჭედლიძე, მთავარი ქორმაისტერი — ავთანდილ ჩხენკელი, ქორმაისტერი — შალვა შაოშაძე, რეჟისორის თანაშემწეები — ნათია კუპატაძე, მარინა ბურჭულაძე. წარმოდგენაში ასევე მონაწილეობს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის გუნდი და სიმფონიური ორკესტრი. სპექტაკლში „ოლივერ!" მონაწილეობენ ნიკა ნოზაძე, პეტრე მალანია (ოლივერ ტვისტი), გიორგი ნაკაშიძე (ფეიგინი), თემიკო ჭიჭინაძე (ბილ საიქსი), მარიამ პაჭკორია, ეკატერინე ამყოლაძე (ნენსი), ეკატერინე ამყოლაძე, მარიამ პაჭკორია (ბეტი), პაატა გულიაშვილი (მისტერ ბამბლი), ნანუკა ხუსკივაძე (მისის ქორნი), რევაზ ჩხაიძე (მისტერ ბრაუნლოუ), გოგა ბარბაქაძე (მისტერ საუბერი), ქეთი ხიტირი (შარლოტა), ირაკლი სანაია (ნოე ქლეიპოლი), დავით უფლისაშვილი (მისტერ გრიმვიგი), მანანა აბრამიშვილი (მისის ბედუინი, სალი), ნიკა ეკალაძე, ჯუმბერ პატიაშვილი (არტფულ დოდჯერი), ჯუმბერ პატიაშვილი, ნიკა ეკალაძე (ჩარლი ბეიტსი), გიორგი გიგაშვილი (კაპიტანი), ზუკა დარჯანია (ნიფერი), სანდრო ჯებირაშვილი (ჰენდვორქერი), ლენტო ბალიაშვილი



(დიფერი), გიორგი ადუაშვილი (ღამურა), რამაზ ჩხიკვაძე (ჩაქუჩა), პეტრე მალანია, ნიკა ნოზაძე (მანქი), სანდრო ზაალიშვილი (ჯეკი), თეკლა ჯავახაძე (მნე ქალი), ნინო გველესიანი (მერძევე), მარიამ სარდანაშვილი (ვარდების გამყიდველი), ბონდო გოგია (დანების მლესავი) და თენგიზ გიორგაძე, ზაზა ბარათაშვილი (პოლიციელები). მასობრივ სცენებში ასევე მონაწილეობენ ზაზა ბარათაშვილი, თენგიზ გიორგაძე, გელა თავბერიძე, კახა კუპატაძე, ედმონდ მინაშვილი, ქეთი სვანიძე, ბექა სონღულაშვილი და ბავშვები.

— წელს მსოფლიო დიდი ინგლისელი მწერლის ჩარლზ დიკენსის 200 წლისთავს აღნიშნავს. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა და თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა საავტორო უფლებების მქონე კამერონ მაკინტოშის კომპანიისაგან მიუზიკლის „ოლივერ!" დადგმის ექსკლუზიური უფლება მოიპოვეს. ასეთი პრეცედენტი პოსტსაბჭოთა სივრცეში ჯერ არ ყოფილა. ჩვენს მაყურებელს შესაძლებლობა ექნება დატკბეს მაღალ მხატვრულ დონეზე შესრულებული ულამაზესი სანახაობით, რომელიც მოხიბლავს უფროსებსაც და პატარებსაც. რუსთაველის თეატრისათვის ეს არ არის პირველი შეხვედრა დიდ ინგლისელ მწერალთან. 1993 წელს დაიდგა „საშობაო სიზმარი" ჩარლზ დიკენსის საშობაო მოთხრობის მიხედვით. რაც შეეხება მიუზიკლს, „ოლივერ!", ის 1960 წელს დაწერა ბრიტანელმა კომპოზიტორმა და ლიბრეტისტმა ლაიონელ ბერტმა. მას საფუძვლად უდევს ჩარლზ დიკენსის ცნობილი რომანის „ოლივერ ტვისტის" პირველი ნაწილი. სპექტაკლი თავიდანვე გულთბილად მიიღეს. 1963 წელს ლეონელ ბარტი, დონალდ პიპინი (დირიჟორი და მუსიკალური ხელმძღვანელი) და შინ კენი (დეკორაციისა და კოსტიუმების მხატვარი) ტონით დააჯილდოვეს. 1968 წელს შეიქმნა მიუზიკლის კინოვერსია. ფილმმა ამერიკული კინოაკადემიის ექვსი ჯილდო მიიღო. მას შემდეგ მიუზიკლი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დაიდგა. ამჯერად კი მას რუსთაველის თეატრის სცენაზე წარმოგიდგენთ. სპექტაკლში მონაწილეობენ რუსთაველის თეატრის მსახიობები, ოპერისა და ბალეტის თეატრის სიმფონიური ორკესტრი და გუნდი და ბავშვები. პროექტის ფარგლებში 2011 წლის შემოდგომაზე საზოგადოებრივ მაუწყებლის პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა შოუ „ვინ არის ოლივერი?". ეს იყო კონკურსი, რომლის მეშვეობითაც შეირჩნენ ოლივერისა და ნენსის როლების შემსრულებელნი. ჩვენ მადლობას ვუხდით თბილისის მერიას, ბრიტანეთის საბჭოს და ოპერის მეგობართა საბჭოს თანადგომისათვის, — ამბობს მიუზიკლის პროდიუსერი და რუსთაველის თეატრის მმართველი ზაალ ჩიქობავა.

სპექტაკლის „ოლივერ!" პრემიერა რუსთაველის თეატრში 17 ივნისს გაიმართება და იგი დიდ სცენაზე მხოლოდ სამი დღის განმავლობაში გათამაშდება. მიუზიკლზე დასასწრები ბილეთის ფასი 10-დან 30 ლარამდეა.

# თბილისში ხელოვნების ცენტრი გაიხსნება

ეკა ირემაშვილი

**თბილისში არსებულ სხვადასხვა ხელოვნების ცენტრს კიდევ ერთი — „არტროუდი" შეემატება, რომლის პრეზენტაცია 13 ივნისს ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრში შედგება. ხელოვნების ცენტრთან ერთად ვაჟა-ფშაველას გამზირზე კინოთეატრიც გაიხსნება.**

— ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი არის სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ცენტრი ახორციელებს მრავალფეროვან ახალგაზრდულ პროექტებსა და ინიციატივებს. ახალგაზრდული ცენტრის ამოცანებია ბავშვთა და ახალგაზრდობის პრობლემების გადაჭრისათვის გამიზნული პროგრამების შემუშავება და განხორციელება, მოზარდთა ინტერესების შესაბამისად, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების, პროფილური კლუბებისა და სტუდიების შექმნის ხელშეწყობა, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა და ერთობლივი ღონისძიებების გატარება და საქართველოში ბავშვთა და მოზარდთა მდგომარეობის ყოველწლიური მონიტორინგი, — ნათქვამია ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში.

როგორც ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის ხელმძღვანელმა თათია ელიაძემ განაცხადა, მათი ცენტრის ბაზაზე შეიქმნა ხელოვნების ცენტრი „არტროუდ", რომელიც ხელოვნების თითქმის ყველა დარგს აერთიანებს და მიზნად ახალგაზრდებისთვის ხელოვნების ერთიანი სივრცისა და მრავალფეროვანი სერვისების შეთავაზებას ისახავს. — პროექტი პირველი მსგავსი ინიციატივაა და უნიკალურია რეგიონის მასშტაბით. ცენტრის შენობაში განთავსდება კინო, კლუბი, თეატრი, ხელოვნების კლუბი და ფროდაქშენ სტუდია. „არტროუდი" ღიაა თანამშრომლობისთვის მუსიკოსებთან და ხელოვნების ყველა სხვა დარგის ახალგაზრდა წარმომადგენელთან, — განაცხადა თათია ელიაძემ.

პროექტის პრეზენტაციის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა ღონისძიება — „არტროუდ პრომოუტინგის" პრეზენტაცია, რომელიც მოიცავს კონცერტს ღია ცის ქვეშ. კონცერტში ჩაერთვებიან სოციალური მედიის გამოკითხვების ლიდერი ბენდები „ზურგი" და „ლოუდ სპიკერსი". კონცერტზე დასწრება ნებისმიერ მსურველს თავისუფლად შეეძლება.

—„არტროუდის" პრომოუტერული ჯუფი ორგანიზებას გაუწევს მუსიკალურ ღონისძიებებს, ფესტივალებს ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბით. საღამოს ცხრა საათიდან კი დაიწყება „არტროუდ კლუბის" პროექტის პრეზენტაცია ფოტოხელოვან მარიამ სიჭინავას საქართველოში პირველი პერსონალური გამოფენით. ქართველი ფოტოხელოვანი მუშაობს მსოფლიოში ისეთი ცნობილი ჟურნალებისთვის, როგორებიცაა „ვოგი", „ნიუ იორკ მეგეზინი". გამოფენას მხოლოდ მოწვეული სტუმრები დაესწრებიან, — აღნიშნა ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის ხელმძღვანელმა.

„არტროუდ კლუბის" ფარგლებში იქმნება ხელოვანების სალონური ტიპის გაერთიანებაც. კლუბში გაიმართება თანამედროვე ხელოვანთა გამოფენები, პერფორმანსი, ვიდეო-არტი, ლიტერატურული საღამოები და სხვა კულტურული ღონისძიებები.

— ჩვენ ასევე დაგეგმილი გვაქვს „არტროუდ სინემას" პრეზენტაცია, რომელიც მოიცავს კინოდარბაზის გახსნას. კინოდარბაზის გახსნაზე სხვადასხვა დროის მსოფლიოში ცნობილი რეჟისორებისა და საერთაშორისო ფესტივალების პრიზიორი მოკლემეტრაჟიანი ფილმების ჩვენებაა დაგეგმილი, — განმარტა ცენტრის ხელმძღვანელმა.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.




იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

ცფ,ფყრჯჰტრდბპბნტ,ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`



## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ინდივიდუალური ნემსით, ადგილობრივი გაუტკივარებით, კანის გაღიზიანების გარეშე, სრულად განკურნების გარანტიით. ფასი: ერთი საათი 12 ლარი. ტელ: 2-52-05-52; 294-67-05:

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უიმედობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

● ქალბატონებო! აგლაძის №67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გარჩევა, საბან-ლეიბების განახლება-აღდგენის მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი, შემოგთავაზებთ ქსოვილების არჩევანს. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# კომისია კმაყოფილია, გასაკეთებელი მაინც ბევრია

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრესსამსახურის ცნობით, თბილისს სლოვაკი იოჟეფ ლიბას, ჩეხი კატერინა ნიცოვას, სერბი ჯორჯ ვისაცკისა და ბერძენი სტრატოს კარეტოსის შემადგენლობით ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის საკოორდინაციო კომისია სტუმრობდა, რომლებმაც საქართველოს დედაქალაქში 2015 წელს დაგეგმილი ფესტივალისთვის შეგულებული სპორტული ობიექტები დაათვალიერეს.

ამასთან დაკავშირებით სეოკ-ის ოფისში „თბილისი 2015“-ის საორგანიზაციო კომიტეტმა პრესკონფერენცია გამართა, რომელსაც პროქტის კოორდინატორი გიორგი ხაჩიძე, გენერალური კოორდინატორი რევაზ ჩომახიძე და სპორტული კოორდინატორი ირაკლი სამყურაშვილი უძღვებოდნენ.

გიორგი ხაჩიძემ მოკლედ ისაუბრა ევროპელთა ამ ვიზიტის მნიშვნელობაზე და ჟურნალისტებს ის სპორტული ბაზები გააცნო, სადაც უკვე გადაწყვეტილია შეჯიბრებების ჩატარება. ტურნირი კალათბურთში სპორტის სასახლესა და ვერის ბაღში გაიმართება, ხელბურთს სკა და „ქარიშხალა“, ხოლო ფრენბურთს გლდანისა და სპორტის სამინისტროს სპორტული დარბაზები უმასპინძლებენ, ძიუდოისტები თავისივე აკადემიაში იასპარეზებენ, ჩოგბურთელები საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკთან“ მდებარე კორტებზე ითამაშებენ. რაც შეეხება ცურვას, მძლეოსნობასა და ველოსპორტს, მათ, შესაბამისად, „ოლიმპიკი“, „დინამო არენა“ და თბილისის ცენტრალური ქუჩები დაეთმობა.

სტუმრები ბაზების სადღეისო მდგომარეობით კმაყოფილნი დარჩნენ და არსებითი ხასიათის შენიშვნები არ გამოუთქვამთ. სტუმრები კმაყოფილნი დარჩნენ თბილისის ზღვაზე ასაშენებელი ოლიმპიური სოფლის პროექტით და ისიც უთქვამთ, ეს ფესტივალის ისტორიაში სპორტსმენთა საუკეთესო საცხოვრებელი იქნებაო.

შემდეგი ტესტის ჩაბარება თბილისში არსებულ სპორტულ ობიექტებს დეკემბერში ისრაელში დაგეგმილ ევროპის ოლიმპიური კომიტეტების გენერალურ ასამბლეაზე მოუწევთ, სადაც დეტალურად განიხილავენ ყველა მასპინძელ ბაზას.

**გიორგი ხაჩიძე, თბილისი 2015-ის პროექტის მენეჯერი:**

– სტუმრებს ოლიმპიური სოფელიც და სპორტული კომპლექსებიც ძალიან მოეწონათ. სამუშაო კიდევ ბევრია, თუმცა ჩვენ მიერ წარდგენილი პროექტებით მოხიბლულნი დარჩნენ, ამიტომ მზადებას ძველი გეგმით გავაგრძელებთ. რაც შეეხება საორგანიზაციო საკითხებს, ყველა რგოლი საჭიროების მიხედვით დაკომპლექტდება და 2015 წლისთვის სრულ მზადყოფნაში ვიქნებით.

**ირაკლი სამყურაშვილი, თბილისი 2015-ის სპორტული კოორდინატორი:**

– საკმაოდ მნიშვნელოვანი დელეგაცია გვესტუმრა. ფედერაციაში სპეციალური ჯგუფები გამოიკვეთა, რომლებიც უშუალოდ არიან პასუხისმგებელნი ბავშვთა ოლიმპიური თამაშების მზადებაზე. ეს მექანიზმი ჩამოსული ექსპერტების მიერ მოწონებულ იქნა, ამიტომ სწორი მიმართულებით მივდივართ.

**რევაზ ჩომახიძე, ორგკომიტეტის გენერალური კოორდინატორი:**

– წლის ბოლომდე ყველა სამშენებლო სამუშაო უნდა დავასრულოთ და დავადგინოთ, თუ რომელი კომპლექსი სპორტის რომელი სახეობისთვის იქნება მისაღები. მზადება, პრაქტიკულად, დასრულებულია და ისღა დაგვრჩენია, 2012 წლის დასასრულს ჩვენი პროექტი პრეზენტაციის სახით ისრაელში, გენერალურ ასამბლეაზე წარვადგინოთ.

აქვე გთავაზობთ იმ სპორტული დაწესებულებების ჩამონათვალს, სადაც შეჯიბრებები გაიმართება:

**კალათბურთი**: სპორტის სასახლე, ვერის დარბაზი

**ხელბურთი**: სპორტკომპლექსი „არენა“, „ქარიშხალა“

**ფრენბურთი**: გლდანის ხელბურთის სკოლა

**ძიუდო**: ძიუდოს აკადემია

**ჩოგბურთი**: საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკთან“ მდებარე კორტები

**ცურვა**: საწყლოსნო კომპლექსი „ოლიმპიკი“

**მძლეოსნობა**: „დინამო არენა“

**ველოსპორტი:** ქალაქის ტრასები

ტანვარჯიშის დარბაზი კი ჯერჯერობით ასაშენებელია.

# მშვიდობიანი ლა-მანში და შეუდარებელი შევჩენკო

## საფრანგეთი _ ინგლისი 1:1

0:1 ლესკოტი (30), 1:1 ნასრი (39)

**საფრანგეთი**: ლორისი, დებიუში, ევრა, რამი, მექსესი, კაბაიე (ბენ არფა 84), რიბერი, ნასრი, მალუდა (მარტენი 85), დიარა, ბენზემა

**ინგლისი**: ჰარტი, ჯონსონი, ე,კოული, ტერი, ლესკოტი, ჯერარდი, ე. იანგი, მილნერი, პარკერი (ჰენდერსონი 78), ოქსლეიდ-ჩემბერლენი (დეფო 77), უელბეკი (უოლკოტი 90)

მატჩი არცთუ სწრაფ ტემპში დაიწყო და ეს ინგლისელთა „დამსახურებაა“. ისინი თითქმის არ ცდილობდნენ შეტევას და, ბურთს მოიგდებდნენ თუ არა, ერთმანეთში ცდილობდნენ „გაკოტრიალებას“. თუმცა, მთელი პირველი ტაიმის მანძილზე ფრანგები ბურთის ფლობის მხრივაც უდიდეს უპირატესობას ფლობდნენ. კარში დარტყმებზე ხომ საუბარი არ არის – სამირ ნასრიმ (ორჯერ) და იოან კაბაიემ შორიდან სცადეს ჯო ჰარტის კარის დალაშქვრა, თუმცა – არაზუსტად.



მე-15 წუთზე კი ინგლისელებს სუპერმომენტი შეექმნათ – ეშლი იანგის გამჭოლი პასის შემდეგ, ჯეიმს მილნერი უგო ლორისთან ერთი-ერთზე დარჩა, მოატყუა მეკარე და... ცარიელ კარს ააცილა.

გავიდა კიდევ 15 წუთი და ინგლისელებმა ანგარიში მაინც გახსნეს – სტივენ ჯერარდმა მარჯვენა ფლანგიდან ჯარიმა ჩააწოდა, სადაც ბურთს ჯოლეონ ლესკოტი დაუხვდა. თითქოს თამაშის კონტექსტიდან ამოვარდნილი გოლი იყო, თუმცა ასეთი შემთხვევები ფეხბურთში ხშირია და ინგლისიც დაწინაურდა.

მალე ალუ დიარას ანგარიშის გათანაბრების შანსი ჰქონდა, თუმცა მისი თავურის მერე ჰარტმა ბრწყინვალე რეაქცია გამოავლინა. 39-ე წუთზე კი, ინგლისელთა მეკარე არცთუ კარგად გაისარჯა ნასრის დარტყმის შემდეგ – 1:1 და გუნდები შესვენებაზე ამ ანგარიშით გავიდნენ.

მეორე ტაიმში გოლი აღარ გასულა. ერთია, საწყისი წუთები ინგლისელებმა აქტიურად დაიწყეს თამაში და ხშირადაც ათამაშებდნენ ბურთს, თუმცა ამას შედეგი არ მოჰყოლია.

ცოტა ხნის მერე „სამფეროვნებმაც“ გამოასწორეს თამაში და ინიციატივას დაეუფლნენ, ქარიმ ბენზემასაც რამდენიმე ძალიან კარგი შანსი ჰქონდა გასატანად, თუმცა ფორვარდს მიზანმა უმტყუნა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – ჯოლეონ ლესკოტი

ფრანგები მეტს უტევდნენ, თუმცა სწორედ ლესკოტის დამსახურებაა, რომ გადამწყვეტი გოლის გატანა ვერ მოახერხეს. ჯოლეონმა თავდაც გაიტანა და დაცვაში ჩინებულად ირჯებოდა. მართალია, უეფას ვებგვერდმა საუკეთესოდ სამირ ნასრი ცნო, თუმცა ჩვენ მაინც ლესკოტი გამოვარჩიეთ.

## უკრაინა _ შვედეთი 2:1

0:1 იბრაჰიმოვიჩი (52), 1:1, 2:1 შევჩენკო (55, 62)

**უკრაინა**: პიატოვი, სელინი, ხაჩერიდი, ტიმოშჩუკი, შევჩენკო (მილევსკი 81), გუსევი, ვორონინი (როტანი 85), იარმოლენკო, მიხალიკი, ნაზარენკო, კონოპლიაკა (დევიჩი 90)

**შვედეთი**: ისაკსონი, ლუსტიგი, მელბერგი, გრანკვისტი, ოლსონი, ელმი, ლარსონი (ვილჰელმსონი 68), ჩელსტრიომი, იბრაჰიმოვიჩი, ტროივონენი (სვენსონი 62), როზენბერგი (ელმანდერი 71)

35 წლის ანდრეი შევჩენკო უკრაინული ფეხბურთის ისტორიაში შევიდა – პირველი გამარჯვება ევროპირველობაზე და დუბლის ავტორი. ფეხბურთელისგან, რომელიც ტურნირის შემდეგ კარიერის დასრულებაზე ფიქრობს, ასეთ დასაწყისს არ მოელოდნენ, თუმცა შევამ დაამტკიცა, რომ თამაში არ დავიწყებია.

მატჩი მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო და მთელი ტაიმი ასე გაგრძელდა, შვედები კონტრშეტევებზე უფრო ფიქრობდნენ, რაც არცთუ კარგად გამოსდიოდათ.

პირველი სახიფათო მომენტი სწორედ შევჩენკოს ჰქონდა – ოლეგ გუსევის პასის შემდეგ, უკრაინელთა ლიდერი ანდრეას ისაკსონთან თითქმის პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ თავდამსხმელს მიზანმა უმტყუნა.

მეორე ეპიზოდი მსგავსი და კიდევ უფრო სახიფათო იყო შევა ამჯერად ნაზარენკოს პასის შემდეგ კვლავ ერთი-ერთზე აღმოჩნდა ისაკსონთან, თუმცა ამჯერად მისი დარტყმა თავის თავზე მცველებმა აიღეს, მაგრამ შეტევა გაგრძელდა და უკვე კონოპლიანკა დაემუქრა შვედებს, თუმცა ამჯერად ლუსტიგმა იყოჩაღა.

მთლად უსაქმოდ არც შვედები ყოფილან. მათი ერთ-ერთი შეტევისას იბრაჰიმოვიჩი მცველებმა უყურადღებოდ დატოვეს და შვედთა შეტევის უდავო ლიდერმა ბურთი ძელს გაარტყა.

მეორე ტაიმში შვედები აშკარად გააქტიურდნენ და ამ აქტიურობამ შედეგი მალევე გამოიღო – 52-ე წუთზე კიმ კალსტრიომის პასის შემდეგ იბრაჰიმოვიჩს გოლის გატანა იოლად აცადეს – 0:1.

ზუსტად სამი წუთის შემდეგ, უკვე უკრაინელთა ლიდერმა გამოიჩინა თავი: ნაზარენკოს ჩამოწოდების მერე შევამ ოლაფ მელბერგს, რომელიც თავის მეოთხე ევროპირველობს ატარებს (ოთხი ევროჩემპიონატი ასევე უთამაშიათ ლოთარ მათეუსს, პეტერ შმეიხელს, ალესანდრო დელ პიეროს, ედვინ ვან დერ სარსა და ლილიან ტიურამს) დაასწრო და ისაკსონს გაუტანა – 1:1.

62-ე წუთზე კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს შევამ ისევ თავური შეაგება და უკვე წინ გაიყვანა ოლეგ ბლოხინის გუნდი – 2:1.

შეხვედრის ბოლოს ერთი ძალიან კარგი შანსი ჰქონდა მოედანზე შეცვლაზე შემოსულ იოაჰან ელმანდერს, რომელიც პიატოვთან პირისპირ აღმოჩნდა, თუმცა ძალზე არაზუსტად დაარტყა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – ანდრეი შევჩენკო

ალბათ, არაფერი საეჭვო არ არის იმაში, რომ საუკეთესოდ შევჩენკო ვცნოთ. მართლაც შესანიშნავმა ფეხბურთელმა ორი უმნიშვნელოვანესი ბურთი მაშინ გაიტანა, როდესაც გუნდს ყველაზე მეტად სჭირდებოდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.უკრაინა | 1 | 1 | 0 | 0 | 2;1 | 3 |
| 2.ინგლისი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 3.საფრანგეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 4.შვედეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |

# ბორჯღალოსანთა“ რიგებში გია ლაბაძე დააბრუნეს



საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები ერთა თასის მატჩის შემდეგ, რომელიც შინ უკრაინის ნაკრებთან გამართეს (33:3), ჩრდილო ამერიკის ტურნირზე გაემგზავრნენ. მოგეხსენებათ, მილტონ ჰეიგს ტრავმის გამო უკრაინასთან შეხვედრაში რამდენიმე მოთამაშე აკლდა. ასევე არ თამაშობდა წლის საუკეთესო მორაგბე მამუკა გორგოძე. მწვრთნელმა იგი დაასვენა და არც ამერიკის ტურნირისთვის გამოიძახა. აღსანიშნავია, რომ ტრავმირებულ დიმიტრი ბასილაიას ნაცვლად ნაკრების ხელმძღვანელობამ ჩრდილოამერიკულ ტურნეზე ვეტერანი მორაგბე გია ლაბაძე წაიყვანა.

„ბორჯღალოსნები“ პირველ შეხვედრას ჩრდილო ამერიკის ტურნირზე, 16 ივნისს აშშ-ის წინააღმდეგ გამართავს. შეხვედრა თბილისის დროით 05:00 საათზე დაიწყება. ქართველ მორაგბეებს მორიგი შერკინება 23 ივნისს კანადელებთან მოუწევთ. ეს მატჩი ჩვენი დროით 01:00 საათზე დაიწყება.

17 ივნისს მერაბ შარიქაძე სოლტ ლეიკ სიტიში გაემგზავრება, სადაც მსოფლიო ალაფაზე საქართველოს 20-წლამდელთა შემადგენლობაში იასპარეზებს.

**საქართველოს მორაგბეთა გაფართოებული შემადგენლობა:**

ირაკლი აბუსერიძე, რევაზ ბელქანია, გივი ბერიშვილი, ბექა ბიწაძე, დავით ჩიტიძე, გიორგი ჩხაიძე, ლექსო გუგავა, ლაშა ხმალაძე, ლაშა მალაღურაძე, შალვა მამუკაშვილი, ირაკლი მირცხულავა, დავით ზირაქაშვილი, გია ლაბაძე, გიორგი ბეგაძე, ირაკლი მაჩხანელი, ირაკლი ყიასაშვილი, ბექა წიკლაური, ბიძინა სამხარაძე, ზვიად მაისურაძე, მერაბ კვირიკაშვილი, თედო ზიბზიბაძე, ალექსანდრე თოდუა, დავით კაჭარავა, გიორგი თხილაიშვილი, ვახტანგ მაისურაძე, მიხეილ ნარიაშვილი, ლევან ჩილაჩავა, მერაბ შარიქაძე.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონატი**

საფრანგეთი-ინგლისი .................. 1:1
უკრაინა-შვედეთი ........................ 2:1

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

რასინგი-კოლონი ........................ 1:1

**ჩოგბურთი**

**როლან გაროსი. კაცები. ფინალი**

ნადალი-ჯოკოვიჩი ...... 6:4;6:3;2:6;7:5

**ჰოკეი**

**ნჰლ. ფინალი 4 მოგებამდე**

ლოს ანჯელესი-ნიუ ჯერსი .......... 6:1
სერიის ანგარიში ......................... 4:2

# იმერლებმა მზადება დაიწყეს

როგორც მოგეხსენებათ, უეფას ჩემპიონთა ლიგის პირველი და მეორე საკვალიფიკაციო ეტაპების კენჭისყრა მიმდინარე წლის 25 ივნისს შვეიცარიულ ნიონში გაიმართება. ქართული კლუბებიდან საქართველოს ჩემპიონ „ზესტაფონს“ პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ასპარეზობა არ უწევს, ხოლო მეორე ეტაპზე შეხვედრებს ზესტაფონელები 17-18 და 24-25 ივლისს გამართავენ.

მიმდინარე წლის 11 ივნისს იმერლები უეფას ჩემპიონთა ლიგის 2012-2013 წლების გათამაშებაში ასპარეზობისათვის მზადებას შეუდგნენ. ორკვირიანი შვებულების შემდეგ გამართული პირველი ვარჯიში იმერული კლუბის ბაზაზე გაიმართა.

9 და 10 ივნისს სამკურნალო სადიაგნოსტიკო სარეაბილიტაციო ცენტრ „მედიგარდში“ საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ ფეხბურთელებს სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდათ. მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირისათვის მომზადების პირველ ეტაპს კი ზესტაფონში გაივლიან და ეს პროცესი 24 ივნისამდე გასტანს, ხოლო 25 ივნისს მეორე მოსამზადებელი ეტაპის გასავლელად „ზესტაფონი“ ავსტრიაში გაემგზავრება, სადაც ოთხი საკონტროლო მატჩის გამართვა იგეგმება.

ქვეყნის ორგზის ჩემპიონთა პირველ ვარჯიშს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ლევან შარიქაძე და შოთა გრიგალაშვილი გამოაკლდნენ. ორივე ეს ფეხბურთელი გუნდს უახლოეს დღეებში შეუერთდება. ასევე აკლდა ვარჯიშს რატი წინამძღვრიშვილიც, რომელიც ნორვეგიასა და იქაურ „მიოლდეში“ ისინჯება.

გუნდს დაუბრუნდნენ მიხეილ სარდალიშვილი და ნოდარ კიკნაველიძე. ორივე ამ ფეხბურთელმა გასული სეზონის მეორე ნახევარი საფეხბურთო კლუბ „გაგრაში“ გაატარა. მარგველთა სერბმა ფიზმომზადების მწვრთნელმა ივან ვუჩეტიჩმა, ფეხბურთელებმა შოთა ბაბუნაშვილმა და ალექს ბენაშვილმა ზესტაფონელებთან შრომითი კონტრაქტები თითო წლით გაახანგრძლივეს. რაც შეეხება ახალგაზრდა თევდორე გრიგალაშვილს, მან საკუთარი სპორტული კარიერა იმერლებს 5 წლით დაუკავშირა.

უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის ყველაზე ადრე ქუთაისის „ტორპედო“ შეიკრიბა და ევროპის ლიგისთვის მზადების ფარგლებში პირველი საკონტროლო მატჩი იმერეთის პირველი ლიგის ნაკრებ გუნდთან გამართა.

გია გეგუჩაძემ „ტორპედო“ ტაიმებში სხვადასხვა შემადგენლობით გაიყვანა მოედანზე. პირველ ტაიმში გუნდში პირველად ითამაშეს ახალწვეულებმა ელგუჯა გრიგალაშვილმა და ბექა ტუღუშმა, ასევე სინჯებზე მყოფმა ზაზა ჭელიძემ და დათა სიჭინავამ. ქუთაისურ გუნდს დაუბრუნდა პოლონურ „იაგელონიაში“ განათხოვრებული მერაბ გიგაური, რომელმაც „ტორპედოს“ მაისური ერთწლიანი პაუზის შემდეგ მოირგო.

პირველი ტაიმი ქვედალიგელებმა გიორგი ბუხაიძის დუბლის წყალობით მოიგეს (2:1), ტორპედოელთაგან კი გოლით თავი ბექა ტუღუშმა გამოიჩინა.

როგორც აღვნიშნეთ, „ტორპედო“ მეორე ტაიმში ახალი შემადგენლობით გამოვიდა და სიტუაციაც შეიცვალა. მეორე თერთმეტეულთაგან ანგარიშის გამათანაბრებელი გოლი გიორგი კუხიანიძემ გაიტანა. ამას მოჰყვა რევაზ გოცირიძის შედეგიანი თავური. მეტოქე გუნდიდან ირაკლი ხვადაგიანმა ანგარიში კიდევ ერთხელ გაათანაბრა – 3:3. ბოლოს კვლავ რევაზ გოცირიძის ჯერი დადგა, რომელმაც ჰეთ თრიქი შეასრულა. საბოლოოდ ანგარიშით 5:3 გია გეგუჩაძის გაწვრთნილებმა გაიმარჯვეს.

„ტორპედოს“ ახალწვეულებზე ვთქვით, თუმცა არიან წამსვლელებიც. ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი თორნიკე თარხნიშვილი კარიერას თბილისის „დინამოში“ გააგრძელებს.

„ტორპედოც“ უცხოურ შეკრებას ავსტრიაში გაივლის და უკვე ცნობილია სპარინგ-პარტნიორებიც. 17 ივნისს „ტორპედო“ პირველ ამხანაგურ მატჩს ალბანეთის ჩემპიონ „შკენდერბეუსთან“ გამართავს. 21-ში მეტოქე რუმინეთის ჩემპიონატის ყველაზე ტიტულოვანი წარმომადგენელი ბუქარესტის „სტიაუა“ იქნება. 25-ში უეფას ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალისტი – დონეცკის „შახტარი“, ხოლო რაც შეეხება 28 ივნისს ჩასატარებელ საკონტროლო მატჩს, არსებობს ორი ვარიანტი: ამ დღეს ქუთათურები კიევის ან ბუქარესტის „დინამოს“ დაუპირისპირდებიან.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# თბილისის ფოტოფესტივალი დაიხურა

ეკა ირემაშვილი

თბილისის ყოველწლიური საერთაშორისო ფოტოფესტივალი „თბილისი ფოტოფესტივალი 2012“ საზეიმოდ დაიხურა. ფესტივალი, რომელიც პირველად 2010 წელს გაიმართა, წელს უკვე მესამედ ჩატარდა. მან ფოტოხელოვნების მოყვარულები ერთკვირიანი ღონისძიებებით გაანებივრა და ძველ თბილისში დაუვიწყარი საღამოები შესთავაზა.

– გასულ წელს ფესტივალმა 20.000-მდე თბილისელ და უცხოელ სტუმარს მოუყარა თავი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ თბილისის ფოტოფესტივალმა უკვე მოიპოვა რეგიონული მასშტაბის კულტურული ღონისძიების რეპუტაცია და წლიდან წლამდე სულ უფრო მეტ ცნობილ თუ ახალგაზრდა ფოტოგრაფს უყრის თავს ევროპიდან, სამხრეთ კავკასიიდან, რუსეთიდან, თურქეთიდან, ირანიდან და ზოგადად შუა აღმოსავლეთის რეგიონიდან, – განაცხადა ფესტივალის ხელმძღვანელმა ნესტან ნიჟარაძემ.

თბილისის ფოტოფესტივალის ერთ-ერთი ძირითადი პარტნიორია ფრანგული ფოტოფესტივალი – არლის ფოტოფესტივალი, რომელიც, ტრადიციულად, ქალაქ არლში ტარდება 1968 წლიდან და თანამედროვე ფოტოგრაფიულ სამყაროში აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და მასშტაბური ფოტოგრაფიული ღონისძიება.

– თბილისის ფოტოფესტივალმა წელს კიდევ უფრო ფართო და მრავალფეროვანი პროგრამა წარადგინა, რომელიც მოიცავდა გამოფენებს, უკვე ტრადიციად ქცეულ ფოტოგრაფიის ღამეს და ცნობილი ფოტოგრაფების მასტერკლასების სერიას. ჩვენმა ფესტივალმა ფოტოგრაფიის ყველა თანამედროვე მიმართულება წარადგინა – ფოტოჟურნალისტიკიდან კონცეპტუალურ ფოტოგრაფიამდე, – აღნიშნა ფესტივალის ხელმძღვანელმა.

თბილისის ფოტოფესტივალის ორგანიზატორობა თბილისის ევროპის სახლმა და თბილისის ფოტოგრაფიის სახლმა ითავეს, პარტნიორობა კი საკუთარ თავზე თბილისის მერიამ და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ აიღეს. 2012 წლის ფოტოფესტივალი ევროპის კვირის პარალელურად ჩატარდა.

– ჩვენი ფესტივალის მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ფოტოგრაფიის ღამეა. „ფოტოგრაფიის ღამე“ არლის ფესტივალის ერთ-ერთი ცენტრალური ღონისძიების ქართული ვერსიაა. მისი თბილისში ჩატარება არლის ფესტივალსა და თბილისის ფოტოფესტივალს შორის არსებული პარტნიორობის საფუძველზე გახდა შესაძლებელი. ტრადიციულად, ფოტოჩვენებები ღია ცის ქვეშ, ფესტივალის გახსნის კვირეულის შაბათ ღამეს იმართება ხოლმე ძველ თბილისში. ტრადიცია არც წელს დავარღვიეთ და წლევანდელმა ფოტოგრაფიის ღამემ ათის ნახევრიდან ღამის სამ საათამდე გასტანა. ეს ფესტივალის ყველაზე ხალხმრავალი ღონისძიებაა. ერთი ღამის განმავლობაში იგი დაახლოებით 20.000-მდე მაყურებელს უყრის თავს. თბილისის ფოტოგრაფიის ღამე არლის ფესტივალის მიერ მოწოდებული მსოფლიოს წამყვანი ფოტოსააგენტოების, ფოტოკოლექტივებისა და პერიოდული გამოცემების საუკეთესო ფოტოგრაფიულ პროდუქციას აერთიანებს, რაც თბილისელ მაყურებელსა და თბილისის ფოტოფესტივალის სტუმრებს უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს, ძველ თბილისში – აბანოთუბნიდან გუდიაშვილის ბაღამდე, ღია ცის ქვეშ დამონტაჟებულ 10 ეკრანზე ერთი ღამის განმავლობაში იხილოს მსოფლიოს საუკეთესო და უახლესი ფოტოგრაფიული პროდუქცია. არლის ფესტივალის მიერ მოწოდებული მასალის გარდა, თბილისის ფოტოგრაფიის ღამე ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი, რუსი, თურქი, ირანელი, ავღანელი და ერაყელი ფოტოგრაფების ნამუშევრებსაც აერთიანებს. „თბილისის ფოტოგრაფიის ღამის“ მთავარი პარტნიორი თბილისის მერია იყო, რომლის სრული ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერითაც გაიმართა თბილისის ფოტოფესტივალის ეს ცენტრალური ღონისძიება, – განაცხადა ნესტან ნიჟარაძემ.

მთლიანობაში ფოტოფესტივალის ფარგლებში ძველ თბილისში დამონტაჟდა 10 ეკრანი, რომლებზეც მსოფლიოში ცნობილი ფოტოხელოვანების ნამუშევრები იყო წარმოდგენილი.

ღია ცის ქვეშ დაგეგმილი ღონისძიებების პარალელურად, თბილისის ფოტოფესტივალის ფარგლებში გაიმართა გამოფენები ეროვნულ გალერეაში. დიმიტრი შევარდნაძის სახელობის საქართველოს ეროვნულ გალერეაში ამერიკელი ფოტოჟურნალისტის სტენლი გრინის ფოტოგამოფენა გაიხსნა. ომის ფოტოგრაფის სახელით ცნობილმა სტენლი გრინმა თბილისში წარმოადგინა უნიკალური სერია სახელწოდებით „ჩეჩნეთის გზაზე – 1994-2003“. სერიაში შესული ფოტოები ჩეჩნეთის ორივე ომს ასახავს და აერთიანებს ყველა იმ მასალას, რომლებზეც სტენლი გრინი 19 წლის განმავლობაში მუშაობდა. ამ პერიოდის განმავლობაში ფოტოგრაფის არქივში დაცული ფოტოდოკუმენტები კავკასიის მასშტაბით პირველად თბილისში გამოიფინა და ისინი „თბილისი ფოტო ფესტივალ 2012“-ის დამთვალიერებელმა იხილა. პრეზენტაციას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა და მინისტრის პირველი მოადგილე დავით ცხადაძე დაესწრნენ.




– ექსპოზიცია „ჩეჩნეთის გზაზე – 1994-2003“ აერთიანებს „ფოტოებს ომსა და იმ მსხვერპლზე, ომს რომ მოჰყვება. მაგრამ ეს ფოტოები იმ ფოტოჟურნალისტებზეც არის, რომლებსაც სურთ, სიბნელეში შუქი შეიტანონ. შავ-თეთრი ფოტოების ეს სერია იმ სიბნელის ნათელი მაგალითია, რომელიც დღეს მსოფლიოში არსებობს. ჟურნალისტები დღეს „უბედურების ტურისტებივით“ არიან, ერთი ცხელი ადგილიდან მეორეში რომ მოგზაურობენ. მე არასდროს მქონია სურვილი, ასეთი ფოტოგრაფი ვყოფილიყავი. მე მჯერა, რომ უმჯობესია დიდ ფოტოსერიებზე მუშაობა, რომლებიც ფოტოჟურნალისტების ხანგრძლივი მუშაობის მაგალითია დღესაც და გუშინაც. ვფიქრობ, ამაზეც უნდა დავფიქრდეთ ამ ფოტოების ხილვისას. ხანდახან ჩვენ უბრალოდ ტრაგედიები გვჭირდება, – განაცხადა ფოტოგრაფმა სტენლი გრინმა.

სტენლი გრინი ამერიკელი ფოტოჟურნალისტია ის უკვე 40 წელია, ფოტოგრაფად მუშაობს. საქმიანობა დაიწყო ცნობილი ფოტოგრაფის იუჯინ სმიტის სტუდიაში, რომლის რეკომენდაციითაც ფოტოგრაფია შეისწავლა ნიუ იორკის ვიზუალური ხელოვნების სკოლაში.

– სტენლი გრინი მსოფლიოში ცნობილი ფოტოსააგენტოს ერთ-ერთი დამფუძნებელია. მისი წარმატებული კარიერა, როგორც ფოტოჟურნალისტისა, დაიწყო 1989 წელს, როდესაც მისი ფოტო „გოგონა შამპანურის ბოთლით“ ბერლინის კედლის დაცემის სიმბოლოდ იქცა. სტენლი გრინი ომის ფოტოგრაფია, გადაღებული აქვს ომი აზერბაიჯანში, საქართველოში, ერაყში, სომალში, ხორვატიაში, ქაშმირსა და ლიბანში. 1994 წლიდან ცნობილი გახდა ჩეჩნეთში გადაღებული ფოტოსერიით. ამ დოკუმენტურმა ფოტომასალამ ჩეჩნების საუკუნოვანი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოაქცია, – განაცხადა ნიკოლოზ რურუამ.

ფოტოფესტივალის „თბილისი ფოტო ფესტივალ 2012“ ერთ-ერთი ძირითადი პარტნიორია ფრანგული ფოტოფესტივალი (არლის ფოტოფესტივალი), რომელიც, ტრადიციულად, ქალაქ არლიში ტარდება 1968 წლიდან და თანამედროვე ფოტოგრაფიულ სამყაროში აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და მასშტაბური ფოტოგრაფიული ღონისძიება.

– „დეილი ტელეგრაფის“ მიერ ერთი თვის წინ გამოქვეყნებულ საუკეთესო ფოტოფესტივალების ნუსხაში, სადაც ქალაქ არლის ფესტივალი, ასევე ჩიკაგოს, ნიუ იორკისა და სხვა მსოფლიო მნიშვნელობის ფოტოფორუმები შევიდა, თბილისის საერთაშორისო ფოტოფესტივალიც მოხვდა. თბილისის ფოტოფესტივალმა უკვე მოიპოვა რეგიონული მასშტაბის კულტურული ღონისძიების რეპუტაცია და წლიდან წლამდე სულ უფრო მეტ ცნობილ თუ ახალგაზრდა ფოტოგრაფს უყრის თავს. თბილისი ფოტოფესტივალი 2012 წელს კიდევ უფრო ფართო და მრავალფეროვანი პროგრამით არის დატვირთული და მასში გაერთიანებულია ფოტოგრაფიის ყველა თანამედროვე მიმართულება – ფოტოჟურნალისტიკიდან დაწყებული, კონცეპტუალური ფოტოგრაფიით დამთავრებული. ის გამოფენებს, ტრადიციად ქცეულ ფოტოგრაფიის ღამესა და ცნობილი ფოტოგრაფების მასტერკლასების სერიას აერთიანებს, – განაცხადა ფესტივალის ხელმძღვანელმა ნესტან ნიჟარაძემ.

თბილისის ფოტოფესტივალი პირველად 2010 წელს ჩატარდა. ის წელს თბილისის ევროპის სახლისა და თბილისის ფოტოგრაფიის სახლი ორგანიზებით ჩატარდა. ფესტივალის პარტნიორები კი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და თბილისის მერია იყვნენ.

ამავე გალერეაში ფესტივალის ეგიდით შედგა მსოფლიო პრემიერა ფოტოსერიისა „სირია: მხილება“.

– ამ გამოფენამ ფოტოგრაფთა იმ პატარა ჯგუფის ფოტოები გააერთიანა, რომლებმაც უკანასკნელი თვეების მანძილზე სირიაში მიმდინარე დრამატული პოლიტიკური მოვლენების განვითარების დოკუმენტირება შეძლეს. ზოგიერთ მათგანს ეს – დიდი რისკის, ზოგსაც კი სიცოცხლის ფასად დაუჯდა; ახალგაზრდა ფრანგი ფოტოჟურნალისტი რემი ოშლიკი 22 თებერვალს ქალაქ ჰომსში, ბაშარ ალ-ასადის შეიარაღებული ძალების მიერ უცხოელ ჟურნალისტთა პრესცენტრის დაბომბვის შედეგად დაიღუპა, – აღნიშნა ნესტან ნიჟარაძემ.

გამოფენამ, რემი ოშლიკის გარდა, ალესიო რომენცის, პოლ კონროის, უილიამ დენიელსის, სტეფან დოკის, სეამუს მერფისა და უცნობი სირიელი ფოტოგრაფების ნამუშევრები გააერთიანა და სირიაში მიმდინარე მოვლენების ამსახველი სულისშემძვრელი დოკუმენტაცია წარმოადგინა.

საქართველოს ერთიანობისა და თავისუფლებისთვის მებრძოლმა ომის ვეტერანმა მხატვრებმა კი თავიანთი ნამუშევრების გამოფენა მოაწყვეს. მათი ნამუშევრები სავაჭრო ცენტრ „თბილისი ცენტრალში“ გამოიფინა. რიგით მეოთხე საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვაზე წარმოდგენილი იყო როგორც თვითნასწავლი ხელოვანების ხელნაკეთი ნივთები და აქსესუარები, ისე პროფესიონალი და ცნობილი მხატვრების ტილოები. ამავე დარბაზში გაიხსნა საქართველოს ერთიანობისა და თავისუფლებისათვის ომებში ნაბრძოლი, ვეტერანი მხატვრების შემოქმედების ექსპოზიცია. მასში მონაწილეობდნენ ვეტერანი ხელოვანები: ირაკლი ავალიშვილი, ავთო ხვიჩია, ნოდარ აფციაური, ლერი ჭანტურია და სხვა მხატვრები.

– ამ გამოფენა-გაყიდვაზე წარმოდგენილი იყო ასევე ისეთი ცნობილი მხატვრების ნამუშევრები, როგორებიც არიან საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი შემოქმედი ეკა ფერაძე, მხატვართა კავშირის წევრი ლია ჩხიკვიშვილი, ცნობილი და წარმატებული ხელოვანი, ქალბატონი ლიანა ნერსესოვა და სხვა მხატვრები. აღსანიშნავია, რომ ამ გამოფენაში მონაწილეობდნენ ჟურნალისტი დიზაინერებიც – ტელეკომპანია „იმედის“ წამყვანი დოდოშკა ხურცილავა და „პრაიმ ტაიმის“ რეპორტიორი თინი თევდორაძე. გამოფენა-გაყიდვიდან შემოსული თანხა ძეგვის ბავშვთა თავშესაფარს გადაერიცხა. ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ ქალაქის მერიის, კულტურის სამინისტროს, საქართველოში აკრედიტებული მისიებისა და საელჩოების პირველი პირები და სამხედრო ატაშეები, სპონსორები, მხარდამჭერი კომპანიები, შოუბიზნესის წარმომადგენლები, მედია. სტუმრებსა და მონაწილეებს შევთავაზეთ სასიამოვნო გარემო, ცოცხალი მუსიკა, ფურშეტი და ექსკლუზიური ნამუშევრების ექსპოზიცია, – განაცხადა გამოფენის ორგანიზატორმა მაია ქავთარაშვილმა.

# ივანიშვილმა გარშემო ბრიყვები შემოიკრიბა

დასაწყისი მე-4 გვერდზე

იმ ქვეყნებში გაცილებით დემოკრატიული არჩევნები ტარდება, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში. კლინტონმა იცის, რომ საქართველოში არასდროს არ ჩატარებულა დემოკრატიული არჩევნები და ამიტომაც ამბობს ამას, ამან უკვე მიიღო ტრაფარეტული სახე. ამერიკა რომ რეალურად იყოს მომხრე დემოკრატიული არჩევნების ჩატარების, სხვანაირად მოიქცეოდა, მაგრამ მისი განწყობა სხვანაირია და ეს ვერ გაიგო ვერც ბიძინა ივანიშვილმა, ვერც სხვა პოლიტიკოსებმა და დაბეჯითებით ამბობენ რაღაც მინიშნებებზე და წასვლა-წამოსვლაზე. შევარდნაძეს ხომ გამოუგზავნეს ამერიკელებმა ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი 2003 წელს. რა, გაუჭირდებოდა ამერიკას მოქმედი სახელმწიფო მდივანი, რომ არ გამოეშვა, გამოუშვებდა ვიღაცა თანაშემწეს და ეტყოდნენ, რომ არ უნდა გახდეს პრემიერ-მინისტრი.

***– რეალურად რა შედეგი დაინახეთ კლინტონის ვიზიტიდან?***

– ამ ვიზიტის ძირითადი მიზანი იყო ის, რომ არ არის გამორიცხული სირიაში მოხდეს ისეთივე ამბავი, როგორსაც ჰქონდა ადგილი ლიბიაში. მართალია ამერიკელები ამ პროცესებში უშუალოდ არ ჩართულან, მაგრამ კულისებიდან მართეს ლიბიაზე თავდასხმა. ანალოგიური შეიძლება განმეორდეს და სულაც არ არის გამორიცხული, რომ მოხდეს ის, რაც მოხდა სირიასა და ავღანეთში ანუ შეიყვანონ კოალიციური ჯარები და ამ ოპერაციაში მონაწილეობას მიაღებინებენ საქართველოს და რატომ უნდა გაგვიკვირდეს ეს? დღე ისე არ დაიწყება, რომ არ იყოს სირიაზე ლაპარაკი, მაგრამ ასადს მხარს უჭერს ჩინეთი, რუსეთი. ცოტა ხნის წინ ჩატარდა შანხაის ორგანიზაციის დიდი კონფერენცია პეკინში და შოს-ში შემავალი თვრამეტი ქვეყანა ინდოეთი, პაკისტანი, მონღოლეთი და ასე შემდეგ, ამ ორგანიზაციას აქვს უდიდესი პოტენციალი როგორც ხალხის რესურსების, ისე შეიარაღების თვალსაზრისით, მათგან სამი ქვეყანაა ისეთი, რომელსაც აქვს ბირთვული იარაღი, ამ ქვეყნებმა კატეგორიულად მოითხოვეს, რომ არანაირი შეჭრა არ იყოს სირიაში. ამა ეთანხმება ირანიც, ე. ი. ვითარება არის ძალიან დაძაბული. კლინტონმა სულ რამდენიმე საათი დაყო აზერბაიჯანში, იქიდან გადაფრინდა სტამბულში, სადაც ჩაატარა შეხვედრა სირიის მეგობარი ქვეყნების წრეში. მაგრამ სირიის მეგობრები კი არ არიან, ესენი არიან ისინი, ვინც იბრძვის გარედან სირიის ხელისუფლების წინააღმდეგ. ვინც იარაღით ამარაგებენ საუდის არაბეთსა და ყატარს და ესენი კი მალულად აძლევენ იარაღს სირიაში ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ ამბოხებულებს. ამ დროს კი ივანიშვილი თვლის, რომ ამხელა დედაკაცი ობამამ იმისთვის გამოუშვა, რომ სააკაშვილს უთხრას, რომ აღარ გახდეს პრემიერ-მინისტრი, ეს ხომ სასაცილოა.

***– ივანიშვილს მოვლენების პოლიტიკური ანალიზისთვის მრჩევლები ჰყავს..***

– სწორედაც, ეს მეტყველებს იმაზე, რომ ივანიშვილის გარშემო შეყრილი არიან ერთი მეორეზე ბრიყვები. ნახეთ ახლა რა სასაცილო მდგომარეობაა: ალასანია და თედო ჯაფარიძე, როდესაც კლინტონი იმყოფებოდა საქართველოში, იყვნენ ამერიკაში იმისათვის, რომ სახელმწიფო დეპარტამენტში შეხვედროდნენ ვიღაც რიგით თანამშრომელს, რომ მისთვის ეთქვათ თუ რა ხდება საქართველოში, რომ მას მასზე უფროსისთვის გადაეცა ეს ამბავი და შემდეგ ნელ-ნელა ეს დანაბარები ასულიყო ზევით და მისულიყო კლინტონის ყურამდე. ამ დროს კი კლინტონი იყო ბათუმში და ხვდებოდა ოპოზიციას და ვიღაც წულუკიანს, ვინც ამქვეყნიურის გაგებაში არ არის, იმას უსვამენ სალაპარაკოდ კლინტონს. ასევე უსვამენ სალაპარაკოდ მანანა კობახიძეს, რომელსაც სახეზე ეტყობა, რომ ეს დედაკაცი სამზარეულოს იქით არ არის გასული. ან რა უნდა ნესტანა კირთაძეს ამერიკაში, ვის ელაპარაკება, გასაოცარია, ან რითი უნდა მოხიბლოს კირთაძემ მამალი ამერიკელი დემოკრატი და რესპუბლიკელი, რომელიც დილიდან საღამომდე სააკაშვილთან არის გაბმული. ამ არჩევნების შედეგად ივანიშვილი რასაც მიიღებს, იქნება ის, რაც თქვა „ენდიაიმ“ და „აირაიმ“, მათი ნათქვამი არის ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ნათქვამი.



h3xცღx3ლბ ,

**შვეულად**: 1. ყირგიზეთის დედაქალაქი; 2. ყველისგულიანი ქართული ორცხობილა; 3. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 4. იაპონელი მოდელიერი; 5. სამეფო საგვარეულო; 8. აჭარული ცეკვა; 12. კომბინაცია პოკერში; 13. ჭადრაკის პარტიის დასკვნითი ნაწილი; 14. უბანი თბილისში; 16. მარცვლეული კულტურა; 18. ესპანური მწვერვალი; 20. სასულე ორკესტრის მიერ შესრულებული მოკლე მუსიკალური მისალმება.

**თარაზულად**: 6. ძმრით, ფქვილით, ხახვითა და ათქვეფილი კვერცხით შეზავებული მოხარშული ქათმის წვნიანი კერძი; 7. სკანდინავიური პოეტი-მომღერალი; 8. მეფის სიგელი; 9. ფრიდ ბერენდინიშვილის ქანდაკება ბიჭვინთაში; 10. წითელი ფერის მშრალი ქართული სამარკო ღვინო; 11. მდინარე გაგრაში; 15. ცილისწამება, მონაჭორი ვინმეს სახელის გასატეხად; 17. ამერიკელი სიგარეტი; 19. ორკუზიანი აქლემი; 21. ფრანგული თოჯინური თეატრის მთავარი პერსონაჟი; 22. სოკოების შემსხვილებული ბოლტანის ნაწილი; 23. შვეიცარიის ფეხბურთელთა გუნდი.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

**ობყფ ყჯვტ3იბ უფვჯმღტ.ყტ,ეჯბ h3xცღx3ლტ,ბც გფცე[ტ,ბ5**

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. პალანგა; 2. კომუნა; 3. ნობელიუმი; 4. „ცერული“; 5. ფოლიანტი; 7. ქოსა; 11. „სალხინო“; 13. კაჭკაჭი; 15. ჩალმა; 16. მომმე; 18. ნიკეა; 19. ლინზა.

**თარაზულად**: 6. აფიქტი; 8. პროთონი; 9. „გურიელი“; 10. ნიუანსი; 12. გაუდი; 14. ლიმანი; 17. „მაჭანკალი“; 20. ბაირონი; 21. უმანკო; 22. ეფუზია; 23. ხელბურთი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ბოლევარა; 2. ტოპონიმი; 3. „მინდია“; 4. „გაგრა“; 5. ლილიპუტი; 8. ბაზილიკა; 12. პატი; 13. სათაფლია; 14. აილამა; 16. მადაირი; 18. ოხორი; 20. „ბოკო“.

**თარაზულად**: 6. მოგადიშო; 7. ერისთავი; 8. ბეკონი; 9. კალია; 10. ნიავგარი; 11. პამპირსი; 15. ტაქიკარდია; 17. „ნიკორა“; 19. მარმელადია; 21. „პლეიბონი“; 22. ბატალიორი; 23. „ლოკჰიდი“.

# რუსეთის ოპოზიციის წარმომადგენელთა ბინები გაჩხრიკეს



რუსეთში „მილიონიანი მარშის“ საორგანიზაციო კომიტეტი არ აპირებს დაგეგმილ აქციაზე უარის თქმას მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ოპოზიციის ლიდერების საცხოვრებელ ბინებში ჩხრეკა ჩატარდა და რამდენიმე მათგანი საგამოძიებო კომიტეტში დაკითხვაზეა დაბარებული. „ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის“, – აცხადებს „მილიონიანი მარშის“ საორგანიზაციო კომიტეტის ერთ ერთი წარმომადგენელი სერგეი დავიდისი.

– კორექტირება მხოლოდ მონაწილეთა რაოდენობის გაზრდა იქნება, რაც ხელისუფლების მოქმედებების გამო მოხდება, – აცხადებს დავიდისი.

რუსული ოპოზიციის ლიდერი ალექსეი ნავალნი აცხადებს, რომ მის კუთვნილ ბინას ჩხრეკენ – ამის შესახებ მან საკუთარ „ტვიტერზე“ დაწერა და აღნიშნა, რომ ჩხრეკა მიმდინარეობს ქსენია სობჩაკისა და ბორის ნემცოვის ბინებშიც.

– ჩემს ბინაში ჩხრეკა მიმდინარეობს, მასობრივ არეულობებთან დაკავშირებით. კინაღამ კარი გახერხეს, – წერს ნავალნი.

ჟურნალისტი ოლგა რომანოვა კი საკუთარ „ფეისბუკში“ წერს, რომ ჩხრეკა მიმდინარეობს ქსენია სობჩაკისა და ბორის ნემცოვის ბინებშიც. რომანოვა აცხადებს, რომ თავად ნემცოვი ბინაში არ იმყოფება.

თავის მხრივ, ჩხრეკის ფაქტი დაადასტურა ნავალნის ადვოკატმა ოლგა მიხაილოვამაც, რომელმაც „ეხო მასკვის“ ეთერში განაცხადა, რომ სამართალდამცველები ჩხრეკენ ბინას, მაგრამ არ უშვებენ იქ ადვოკატებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ამის გაკეთების უფლება აქვთ. მისივე განცხადებით, სადარბაზოსთან დგანან შს სამინისტროს წარმომადგენლები ხელში ავტომატებით და იქ არავის უშვებენ. როგორც მიხაილოვამ განაცხადა ნავალნის ბინაში 15 პოლიციელი შეიჭრა, მანამდე კი ისინი ეცადნენ ბინის კარი გაეჭრათ.

ნავალნის ადვოკატი აცხადებს, რომ მის კლიენტს პოლიციელებმა წაუკითხეს მოსამართლის ნებართვაც ჩხრეკის თაობაზე. სააგენტო „ინტერფაქსი“ კი იტყობინება, რომ ადგილზე სამართალდამცველები არანაირ კომენტარს არ აკეთებენ.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია ჩხრეკების თაობაზე, რომლებიც პოლიციამ ჯერ კიდევ დაურეგისტრირებელი პარტიის „დრუგაია როსიასა“ და „მემარცხენე ფრონტის“ აქტივისტების ბინებში ჩაატარა.

ოპოზიციონერებმა ეს ჩხრეკები „მილიონიან მარშებს“ დაუკავშირეს, რომლებიც 12 ივნისიდან უნდა ჩატარდეს მოსკოვში. მიტინგები მოსკოვის მერიასთან უკვე შეთანხმებულია.

მიუხედავად აქციის ორგანიზატორების ბინების ჩხრეკისა, რუსეთის ოპოზიცია არ აპირებს „მილიონიანი მარშის“ გადადებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით მიტინგის ორგანიზატორებმა საგანგებო სხდომაც მოიწვიეს.

„ინტერფაქსის:“ ცნობით, ქსენია სობჩაკის ბინაში 1,5 მილიონი ევრო აღმოაჩინეს. სამართლდამცავი სტრუქტურის წყაროს ცნობით, შესაძლოა ეს ფული სობჩაკს ჩამოართვან.

ამასთან, ბასმანის სასამართლომ 6 მაისის მარშის მონაწილე კიდევ ერთი მონაწილის დაპატიმრების ბრძანება გასცა. 12 ივნისის „მილიონიანი მარშის“ ორგანიზაციული კომიტეტი მხარდამჭერებს მოუწოდებს ადრე მივიდნენ აქციაზე.

გავრცელებული ინფრომაციით, სერგეი უდალცოვის სახლის ჩხრეკა ამ დროისათვის დასრულებულია. ჩხრეკვებს რუსეთის ყოფილი ფინანსთა მინისტრი ალექსეი კუდრინი გამოეხმაურა: „მილიონიანი მარშის წინ ოპოზიციონერთა სახლების ჩხრეკა, პროტესტის რადიკალიზებას ახდენს და მიუთითებს რომ ქვეყნის ხელისუფლებაში რადიკალური ძალები ძლიერდებიან“, – დაწერა ყოფილმა მინისტრმა „თვითერის“ საკუთარ გვერდზე.

აღსანიშნავია, რომ 10 ივნისს, სამართალდამცველებმა კიდევ 5 ადამიანი დაიჭირეს, რომლებსაც 6 მაისს „ბალოტნაიას მოედანზე“ მოწყობილ მასობრივ არეულობებში მონაწილეობაში ედებათ ბრალი. მათ ბინებში ჩხრეკისას პოლიციამ ამოიღო ელექტრონულ მონაცემთა ბაზა, ტანსაცმელი, რომლითაც ისინი მიტინგზე იყნვნენ, ასევე ნიღბები და დროშა წარწერით „დპნი“ (მოძრაობა უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ).

# თეთრი სახლი რუსეთის ოპოზიციონერთა ბინების ჩხრეკის გამო შეშფოთებას გამოთქვამს



აშშ-ში შეშფოთებულნი არიან რუსეთში ოპოზიციის ზოგიერთ ლიდერზე განხორციელებული ზეწოლის გამო, განცხადება ამის შესახებ თეთრი სახლის წარმომადგენელმა ვიქტორია ნულანდმა გააკეთა.

ვაშინგტონში გამართულ ბრიფინგზე ნულანდმა განაცხადა, რომ ოპოზიციის ლიდერები, რომლებსაც 12 ივნისის აქცია დაგეგმეს სწორედ ამ დღეს დასაკითხად პოლიციაში დაიბარეს. მისივე აზრით ეს გაკეთდა იმის გამო, რომ მათ მონაწილეობისათვის ამ აქციაში ხელი შეეშალათ. თეთრი სახლის წარმომადგენელი ასვეე აცხადებს, რომ რუსეთის ხელისუფლების მიერ განხორციელებული ამგვარი ქმედებები მრავალ კითხვას ბადებს. ამასთან, როგორც ნულანდმა აღნიშნა, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის საკითხებში ტომას მელია მოსკოვში ჩასვლას და რუსეთის ხელისუფლებასთან ოპოზიციის ლიდერების დაკავებისა და მათი საცხოვრებელი ბინების ჩხრეკვის საკითხის დაყენებას აპირებს.

– მელიას მოსკოვში ვიზიტი 13-14 ივნისსაა ჩანიშნული. საკითხების ფართო სპექტრთან ერთად იგი აღნიშნულ საკითხებსაც დააყენებს, – განაცხადა ნულანდმა.

შეგახსენებთ, რომ გუშინ რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის თანამშრომლებმა ალექსეი ნავალნის, სერგეი უდალცოვის, ილია იაშინის და ქსენია სობჩაკის ბინები გაჩხრიკეს. ყველა მათგანი დაკითხვაზეა დაბარებული.

ამ ფონზე, რუსეთში ოპოზიციის მორიგი საპროტესტო აქცია 7 ოქტომბერს დაინიშნა.

ამის შესახებ დღეს გამართულ აქციაზე „მემარცხენე ფრონტის“ კოორდინატორმა სერგეი უდალცოვმა განაცხადა.

ამასთან, მან აქციის მონაწილეებს დაკავებული 13 ადამიანის გათავისუფლების მოთხოვნით სახალხო სეირნობის გამართვა შესთავაზა. სახაროვის გამზირზე გამართულ მიტინგზე სიტყვით ასევე მწერალი დიმიტრი ბიკოვი, პოლიტიკოსი ბორის ნემცოვი, ყოფილი პატიმარი სერგეი მოხნატკინი, ეკოლოგი ნატალია ზნამენსკაია და „სპრაველდივაია როსიას“ დეპუტატუ ილია პონომარიოვი გამოვიდნენ.

მოსკოვის პოლიციის შეფასებით, აქციაში 18 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა. თვითმხილველების თქმით, მიტინგის მონაწილეების რაოდენობა 50-60 ათასს შეადგენდა, სერგეი უდალცოვმა სცენიდან 100 ათასი ადამიანის შესახებ განაცხადა, ილია პონომარიოვმა კი აღნიშნა, რომ მიტინგზე 200 ათასი ადამიანი მივიდა. „მილიონიანი მარშის“ მონაწილეებს განაცხადი 50 ათას ადამიანზე ჰქონდა შეთანხმებული.



# ავღანეთში ძლიერი მიწისძვრის შედეგად 100-მდე ადამიანი დაიღუპა

„ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, ავღანეთის ჩრდილოეთით, ბორკას და ბაგლანეს რაიონებში 5,4 ბალი სიმძლავრის მიწისძვრის შედეგად ჩამოინგრა მთები, რომლებმაც 10-20 მეტრის სიღრმეში ჩაიტანა 23 სოფელი. დაღუპულია 100-მდე ადამიანი, დაშავებულია 20-ზე მეტი, გრძელდება ჩამარხული ადამიანების ძებნა.

მიწისძვრა გუშინ გვიან მოხდა, თუმცა შედეგები დღეს გახდა ცნობილი.

ბაგლანის პროვინციის გუბერნატორის აბდულა მაჯიდას განცხადებით, მიწისძვრა ისე სწრაფად ჩამოწვა მთის მასივები, რომ მოსახლეობის გაქცევისა და გადარჩენის შანსი, ფაქტიურად არ ჰქონდა.

სამაშველო სამუშაოები პროვინცია ბაგლანში ამ დრომდე გრძელდება.

# ილჰამ ალიევი ოჯახის მომავალს უზრუნველყოფს

აზერბაიჯანის მილი მეჯლისმა გუშინ მიიღო კანონი „აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტის და მისი ოჯახის წევრების უზრუნველყოფის“ შესახებ. კანონი გავრცელდება იმ პირებზე, რომელთაც ადრე რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტი ეკავათ და რომელთაც თანამდებობა კონსტიტუციის 107-ე მუხლის შესაბამისად დატოვეს. ამ კანონის თანახმად, რომელიც 12 პუნქტიანია, პრეზიდენტი და მისი ოჯახის წევრები – მეუღლე და შვილები, ან შვილად აყვანილი ბავშვები, რომელთაც 18 წელი არ შესრულებიათ, რიგი შეღავათებით ისარგებლებენ. კანონის თანახმად, ყოფილი პრეზიდენტს, თანამდებობის დატოვების დღიდან გარდაცვალებამდე, ყოველთვიურად ხელფასის 50% დაენიშნება, აგრეთვე პენსია, რომელიც ასვე ხელფასის 50%-ს შეადგენს, მისი გარდაცვალების შემთხვევაში კი, პენსიას და სხვა დახმარებებს მეუღლე და მისი არასრულწლოვანი შვილები მიიღებენ.

ილჰამ ალიევის ხელფასი გავრცელებული ინფორმაციით, წელიწადში 225 000 ამერიკულ დოლარს შეადგენს. სომხური მედიის ინფორმაციით, მილი მეჯლისის ახალი კანონის შემდეგ, ქვეყანაში დაბრუნდება ექსპრეზიდენტი აიაზ მუტალიბოვი, რომელსაც 1992 წელს სახელმწიფოს გადატრიალების ბრალდებით ქვეყანის დატოვებამ მოუწია და დღემდე მოსკოვში პოლიტიკურ ემიგრაციაში ცხოვრობს.

# ირანი ატომური იარაღის კვალის განადგურებას უარყოფს

„ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, ირანის ხელისუფლება უარყოფს თეირანის სამხრეთით, ფარჩინში ატომურ ობიექტზე არსებული შენობების განადგურების ფაქტს, ატომური იარაღის წარმოების კვალის დაფარვის მიზნით.



ირანის ხელისუფლება ამ დრომდე უარს აცხადებს გაეროს ინსპექტორების ფარჩინში შეშვებაზე, სადაც ექსპერტების აზრით, ატომური იარაღის ნარჩენები ჯერ კიდევ დარჩენილია. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს -ს ხელმძღვანელის იუკიო ამანოს განცხადებას, თეირანის სამხრეთით ატომური ობიექტების განადგურების შესახებ, ირანი უაზროს უწოდებს.

– დადანაშაულება იმაში, რომ ირანი ცდილობს ატომური ობიექტის კვალის წაშლას, უადგილო და უაზროა, ეს ჭორები კი ვრცელდება იმიტომ, რომ მოსკოვში გასამართ ატომურ მოლაპარაკებებზე ზემოქმედება მოახდინოს, – აცხადებს ირანის თავდაცვის მინისტრი ახმად ვაჰიდი საინფორმაციო სააგენტო „თაბნაკისთან“.

ცოტა ხნის წინ, აშშ-ის, ისრაელის და ევროპის სადაზვერვო სამსახურები სამ რამეზე შეთანხმდნენ: ირანს არ აქვს ატომური ბომბი, არ აქვს მისი შექმნის გადაწყვეტილება მიღებული და მისი შექმნისთვის წლები დასჭირდება.

„როიტერს“ ხელში ჩაუვარდა აშშ-ის სადაზვერვო სამსახურების მიერ 2006-2007 წელს მოპოვებული ირანელი მეცნიერების მიმოწერა. მიმოწერაში მეცნიერები ერთმანეთს წერდნენ, რომ ატომური შეიარაღების პროგრამა შეჩერებული იყო. „როიტერი“ ასევე ესაუბრა რამდენიმე ყოფილ და ამჟამინდელ აშშ-ის დაზვერვის თანამშრომლებს, რომლებსაც ირანზე ჰქონდათ ინფორმაცია. ისინი დარწმუნებულები არიან იმაში, რომ ირანს არ აქვს ურანის გამდიდრებისთვის განკუთვნილი საიდუმლო ბაზები. ცნობილია, რომ ირანი ამდიდრებს ურანს, თუმცა არა იმ დოზით, რომ ატომური იარაღი შექმნას. ირანს არაერთხელ განუცხადებია, რომ იგი ატომურ ენერგიას მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისთვის მოიხმარს.

ირანის ბირთვული პროგრამის განხორციელება დაიწყო 1967 წელს, როდესაც აშშ-მა ირანის შაჰ მუჰამედ რეზა ფეჰლევის 5 მეგავატის სიმძლავრის ატომური რეაქტორი მისცა. რეაქტორების მშენებლობაში ტექნოლოგიურ დახმარებას ირანს შემდგომში უწევდნენ გერმანია და საფრანგეთი. ირანმა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შეთანხმებას ხელი მოაწერა 1968 წელს, ხოლო რატიფიცირება გაუკეთა 1970 წელს.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

## ცფვუქჯდბფჯჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

დედა ნათელა ამაშუკელი, და თალალო, ძმა გოგი, ძმისშვილები თაკო, აჩიკო ჯაკობიები, რძლები ბაია სურმავა, ქეთი ცხადაძე, სიძე საშა გოგოხია, მძახლები ძაძუ კოსტავა, ნანა მონიავა, ვახტანგ გოგოხია, ვახტანგ ცხადაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მანანა კახაბერის ასული ჯაკობია**

პანაშვიდი: 12, 13 ივნისს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 14 ივნისს, 15 საათზე.

მისამართი: წერეთლის გამზირი, VI კორპუსი, III სადარბაზო, II სართული.

---

შპს „პროფკავშირების კულტურის ცენტრის“ თანამშრომლები მწუხარებით თანაუგრძნობენ ქალბატონ ეთერ მათურელს მამის

**ლაზარე მათურელის**

გარდაცვალების გამო.

---

აფხაზეთის პროფესიული კავშირების გაერთიანება თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილეს, ქალბატონ ეთერ მათურელს მამის

**ლაზარე მათურელის**

გარდაცვალების გამო.

---

ცფვუქჯდბფჯჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტქლქტ7
რდბჰბც უფჰლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლტ8

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 13 ივნისი**

**07.30** ჩვენი დილა **09.00, 12.00, 16.00, 20.00** მოამბე **11.00** სამოთხის ვაშლები **12.45** ცხოვრება მშვენიერია **13.50** ვაშინგტონი დღეს **14.20** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" **15.00** სერ. **"დომბე და ვაჟი"** **17.00** ეკონომ მენიუ **18.00** პეპე და მეგობრები **19.50** **ფეხბურთი: დანია – პორტუგალია** (პირდ.) **22.00** ევრო-**2012**. მიმოხილვა. **22.35** **ფეხბურთი: ჰოლანდია – გერმანია** (პირდ.) **00.45** ევრო-**2012**. მიმოხილვა. **01.45** მხ. ფილმი **"უნივერსიტეტელი ლურჯები"** (**12**) **03.30** მხ. ფილმი **"მანჯურიელი კანდიდატი"** (**12**) (მ. სტრიპი) **05.40** მხ. ფილმი **"პლანეტა: დედამიწის უკანასკნელი დღეები"**

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 13.45, 19.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** დოკ. ფილმი **16.00** დოკ. ფილმი **16.45** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **20.00** მხ. ფილმი **"მეცამეტე"** (ვ. კილმერი) **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფილმი **"ჯიბის ფული"** (**12**) (მ. გრიფიტი)

**07.30** იმედის დილა **10.05** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** **11.00, 11.30. 14.00, 17.00, 20.00, 01.30, 05.15, 07.00** ქრონიკა **11.50** სერ. **"უკვდავი ამბავი"** **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. **"ღვინის გზა"** **15.40** რომ გადახვალ, გააჩერე (გან.) **17.40** სერ. **"მეწამული ცა"** **18.40** სერ. **"შურისძიების სახელით"** **21.00** სერ. **"მემკვიდრეები"** **22.00** იუმორინა **23.30** ხანუმა. **00.40** რემონტი **01.30** მხ. ფ.**"დაუმარცხებელი"** (უ. სნაიპსი) **03.25** მხ. ფილმი **უკანასკნელი ლეგიონი"** **05.15** მუსიკა. **06.30** სერ. **"შურისძიების საფასური"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"დედის გული"** **11.00** სერ. **"ეჭვი და სიყვარული"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.30** თქვენი შოუ **17.00** სერ. **"ტერეზა"** **18.45** სერ. **"მგზნებარე გული"** **19.50** სერ.**"ველური ყვავილი"** **22.00** ილბლიანი ბორბალი **23.00** რა? სად? როდის? **00.30** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (ტიტ.)

**08.00** ან. ფილმი **08.55** სერ. **"მარია ემილია"** **09.45, 12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **10.00** მხ. ფილმი **12.15** სერ. **"ენი, სწვანე სახურავების მამულიდან"** **13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** მხ. ფილმი **17.10** სერ. **"ველური მთვარე"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მზესუმზირა **02.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ.**"სკოლის მეგობრები"** **10.30** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.25** სერ. **"საგა"** **12.50, 19.35** სერ.**"მაფიოზა"** **13.50** დოკ. ფილმი "ისინი" **15.15** სერ. **"საიდუმლო აგენტების თავგადასავალი"** **16.00** დოკ. ფილმი **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **23.00** სცენა **23.40** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** **08.30** განთიადი **10.00, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 22.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30, 21.20** ლექსით ქებათა ქება **10.40** დოკ. ფილმი "ვაჟკაცს კარგ უნდა ჰყვანდის ცხენიო". **11.10** მოკ. ფილმი **"ლახტი"**. **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.05** ამინდი **12.10** დროის ჩანაწერები. **13.20** კონცერტი. **14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **15.00, 18.00** საექლესიო კალენდარი **15.05** ერთი ნივთის ისტორია. **15.10** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ. ფილმი "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.55** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **16.30** კვირიაკე **18.10 100** ქართული სიმღერა. **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი. **18.53, 22.50** ერთი ნივთის ისტორია. **19.20** ეთნოგრაფია. **19.15** მხ. ფილმი **"სანამ წვიმა გადივლიდეს"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** გზა, რომლითაც ვიარე **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "დიმიტრი შევარნაძე". **00.35** მოკ. ფილმი **"ქორორა"**. **01.00** ერთი დღე მონასტერში. **01.20** მხ. ფილმი **"საბრალონი"** **1**-ნაწ.

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

ზ ivnisi

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6219 |
| ევრო | 2,0582 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,5626 |
| რუსული რუბლი | 0,0549 |

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21–25, ღამით — 10–14
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18–21, ღამით — 8–10
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 19–23, ღამით — 7–9

ამინდის პროგნოზი 13 ივნისისთვის






# 14 ივნისიდან!

## დიდი საზაფხულო აქცია

## ქართული მწერლობის საუნჯე

## „ახალ თაობასთან" ერთად

ფასი 5 ლარი

## სარკოზი სახელმწიფო ბოდიგარდებს" ითხოვს



ფრანგული გამოცემა „პარი მატჩის" ინფორმაციით, საფრანგეთის ექსპრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ პირადად მიმართა ფრანსუა ოლანდს და მისთვის და კარლა ბრუნისთვის ათი პირადი მცველის გამოყოფა მოსთხოვა.

— ყველა ამ მცველს სარკოზი პირადად იცნობს, რადგან ისინი საფრანგეთის რესპუბლიკის პირადი დაცვის წევრები გახლდნენ იმ პერიოდში, როდესაც ის ელისეის სასახლეში იმყოფებოდა. მას შემდეგ, რაც სარკოზი აღარ არის საფრანგეთის პრეზიდენტი, მას ემუქრებიან და შეურაცხყოფას აყენებენ. სწორედ ამისთვის ითხოვს სარკოზი დაცვას, — წერს „პარი მატჩი" სარკოზის პირადი გარემოცვის წარმომადგენლის განაცხადზე დაყრდნობით.

აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის ექსპრეზიდენტები სახელმწიფო პირადი მცველებით დიდად არ არიან განებივრებულები. აქამდე ყველაზე მეტი პირადი მცველი ჟაკ შირაკს ჰყავდა— ექვსი, ხოლო ვალერი ჟისარ ე,ტენი მხოლოდ ორ მცველს სჯერდებოდა.

საფრანგეთში არსებული კანონის თანახმად, სახელმწიფო მაღალჩინოსნებს უფლება აქვთ ისარგებლონ სახელმწიფოს მხრიდან გამოყოფილი პირადი მცველებით, ხოლო ერთი პირადი მცველის წლიური ანაზღაურება წელიწადში 72 ათას ევროს შეადგენს, ასე რომ საფრანგეთს ნიკოლა სარკოზის დაცვა წელიწადში 700 000 ევრო დაუჯდება.

ნიკოლა სარკოზი (დ. 28 იანვარი, 1955, პარიზი), ფრანგი პოლიტიკოსი, საფრანგეთის ექსპრეზიდენტი. თანამდებობა დაიკავა 2007 წლის 16 მაისს მას შემდეგ რაც არჩევნებში დაამარცხა სოციალისტური პარტიის კანდიდატი სეგოლენ რუაიალი.

პრეზიდენტობამდე იყო საფრანგეთის მემარჯვენე ცენტრისტული პარტია კავშირი სახალხო მოძრაობისთვის ლიდერი. ჟაკ შირაკის პრეზიდენტობის დროს მას ეკავა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი ჟან-პიერ რაფარენის პირველ ორ მთავრობაში (2002-2004), იყო ფინანსთა მინისტრი რაფარენის ბოლო მთავრობაში და ისევ შინაგან საქმეთა მინისტრი დომინიკ დე ვილპენის მთავრობაში (2005-2007).

სარკოზი ასევე იყო დეპარტამენტ ო-დე-სენის გენერალური საპჭოს პრეზიდენტი (2004-2007 წლებში) და ნიოი-სიურ-სენის მერი (1983-2002). იგი ასევე იყო საფრანგეთის ბიუჯეტის მინისტრი ედუარდ ბალადიურის მთავრობაში ფრანსუა მიტერანის პრეზიდენტობის ბოლო წლებში. სარკოზი ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებზე ფრანსუა ოლანდთან ორთაბრძოლაში დამარცხდა.

**გ. ქ.**

## ბულონის ტყის ჯადოქარი



რაფა ნადალი სარეკორდოდ, მეშვიდედ გახდა საფრანგეთის ღია პირველობის ჩემპიონი. აქამდე საფრანგეთის ღია პირველობა მალიორკელსა და შვედ ბიორნ ბორგს 6-6-ჯერ ჰქონდათ მოგებული, ახლა ნადალი ერთპიროვნულია და მისი რეკორდის დამხობას ბარე ათეული წლები დასჭირდება.

ნადალი „როლან გაროსის" ფავორიტად ითვლებოდა და ფინალში, ორდღიან და ოთხსეტიან ჯახში სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩი 6:4, 6:3, 2:6, 7:5 დაამარცხა.

რაფა ნადალისა და ნოვაკ ჯოკოვიჩის ფინალი ბულონის ტყეში კვირას დაიწყო და ორშაბათს დასრულდა. ამის მიზეზი წვიმა იყო. უკანასკნელად ასეთი ფაქტი 1973 წელს მოხდა, თუმცა მაშინ შეხვედრის განახლება ავდრის გამო ორშაბათსაც კი ვერ მოხერხდა და რუმინელმა ილიე ნასტასემ 2 დღის დაგვიანებით, სამშაბათს მოახერხა ტიტულის მოპოვება.

ფინალს რაც შეეხება, საწყის 2 სეტში ნადალი ჯოკოვიჩთან შედარებით გაცილებით დამაჯერებლად გამოიყურებოდა და სასტარტო პარტიები 6:4, 6:3 მოიგო. მესამე სეტიდან მოყოლებული „ნოლეს" გაააქტიურა, თუმცა მხოლოდ მას შემდეგ სეტში 0:2 ჩამორჩენა რომ დაინახა. სერბმა მიჯრით 6 გეიმი მოიგო – 6:2.

მეოთხეში ჯოკოვიჩმა მეტოქეს ბრეიკი აართვა და 2:1 დაწინაურდა, რის შემდეგაც საქმეში წვიმა ჩაერია და შეხვედრაც შეწყდა.

ორშაბათს ნადალმა ჯერ ბრეიკი დაიბრუნა, შემდეგ მეტოქეები ქულა-ქულაში მისდევდნენ ერთმანეთს, როდესაც 6:5 იყო ნადალის სასარგებლოდ, ჯოკოვიჩი აწოდებდა, თუმცა გადამწყვეტ მომენტში ბალკანელმა ორმაგი შეცდომა დაუშვა, სეტის ანგარიში 7:5 გახდა და ნადალმაც მეშვიდე ჩემპიონობა გაიფორმა.

საერთო ჯამში, „როლან გაროსის" კორტებზე ნადალმა ჩატარებული 52 შეხვედრიდან 51 მოიგო. ერთადერთი მარცხი პარიზში რაფას 2009 წელს აქვს განცდილი, როდესაც რობინ სოდერლინგმა სძლია.

**მ. ჟ.**

# 6 ივნისიდან

ეუბრფკეპბ გპჯტმნბ

„ახალ თაობასთან" ერთად
იყიდება უნიკალური პროექტის
„ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი" 25-ე ტომი

# ნტნხტპბ




3!)) ობუყინ4 იცრბც
ბვ ფღფვბფყსფ ,ბჯუჰფაბტ,ბ7
ჰჯვცჯსფნ ღბღბ hღფჯბ ღფნჯღცც
ვცჯაჯბჯ გჯაბნბhფიბ7
ვცნყბცჰც,ფცფ ღფ hეჯნეჰფიბ8

უფპტსბ ლფ ოზუყბ ტჰსფლ
* კფჰბ

.ღცჯფვ უფბსღფჯბცობყცს=




**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — დიდი წარმატება გელით! **კურო** — ფული გაქვთ, მაგრამ ცოტა ხვალისთვის შემოინახეთ. **ტყუპები** — არ აყვეთ პროვოკაციას, თავს მიხედეთ. **კირჩხიბი** — მხოლოდ აუცილებელი საქმეები აკეთეთ. **ლომი** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ, ყველაფერი გაქვთ, რაც გსურთ. **ქალწული** — ნურავის საქმეში ჩაერევით, არ ღირს ვინმეს განაწყენება. **სასწორი** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **ღრიანკალი** — მშვენიერი დღეა, ყველა საქმე გამოგივათ. **მშვილდოსანი** — ნუ დაივიწყებთ მეგობრებს, არც ისინი დაგივიწყებენ. **თხის რქა** — რაღაც კითხვები გაწუხებთ, მაგრამ ყველაფერს გაარკვევთ. **მერწყული** — თქვენი ოპონენტი გააქტიურდა, ფრთხილად იყავით. **თევზები** — პრობლემები არ გაქვთ, საქმე კარგად წაგივათ.

უბცეჰღტ,ს ,ტცყბტჰ ცქტც=

## hჰჯცღჯჰცბ ფ

**შვეულად**: 1. თავდავიწყებამდე მისული უკიდურესი აღფრთოვანება, აღტყინება; 2. საქართველოში გავრცელებული, წითელ წიგნში შეტანილი ძალზე მაგარმერქნიანი ფოთლოვანი ხე; 3. ნიდერლანდების დედოფალი; 4. ესპანეთის ნაკრებისა და „ჩელსის" ფეხბურთელი; 5. შვეიცარიის ისტორიული სახელწოდება; 7. მიწის ფართობის საზომი ერთეული აშშ-ში; 11. ღვარად წამოსული დამდნარი თოვლი; 13. გულში ნადები ბოღმა, შური; 15. ესპანეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა; 16. გზისპირა სასაუზმე ესპანეთში; 18. მომკილი ხორბლის უთავთავო ღეროები; 19. უმცროსი მატროსი გემზე.

**თარაზულად**: 6. თანამდებობის პირის მოსასყიდად გაცემული თანხა; 8. მონასტერი სტეფანწმინდის რაიონში; 9. მარნეულის ძველი სახელწოდება; 10. მღვდელმთავართა საერთო სახელწოდება; 12. ნისლი, ბურუსი; 14. დამოუკიდებელ ფერმერთა დასახლება ისრაელში; 17. ეკონომიკის დაქვეითება, კრიზისი; 20. მოხარშული კვერცხისგულიანი ხაჭაპური; 21. ქართული რადიო; 22. ულრანი, ტროპიკული ტყე; 23. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური გერმანიაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

